


მანუელ კასტელსი: ინფორმაციონალიზმი და ქსელური საზოგადოება.

მე მწამს რაციონალიზმისა და გონისადმი მიმართვის შესაძლებლობის. მე მწამს გააზრებული სოციალური ქმედებებისა. მიუხედავად ადრინდელი ტრადიციული ტრაგიკული ინტელექტუალური შეცდომებისა, მე მჯერა, რომ დაკვირვება, ანალიზი და თეორიის აგება სხვა, უკეთესი სამყაროს შექმნას უწყობს ხელს.



1. მანუელ კასტელსი - პიროვნება და მეცნიერი
2. მანუელ კასტელსის სოციოლოგიის ძირითადი ცნებები და პრინციპები
3. ინფორმაციული კაპიტალიზმის არსება - უწყვეტობა თუ ცვლილებები? ქსელური საზოგადოება და ქსელური მეწარმეობა
4. ინფორმაციონალური კაპიტალიზმის კულტურული შედეგები
5. ნაკადთა სივრცე, დროისგარეშე დრო
6. იდენტურობის ძალაუფლება
7. სტრატეგიკაციის ახალი ფორმები და მუშათა კლასის დაცემა
8. მერიტოკრატია ?
9. ინფორმაციული შრომა ისტორიულ განვითარებაში
10. ინფორმაციონალური კაპიტალიზმის წყაროები
11. ეპოქათა ცვლა

1. მანუელ კასტელსი _ პიროვნება და მეცნიერი

1996-1998 წლებში მანუელ კასტელსმა გამოაქვეყნა სამტომეული გამოკვლევა The Information Age, რომელმაც უზარმაზარი გავლენა იქონია თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებზე. The Information Age, ეს Magnum Opus, ოცწლიანი შრომის შედეგი, მაშინ იქნა დასრულებული, როდესაც ავტორის ჯანმრთელობას სიმსივნური (კიბო) ავადმყოფობა ემუქრებოდა. წიგნის გამოსვლის შემდეგ კასტელსი აღიარეს ყველაზე ძლიერ მეცნიერად ყველა ცოცხალ მეცნიერთა შორის, რომლებიც თანამედროვე საზოგადოების პრობლემებს იკვლევენ. იგი თავის თვალსაზრისს ავრცელებდა ტელევიზიით, მის შესახებ წერდნენ ისეთი გაზეთები, როგორებიცაა WALL STREET JOURNAL, NEW STATESMAN და GARDIAN-ი. კასტელსის ტრილოგია, რომელიც 1200 გვერდზე მეტს მოიცავს, წარმოადგენს დღეს ჩვენს თანამედროვე საზოგადოებაში ინფორმაციის როლის ენციკლოპედიურ ანალიზს. ეს ნაშრომები, თანამედროვე ცივილიზაციის ხასიათის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და მნიშვნელოვანი აღწერაა დენიელ ბელის The Coming of Post-Industrial Society გამოსვლის შემდეგ, რომელსაც კასტელსი აღემატება როგორც გაქანებით ისე თავისი გამოკვლევის მასშტაბებით. The Information Age-ს გამოსვლის შემდეგ ზოგიერთმა მიმომხილველმა კასტელსი კარლ მარქსის, მაქს ვებერისა და ემილ დიურკემის გვერდზე დააყენა. მეც ვიზიარებ ამ შეხედულებას, რამდენადაც დარწმუნებული ვარ, რომ კასტელსის შრომა - თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ძირითადი მახასიათებლებისა და დინამიკის ყველაზე ნათელი აღწერაა, რომელიც შესრულებულია და სავსეა ცოდნით, წარმოსახვითა და ინტელექტუალური სიმკაცრით. ნებისმიერმა, ვინც ისწრაფვის ინფორმაციის როლისა და

თავისებურებების შესწავლას - რაც სოციალური ცხოვრების ძირითადი მამოძრავებელი ძალების გაგების მცდელობას გულისხმობს, - აგრეთვე იმისა, თუ როგორი წესითაა ინფორმაცია ჩართული ცვლილებებში და ამ ცვლილებების დაჩქარებაში, შეუძლებელია მანუელ კასტელსის შრომებს არ მიმართოს.

მანუელ კასტელსი დაიბადა ბარსელონაში 1942 წელს; 20 წლის ასაკში რადიკალურად განწყობილი სტუდენტი ფრანკისტულ რეჟიმს გაექცა. პარიზში მან დაასრულა განათლება, ასწავლიდა პარიზის უნივერსიტეტის შფოთიან ნანტერის კორპუსში, სადაც 1968 წლის evenemets (ხდომილებებში) მონაწილეობდა, 1972 წელს გამოაქვეყნა ნოვატორული და მნიშვნელოვანი სტატია the Urban Question: A Marxist Approach, რომელიც იმ პერიოდში პოპულარული ლუი ალთუსერის (1918-1990) სტრუქტურალისტური მარქსიზმის გავლენით იყო დაწერილი. განსაკუთრებული ტალანტის მქონე მეცნიერი 1979 წელს გადადის-მიემგზავრება კალიფორნიაში, სადაც ბერკლის უნივერსიტეტში ქალაქური და რეგიონალური დაგეგმვისა და სოციოლოგიის პროფესორი ხდება. აქედან მოყოლებული იგი სანფრანცისკოში ცხოვრობს, მაგრამ კასტელსი - დაუღალავი მოგზაურია: რუსეთიდან სინგაპურამდე, ტაივანიდან ჩილემდე არსებულ უნივერსიტეტებში.

მანუელ კასტელსის, როგორც ურბანიზაციის მკვლევარის რეპუტაცია ძალიან დიდი ხანია ჩამოყალიბდა (რაზეც ბერკლის უნივერსიტეტში მინიჭებული პროფესორის წოდებაც მეტყველებს). მისმა შრომამ The Urban Question მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქალაქურ დაგეგმარებაზე, შემდეგ მან რამდენიმე შრომა დაწერა კიდევ ამ თემაზე, ხოლო კულმინაციად კი 1989 წლის გამოქვეყნებული შრომა the Informational City (1989) იქცა. იგი მუდამ ინტერესდებოდა ურბანიზაციის პრობლემებით და დღემდე მისი შრომები ხელს უწყობს ისეთი პრობლემების გაგებას, როგორებიცაა განახლებანი და დაშორიშორებანი ქალაქების შიგნით.

მაგრამ The Information Age მისი ადრეული შრომების სინთეზად და განვითარებად იქცა, მასში ის აჩვენებს, რომ თანამედროვე ცივილიზაცია ნამდვილად უნივერსალურ ხასიათს ატარებს. ამავე დროს წიგნი “ახალგაზრდა მარქსისგან“ იმისაკენ განვითარების პროცესს ასახავს, რასაც შეიძლება პოსტმარქსისტული სოციალური მეცნიერება ეწოდოს. ეს არ ნიშნავს, რომ კასტელსმა რადიკალიზმთან კავშირი გაწყვიტა. იგი აქტიური სოციალ-დემოკრატია და ძლიერ დაინტერესებულია პოლიტიკით და მართლაც სინამდვილეში, ეს ანგაჟირებულობა აქ ამოძრავებს და კვებავს მის ინტელექტუალურ შრომას, ამაში ის ნაწილობრივ ჩარლზ რაიტ მილსის, რალფ დარენდორფის და დენიელ ბელის ემსგავსება და მაინც კასტელსი პოსტმარქსისტია, რამდენადაც The Information Age-ში იგი ჯერ კიდევ უფრო ადრეულ შრომაში The City and the Grassroots (1983) მარქსიზმის დაწყებულ კრიტიკას ავითარებს. მისი პოსტმარქსიზმი განსაკუთრებულად გამოიხატება: მაგალითად მის რწმენაში, რომ რადიკალური პოლიტიკური ცვლილებები არ შეიძლება მუშთა კლასის მიერ იქნას ინიცირებული (პროლეტარიატმა როგორც ცვლილებათა მთავარმა ძრავამ ახლა თავისი მნიშვნელობა დაკარგა). ასევე მის სკეპტიციზმში, უფრო მეტიც კომუნიზმისადმი როგორც საბოლოო მიზნისადმი მტრულ დამოკიდებულებაში გამოიხატება. კასტელსი წერს, რომ “ყველა უტოპიას ტერორთან მიყვავართ, თუ მის ცხოვრებაში გატარებას სერიოზულად უდგებიან და იწყებენ“. აგრეთვე, მის დარწმუნებულობაში, რომ ისეთი პოლიტიკური პრობლემები, როგორებიცაა ცხოველების უფლებები და ფემინიზმი, რომლებიც დღეს სერიოზულ როლს თამაშობენ, კლასობრივი ტერმინოლოგიით ვერ აიხსნება, და ბოლოს, ინტელექტუალთა პოლიტიკური რჩევების წინააღმდეგ მის ღვარძლიან, წინასწარვე ცუდი აზრების გამოხატვაში ვლინდება (კასტელსი 1998, გვ. 359).

თუმცა კასტელსმა, ამგვარად უკან მოიტოვა მარქსიზმი, მაგრამ მარქსიზმმა აზროვნების მისეულ წესზე კვალი მაინც დატოვა. როგორც მოგვიანებით ვნახავთ, ეს ნათლად არა მხოლოდ იმ

ფაქტისაგან გამომდინარეობს, რომ იგი მარქსისტულ ცნებებს (მაგალითად “წარმოების წესი”) ხშირად მიმართავს და კაპიტალიზმის როლს განსაკუთრებულად უსვამს ხაზს. მარქსიზმის გავლენა შეიძლება იმაშიც კი დავინახოთ თუ იგი თავის სამტომეულის The Information Age-ს როგორ ალაგებს. პირველ ტომში განიხილება სოციალური სტრუქტურები - ტექნოლოგია, ეკონომიკა, შრომითი პროდუქტები,- რომლებიც “ინფორმაციულ ეპოქას” ახასიათებს და მიეკუთვნება. მეორე ტომის მთავარი თემა “ქსელური საზოგადოების” სოციოლოგია გახდა, და განსაკუთრებით ის სოციალური მოძრაობები, რომლებიც წარმოიშვნენ როგორც ამ ფუნდამენტალურ ცვლილებებზე პასუხები, ხოლო შემდეგ უპირატესობები ახალი სიტუაციიდან მოიპოვეს. მესამე ტომი ეძღვნება პოლიტიკას, მთავარი თემა ხდება სოციალური ჩართულობა და გარიცხვა, განიხილება მთელი რიგი საკითხებისა: ყოფილი საბჭოთა კავშირისაგან ევროპის მომავლამდე, წყნარი ოკეანის აუზიდან გლობალური დანაშაულებრივი ქსელების მნიშვნელობამდე. პრიორიტეტების ამგვარი განლაგება მარქსისტულ მეთოდოლოგიას გვაგონებს _ სტრუქტურული მახასიათებლიდან სოციალურ სფეროზე და აქედან ბოლოს პოლიტიკაზე გადასვლა. ეს განსაზღვრავს წიგნ “ინფორმაციული ეპოქის” აგებულებას, და აძლევს კასტელსს როგორც ამას მოგვიანებით დავინახეთ, ცვლილებების გამომწვევი ყველაზე არსებითი მიზნების გაგებას. პრიორიტეტები ეკონომიკისა და ტექნოლოგიის საკითხებს ეძლევა, და მხოლოდ შემდეგ მოდის საზოგადოებრივი ცნობიერებისა და პოლიტიკის პრობლემები და რაც კიდევ არანაკლებ მნიშვნელოვანია, მარქსიზმის კვალი კარგად სამყაროს მთლიანობის გაგებაში ვლინდება. იგი ფიქრობს, რომ მსოფლიოს ფუნქციონირების, აგრეთვე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების თავისებურებების ადეკვატური ახსნა შეიძლება მხოლოდ მაშინ თუ შევისწავლით ურთიერთდაკავშირებულ ელემენტებს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კასტელსი გვაძლევს იმის ფუნქციონალურ ახსნას თუ როგორ მუშაობს თითოეული ელემენტი, უნივერსალურ სქემებში. პირიქით, იგი აქცენტს განსხვავებული ნაწილების ურთიერთკავშირზე აკეთებს, თუმცა ისინი ზოგჯერ დაპირისპირებულ დამოკიდებულებაშიც კი არიან ერთმანეთთან, მაგრამ ეს შეხლა_შემოხლა ცვლილებებს ძლიერ ბიძგს აძლევს. ასევე აღსანიშნავია, რომ კასტელსი ერთმანეთთან აკავშირებს, მაგალითად, ფემინიზმს გლობალიზაციის პროცესებთან, ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ ინოვაციებთან, ისევე როგორც ცვლილებებს ოჯახის ფორმებში და გადაადგილებებს სტრატეგიულ სისტემებში. რასაკვირველია, ტოტალური მოცვის იდეა არ არის განსაკუთრებით მარქსიზმის საკუთრება, თუმცა არის მარქსისტული ტრადიციის მნიშვნელოვანი შემადგენელი, რომელმაც ძლიერი გავლენა მოახდინა კასტელსზე. ეს ტრადიცია გამოვიდა მოდიდან ჩვენს “პოსტმოდერნისტული” ეპოქის დღეებში, როდესაც “დიდ ნარატივს” უნდობლად ექცევიან და მთელი აღმაფრენა მიმართულია კერძო თავისებურებებსა და განსხვავებებზე. ამოდის რა მარქსისტული ხედვისგან (მიდგომისაგან). კასტელსი ტოტალური ახსნისადმი დღევანდელ ორთოდოქსალურ უნდობლობას უპირისპირდება.

ქვემოთ ჩვენ გადმოგვიჩვენებს კასტელსის შეხედულებების ძირითად დებულებებს, რომლებიც განსაკუთრებით ნათლად The Information Age –შია გადმოცემული. არის რაღაც არაკორექტული მისი შრომის ასე მოკლედ წარმოდგენაში, რამდენადაც იგი გარდაუვლად დადის საკმაოდ აბსტრაქტული და თეორიული განაზრებების კრებულზე (გროვანზე). ამგვარ მიმოხილვაში შეუძლებელია იმის ჩვენება თუ რა არის მთავარი კასტელსისთვის, იგი ემპირიკოსი სოციოლოგია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი უბრალოდ აფიქსირებს სიტუაციას, აგროვებს მონაცემებს და მათ აღწერებს. კასტელსი არა მხოლოდ იცნობს სხვადასხვა თეორიებს, მან ღრმად იცის ისინი, მაგრამ პრიორიტეტული მისთვის მაინც ემპირიული გამოცდილება რჩება. მისთვის ამოსავალია არა თეორია, რომელსაც ფაქტების მიუხედავად შემდეგ მკაცრად დაცვა და შენარჩუნება სჭირდება. (ამაშიც სჩანს კასტელსის

პოსტმარქსისტული ორიენტაცია). ნამდვილად მანუელ კასტელსი (kastells, 2000) გვთავაზობს „გამოყენებისათვის სასარგებლო“

თეორიას, რომელიც პოსტსტრუქტურული რეალიზმის აბსტრაქტული თეორეტიზირების მეტისმეტ გატაცებაზე პასუხია. თავისი შრომა კასტელსმა შექმნა მრავალი ემპირიული მასალის გამოყენების საფუძველზე, რომლებიც მან მთელს მსოფლიოში მოიძია (როგორც უკვე აღინიშნა, იგი მრავალს მოგზაურობს, აგრეთვე იყენებს თავისი დოქტორანტებიდან მიღებულ ინფორმაციებს, რომლებსაც ის წარმართავს რაც შეიძლება მეტი ლოკალობებისა და მეწარმეობის სხვადასხვა გვარეობების შესწავლაზე). ამ მონაცემებს ის ბრიწყინვალედ ანალიზებს, მნიშვნელობა არა აქვს საქმე “ველურ კაპიტალიზმს” ეხება 1989 წლის შემდგომ რუსეთში, შიდა ქალაქურ გეტოებს ჩრდილო ამერიკაში, თუ ევროკავშირის პოლიტიკის სირთულეებს, ის მუდამ ცდილობს გაიგოს და გაიაზროს არსებული ტენდენციები და ხდომილებები.

2. მანუელ კასტელსის სოციოლოგიის ძირითადი ცნებები და პრინციპები.

სოციალური თეორიის ერთ-ერთი ამასწინანდელი შენამენია – მანუელ კასტელსის ტრილოგია საერთო სათაურით „ინფორმაციული საუკუნე: ეკონომიკა, საზოგადოება და კულტურა“. კასტელსი გამოხატავს პოსტმოდერნისტული სოციალური თეორიის საპირისპირო პოზიციას, რომელიც, როგორც თავად მიაჩნია, აქეზებს „ისტორიისა და, გარკვეული დოზით, გონის დასასრულის ზემოს, უარყოფს ჩვენი გაგებისა და გაცნობიერების უნარს“: *პროგრამა, რომელმაც შვა ეს წიგნი, მიმართულია ნგრევის წინააღმდეგ და ოპოზიციამა ინტელექტუალური ნიჰილიზმის, სოციალური სკეპტიციზმისა და პოლიტიკური ცინიზმის განსხვავებულ ფორმებთან*. კასტელსი იკვლევს ახალი საზოგადოების, კულტურისა და ეკონომიკის აღმოცენებას 70-იან წლებში აშშ-ში დაწყებული ინფორმაციულ-ტექნოლოგიური (ტელევიზია, კომპიუტერები) რევოლუციის კუთხით. ამ რევოლუციამ, თავის მხრივ, დაწყებული 80-იანი წლებიდან გამოიწვია კაპიტალისტური სისტემის ფუნდამენტალური გარდაქმნა და გაჩენა იმისა, რასაც კასტელსი „ინფორმაციულ კაპიტალიზმს“ ეძახის. გარდა ამისა აღმოცენდა „ინფორმაციული საზოგადოება“ (თუმცა მათ შორის ადგილი აქვს მნიშვნელოვან კულტურულ და ინსტიტუციონალურ განსხვავებას). ორივე აღნიშნული ფორმა ეფუძნება „ინფორმაციონალიზმს“ – რომლის დროსაც, განვითარების წესი, წარმოების ძირითადი წყარო არის ცოდნისა და ინფორმაციის საფუძველზე წარმოების ფაქტორების ოპტიმიზირების თვისობრივი შესაძლებლობის უნარი” ინფორმაციონალიზმის განსაკუთრებით ინფორმაციული კაპიტალიზმისა, გავრცელება, იწვევს პიროვნებასა და იდენტურობაზე დაფუძნებული ოპოზიციური სოციალური მოძრაობების აღმოცენებას, პროცესი, რომლის საშუალებით სოციალური აქტორი აცნობიერებს საკუთარ თავს და მნიშვნელობას აყალიბებს, პირველ რიგში, მოცემული კულტურული ნიშნის ან ნიშანთა ჯამის საფუძველზე და გამორიცხავს სხვა სოციალური სტრუქტურების დახმარებას“. ეს მოძრაობები მარქსისტული „კლასობრივი ბრძოლის“ თანამედროვე ექვივალენტებია. იმედს, წინააღმდეგობა გაუწიო ინფორმაციული კაპიტალიზმისა და მისი თანმდევი პრობლემების (ექსპლოატაცია, მუქარა პიროვნებასა და იდენტურობაზე, ინფორმაციული შეზღუდვები) გავრცელებას, იძლევა არა მუშათა კლასი, არამედ განსხვავებული სოციალური მოძრაობები (მაგალითად, ეკონომიური, ფემინისტური), რომლებიც ძირითადად იდენტურობას ეფუძნებიან. კასტელსის ჩატარებული ანალიზის არსი მდგომარეობს იმაში, რასაც ის ინფორმაციული ტექნოლოგიის პარადიგმას ეძახის. ამ უკანასკნელს აქვს ხუთი ძირითადი თვისება.

ჯერ-ერთი, ესაა ტექნოლოგიები რომლებიც გავლენას ახდენენ ინფორმაციაზე.

მეორე, რადგან ინფორმაცია არის ადამიანის მოღვაწეობის ძირითადი ნაწილი, ამ ტექნოლოგიების გავლენა ყოველს მომცველია.

მესამე, ყველა სისტემები, რომლებიც იყენებენ ინფორმაციულ ტექნოლოგიას, განისაზღვრებიან „ქსელის ლოგიკით“, რომელიც მათ აძლევს საშუალებას იქონიონ გავლენა მრავალ პროცესსა და ორგანიზაციაზე.

მეოთხე, ახალი ტექნოლოგიები ძალზე მოქნილებია, რაც იძლევა მუდმივი ცვალებადობისა და ადაპტირების შესაძლებლობას.

მეხუთე, ინფორმაციასთან დაკავშირებული ცალკეული ტექნოლოგიები ერთიანდებიან უკიდურესად ინტეგრირებულ სისტემაში.

80-იან წლებში აღმოცენდა ახალი გლობალური ინფორმაციული, მომგებიანობით მზარდი ეკონომიკა. ის *ინფორმაციულია იმიტომ*, რომ მისი სამეურნეო ერთეულები ან აგენტების (იქნება ეს ფირმა, რეგიონი თუ სახელმწიფო) წარმოებითობა თუ კონკურენტუნარიანობა ძირფესვიანად დამოკიდებულია მათსავე უნარზე შექმნან, დაამუშავონ და ეფექტურად გამოიყენონ ცოდნაზე დაფუძნებული ინფორმაცია. ის *გლობალურია იმიტომ*, რომ აქვს „*უნარი ფუნქციონირებდეს, როგორც ერთიანი მთლიანი რეალურ დროსა და მთელი პლანეტის მასშტაბით*“. პირვლად ეს შესაძლებელი გახდა ახალი ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების წყალობით. ახალი ეკონომიკა „ინფორმაციულია და არა მარტივად ინფორმაციაზე დაფუძნებული, იმიტომ, რომ მთელი სოციალური სისტემის კულტურულ-ინსტიტუციონალური თვისებები უნდა იყვნენ ჩართული ახალი ტექნოლოგიური პარადიგმის განვითარებასა და განხორციელებაში“. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ეკონომიკა გლობალური ხასიათისაა, არსებობენ განსაზღვრული განსხვავებები, და კასტელსი გამოყოფს ახალი გლობალური ეკონომიკის რეგიონებს_ ჩრდილოეთ ამერიკა, ევროკავშირი და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია. ამგვარად, ჩვენ ვსაუბრობთ რეგიონებად დაყოფილ გლობალურ ეკონომიკაზე. გვარდა ამისა, მნიშვნელოვანი განსხვავებებია რეგიონებში, და ძალზე მიშვნელოვანია, რომ როდესაც დედამიწის ზოგიერთი რეგიონები ჩაერთვებიან ამ პროცესში მაშინ, ზოგიერთი სხვა რეგიონები გადიან ამ პროცესიდან, რასაც მოყვება სერიოზული ნეგატიური შედეგები. გადიან მსოფლიოს დიდი სფეროები (მაგალითად საჰარისქვედა მთელი აფრიკა), აგრეთვე პრივილეგირებული რეგიონების ნაწილი (მაგალითად, აშშ ქალაქების ნაწილი).

ახალი გლობალური ინფორმაციული ეკონომიკის აღმოცენებას თან სდევს **ახალი ორგანიზაციული ფორმების _ ქსელური საწარმოების _ გაჩენა**. სხვა რამესთან ერთად, ქსელური მრეწველობა ხასიათდება მოქნილი (და არა მასობრივი) წარმოებით, მართვის ახალი სისტემებით (ხშირად გადმოტანილია მენეჯმენტის იაპონური მოდელიდან), უფრო ჰორიზონტალური, ვიდრე ვერტიკალური მოდელის მქონე ორგანიზაციებით და მსხვილი კორპორაციების გაერთიანებით სტრატეგიულ ალიანსებში. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია _ ორგანიზაციის ფუნდამენტური კომპონენტია ქსელების ერთობლიობა. სწორედ ამის გამო კასტელსი ამტკიცებს, რომ „**ახალი ორგანიზაციული ფორმა აღმოცენდა, როგორც ინფორმაციულ-გლობალური ეკონომიკის მახასიათებელი: ქსელური დაწესებულება**“, გაგებული როგორც „**დაწესებულების სპეციფიკური ფორმა, რომლის საშუალებათა სისტემა იქმნება ავტონომიურ სისტემათა მიზნების გადაკვეთის სეგმენტით**“. ქსელური დაწესებულება არის გლობალური ინფორმაციული ეკონომიკის კულტურის მატერიალიზაცია და ეს ცოდნის დამუშავების გზით სიგნალების გარდაქმნას საქონლად შესაძლებლად აქცევს. შედეგად იცვლება შრომის ბუნება (მაგალითად, შრომის ინდივიდუალიზაცია სამუშაო დროის გრაფიკის მოქნილი ფორმების შემოღებით), თუმცა ამ ცვლილების კონკრეტული ხასიათი განსხვავებულია სხვადასხვა სახელმწიფოებში.

კასტელსი ასევე განიხილავს *რეალური ვირტუალობის კულტურის* აღმოცენებას, რომელსაც თან სდევს მულტიმედიური ტექნოლოგიური საშუალებების განვითარება, რომელიც წარმოადგენს მასობრივი ინფორმაციისა და კომპიუტერული ტექნოლოგიის შერწყმას, *„სისტემისა, რომელშიც თვით რეალობა (ე.ი.ადამიანთა მატერიალურ-სიმბოლური არსებობა) მთლიანად ჩაიძირება ვირტუალურ, წარმოსახვით სამყაროში, სადაც გამოსახულება უბრალოდ კი არ ჩნდება ეკრანზე, რომელიც გადმოგვცემს გამოცდილებას, არამედ თავად წარმოადგენს გამოცდილებას“*. წარსულისაგან განსხვავებით, როდესაც ბატონობდა „ადგილის სივრცე“ (მაგალითად, ისეთი ქალაქები, როგორებიცაა ნოუ-იორკი ან ლონდონი.), დღეს წარმოიშვა ახალი სივრცული ლოგიკა, „ნაკადების სივრცე“. ჩვენს სამყაროში უფრო ბატონობენ პროცესები და არა ფიზიკური ადგილმდებარეობა (თუმცა ეს უკანასკნელი აგრძელებს არსებობას). ამგვარადვე ჩვენ შევდივართ ეპოქაში „დრო დროის გარეშე“, რომელშიც, მაგალითად ინფორმაცია მიღწევადია დედამიწის ნებისმიერ წერტილში.

კასტელსი არ იზღუდება მხოლოდ ქსელური დაწესებულების ანალიზით და შემდეგ ამტკიცებს, რომ *„ინფორმაციულ ეპოქაში გაბატონებული ფუნქციები და პროცესები უფრო მეტად თავს იყრიან ქსელების, როგორც „ურთიერთდაკავშირებული კვანძების“ ირგვლივ*. ქსელები ღიაა და უნარი აქვთ განუსაზღვრელად გაფართოვდნენ, დინამიურები არიან და შეუძლიათ განახლება სისტემის რღვევის გარეშე. მაგრამ ის, რომ ჩვენი ეპოქა ქსელებით განისაზღვრება არ ნიშნავს კაპიტალიზმის დასასრულს. არსებითად, ყოველ შემთხვევაში, ამ წუთისათვის, ქსელები პირველად აძლევენ კაპიტალიზმს შესაძლებლობას ფინანსურ ნაკადებზე დაყრდნობით გახდეს ნამდვილად გლობალური და ორგანიზებული, რომლის მაგალითია, ხშირი საუბრის ობიექტები, *„გლობალური ფინანსური კაზინოები“* – ქსელისა და ინფორმაციული სისტემის მშვენიერი მაგალითი. *ფულის, რომელიც აქ ტრიალებს დღეს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე წარმოების პროცესში გამომუშავებულს. ფული გამოეყო წარმოებას; ჩვენ ვცხოვრობთ კაპიტალისტურ ეპოქაში, რომელსაც ახასიათებს ფულისადმი დაუსრულებელი სწრაფვა*.

როგორც ზემოთ ვნახეთ, კასტელსს არ მიაჩნია, რომ ქსელების, რეალური ვირტუალობის განვითარება, ინფორმაციონალიზმი და განსაკუთრებით მათი გამოყენება ინფორმაციონალურ კაპიტალიზმში მიმდინარეობს შეფერხებების გარეშე. მათთან ოპოზიციას იმყოფება ინდივიდები და კოლექტივები, რომელთაც აქვთ იდენტურობა, რომელსაც ისინი იცავენ. ამგვარად *„ღმერთი, სახელმწიფო, ოჯახი და საზოგადოება უზრუნველყოფს უცვლელ, მარადიულ კოდებს, რომლის ირგვლივ განლაგდებიან შემოტევის საწინააღმდეგო მოძრაობები“* მნიშვნელოვანია ითქვას, რომ წარმატების მისაღწევად წინააღმდეგობის აღნიშნული მოძრაობა უნდა დაეყრდნოს *ინფორმაციასა და ქსელს*. ამგვარად, ისინი მნიშვნელოვანწილად ჩართულნი არიან ახალ წესრიგში. ამ კონტექსტში კასტელსი აღწერს მრავალ სოციალურ მოძრაობას, მათ შორის საპატისტებს მექსიკის ჩიაპასში, ამერიკულ მილიციას, „აუმ სენრიკე“-ს იაპონურ კულტს, გარემოს დაცვის მოძრაობას, ფემინიზმს და ჰომოსექსუალურ მოძრაობას.

რა შეიძლება ითქვას სახელმწიფოზე? კასტელსის თვალსაზრისით ახალ სამყაროში მისი ეკონომიკის გლობალიზაციითა და კაპიტალის გლობალური ბაზრების დამოკიდებულებით *სახელმწიფო ნაკლებად ძლიერი ხდება*. ამგვარად, მაგალითად, სახელმწიფო ვერ დაიცავს თავის სოციალურ პროგრამებს, რადგანაც მსოფლიოში არსებული დისბალანსი მოგვცემს იმას, რომ კაპიტალი წავა იმ ქვეყნებისაკენ, სადაც სოციალურ პროგრამებზე დაბალი დანახარჯებია. სახელმწიფოს სიძლიერეს არღვევს აგრეთვე გლობალური კომუნიკაციები, რომლების თავისუფლად გადაედინებიან ერთი ქვეყნიდან მეორეში. გვარდა ამისა გშეიმჩნევა გლობალური დანაშაულებანი და გლობალური ქსელების შექმნა, რომელიც არ ექვემდებარებიან რომელიმე ქვეყნის კონტროლს. სახელმწიფო

სუსტდება აგრეთვე მრავალმხრივი, სუპერსახელმწიფოების გაჩენით, როგორც ევროპული კავშირია, და შინაგანი ქვედანაყოფებით. მიუხედავად იმისა, რომ ისინი კვლავ არსებობენ კასტელს მიაჩნია, რომ სახელმწიფო გადაიქცა *ძალაუფლების უფრო ფართო ქსელის კვანძებად*.

დილემა რომელიც დადგება სახელმწიფოს წინაშე მდგომარეობს, იმაში რომ, თუ ის წარმოადგენს საკუთარ ხალხს ის იქნება ნაკლებად ეფექტური გლობალურ სისტემაში, მაგრამ თუ ის აქცენტს გააკეთებს ამ უკანასკნელზე, მაშინ ვერ შეძლებს ადეკვატურად გამოხატოს საკუთარი ხალხის ინტერესები. სახელმწიფოს კრახის მაგალითად შეიძლება ავიღოთ საბჭოთა კავშირი. ის ვერ შეეწყო ახალ ინფორმაციონალიზმს და ქსელების სამყაროს. მაგალითად, საბჭოთა სახელმწიფოში მონოპოლიზირებული იყო ინფორმაცია, მაგრამ ეს შეუთავსებელია სამყაროსთან, სადაც წარმატებები მიზნულია ინფორმაციის თავისუფალ ნაკადზე. საბჭოთა კავშირის დაშლით სახელმწიფო ადვილი ლუკმა გახდა გლობალური კრიმინალური ელემენტებისათვის. მხედის ირონიით გლობალური ინფორმაციული საზოგადოების გარეთ მდგარი რუსეთი დღეს მნიშვნელოვანწილად ჩათრეულია გლობალურ დამნაშეველობაში.

საკუთარი კრიტიკული ორიენტაციის ერთგული, განსაკუთრებით ინფორმაციული კაპიტალიზმის მხრიდან პიროვნების, იდენტურობის, კეთილდღეობის მიმართ მისი მტრული დამოკიდებულებისა, კასტელსი აკეთებს დასკვნას იმის შესახებ, რომ დღევანდელ მდგომარეობაში ჩვენი „ეკონომიკა, საზოგადოება და კულტურა.. .. ზღუდავს კოლექტიურ შემოქმედებას, კონფისკაციას უშვება ინფორმაციული ტექნოლოგიის შემოსავალს და ჩვენს ენერჯიას მიმართავს თვითდამანგრეველი წინააღმდეგობებისაკენ”. მამგრამ ასე არ უნდა მოხდეს, რადგან „არ არსებობს ისეთი რამ, რისი შეცვლაც შეუძლებელია გააზრებული მიზანმიმართული სოციალური ქმედებით”.

კასტელსი გვთავაზობს ჩვენი ახალი კომპიუტერიზებული სამყაროს პირველ დასაბუთებულ სოციოლოგიურ ანალიზს და ამ ნაშრომიდან შეიძლება მრავალი დასკვნის გაკეთება. ყურადღებას იქცევს ორი ძირითადი ნაკლი. ჯერ-ერთი, ეს უმეტესწილად ემპირიული გამოკვლევაა (ეფუძნება მეორად მონაცემებს) და კასტელსი ცდილობს თავი აარიდოს გარკვეული თეორიული წყაროების გამოყენებას, რომლებსაც შეეძლოთ გაეძლიერებინათ მისი ნაშრომი. მეორე, ის ყურადღებას გამოკვეთილად უთმობს წარმოების სფეროს და არ განიხილავს მოხმარების სფეროსათვის მისი ანალიზის შედეგებს. მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, კასტელსმა, მის მიერ აღწერილი უახლოესი სამყაროს უკეთ გასაგებად შემოგვთავაზა მნიშვნელოვანი დასაწყისი.

3. ინფორმაციული კაპიტალიზმის არსება (ფრენკ უებსტერის მიხედვით)

უწყვეტობა თუ ცვლილებები ?

კასტელსის მთავარი არგუმენტი ისაა, რომ “ინფორმაციული ეპოქა” “ახალი საზოგადოების” წარმოქმნას მოასწავებს, (Castells, 2000, გვ.693), რომელიც ქსელთა გაშლისა და გაფართოების წყალობით წარმოიშობა (ქსელები კი უზრუნველყოფილია ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიებით) და რომელშიც პრიორიტეტული მნიშვნელობა ინფორმაციულ ნაკადებს აქვს. მის შესახებ შემდეგშიც იქნება მსჯელობა, მაგრამ ახლა მსურს აღვნიშნო, რომ კასტელსი პირდაპირ არასდროს ლაპარაკობს ინფორმაციული საზოგადოების წარმოშობის შესახებ. მისი აზრით, ყველა საზოგადოება იყენებდა ინფორმაციას, და შესაბამისად ტერმინი “ინფორმაციული საზოგადოება” არ ფლობს დიდ ანალიტიკურ ღირებულებას დამდეგი ერის თავისებურებების განმსაზღვრებისათვის. (Castells 2000d, c.21) თანამედროვე სიტუაციის აღწერისას, კასტელსი უპირატესობას ტერმინ “ინფორმაციულ კაპიტალიზმს” ანიჭებს. აქ მნიშვნელოვანია განსაზღვრებაც და არსებითი სახელიც. ერთის მხრივ, ზედსართავი სახელი მას აძლევს შესაძლებლობას ყურადღება მიაპყროს ინფორმაციის

გამლაგაფართოებას, რომელიც საკვებით ახალი დამოკიდებულებების სიმბოლიზირებას ახდენს. კასტელსისთვის საკვანძო მნიშვნელობის ტერმინი “ინფორმაციონალიზმი” ნიშნავს “ცოდნის ცოდნაზე ზემოქმედებას როგორც ნაყოფიერების (მწარმოებლურობის) ძირითად წყაროს” (კასტელსი, 1996, გვ.17), შესაბამისად „ახალ ეკონომიკაზე,, აგრეთვე „ახალ საზოგადოებაზე,, გადასვლას. მემორეს მხრივ, ტერმინი „კაპიტალიზმი,, კასტელს აძლევს იმის დანახვის შესაძლებლობას, რომ კვლავაც პრევალირებს ეკონომიკური ურთიერთობების ჩვეული ფორმები (მოგებისადმი სწრაფვა, კერძო საკუთრება, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და ა.შ.). იგი აღნიშნავს, რომ „ინფორმაციონალური კაპიტალიზმი,, - ეს კაპიტალიზმის განსაკუთრებით უმოწყალო - ულმობელი, მტაცებლური ფორმაა, რამდენადაც იგი ქსელური კავშირების წყალობით თავის თავში აერთიანებს არნახულ მოქნილობას გლობალურ არსებობასთან (რაც წინამორბედ კაპიტალისტურ ეპოქებში არ შეიმჩნეოდა) ერთად.

ამ მიმოხილვის ძირითადი მიზანია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ მეცნიერები, რომლებიც აქცენტს სისტემურ ცვლილებებზე აკეთებენ და შესაბამისად ინფორმაციული საზოგადოების კონცეფციას მიმართავენ, მეცნიერთაგან, რომლებსაც სჯერათ, რომ თანამედროვეობის, გნებავთ დღევანდელიობის ყველაზე არსებითი მახასიათებელი ნიშანი მემკვიდრეობითობასა და უწყვეტობაშია. და ვის აძლევს ხელს დასვას საკითხი: რომელ ბანაკს მიეკუთვნება კასტელსი. იგი ხაზს უსვამს ცვლილებათა სიღრმეს (ტყუილუბრალოდ ხომ არ ეწოდება მის წიგნს „ინფორმაციული ეპოქა: ეკონომიკა, საზოგადოება და კულტურა,,) და ამავდროულად აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ კაპიტალიზმი კვლავაც აგრძელებს თავის არსებობას და რომ იგი უფრო საშიში გახდა, უფრო ძლიერ განმტკიცდა, ვიდრე როდესმე. როგორც ჩანს კასტელსს ორივე ბანაკში სურს ითამაშოს, ამტკიცებს რა, რომ კაპიტალისტური განვითარების და 1970-იან წლებში იკტ-ს გაჩენის შერწყმამ ინფორმაციული კაპიტალიზმის წარმოშობასთან მიგვიყვანა. კასტელსი აღიარებს, რომ ჩვენს დროში კაპიტალიზმი წამყვან როლს თამაშობს (ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადრინდელი ურთიერთობები გრძელდება და ფართოვდება კიდევ) და ამავე დროს ამტკიცებს, რომ ფუნდამენტური ცვლილებები ხდება „ქსელური საზოგადოების,, დადგომა-წარმოქმნის გამო და რომ ეს ქსელები მომავალი სოციალური ორგანიზმის აუცილებელ წინამძღვრებს წარმოადგენენ. გადაუჭრელი წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს იმის აღიარებასა, რომ ჩვენი ეპოქის ყველაზე მთავარი დამახასიათებელი ნიშანი კაპიტალიზმია (მემკვიდრეობითობა და უწყვეტობა) და იმის მტკიცებას შორის, რომ ინფორმაციონალიზმს აქვს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა (ცვლილებები), გასდევს მანუელ კასტელსის მთელ წიგნს, რასაც ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით.

ქსელური საზოგადოება

კასტელსი ასაბუთებს, რომ ჩვენ განვიცდით „ინფორმაციულ ეპოქაში გადასვლას, რომლის მთავარი ნიშანი ხდება ქსელი, რომელიც თავის მხრივ ერთმანეთს შორის აკავშირებს ადამიანებს, ინსტიტუციებს და სახელმწიფოს. ეს მრავალ შედეგს იწვევს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი – მზარდ გლობალურ საქმიანობასა და გამწვავებულ სოციალურ დაყოფას შორის განხეთქილების შესაძლო გაღრმავებაა. კასტელს საკითხის ორივე მხარე აინტერესებს, მას სურს იკვლიოს ის წესები, რომელთა მეშვეობით გლობალიზაცია ადამიანთა შორის ერთის მხრივ ინტეგრაციას აძლიერებს ,ხოლო მეორეს მხრივ ფრაგმენტაციას და დეზინტეგრაციას უწყობს ხელს. ეს ტრილოგიის ძირითადი საკითხი გახდა.

კასტელის მიხედვით, ინფორმაციული ეპოქის დაწყება 1970-იან წლებში ხდება. იგი ემთხვევა კაპიტალისტური კრიზისის პერიოდს, რომელმაც გვამცნო იმის დასასრული, რაც ომისშემდგომ მოწყობად იყო მიღებული (სრული დასაქმება, მზარდი ცხოვრებისეული სტანდარტები, სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემები და ა.შ.) კრიზისმა კაპიტალისტური მეწარმეობის რესტრუქტურისაცა დააჩქარა, რეცესიებითა და მზარდი კონკურენციით შებოჭილი კორპორაციები მოგების ახალ წყაროებს ეძებდნენ. მმოხდა ისე, რომ ეს რესტრუქტურისაცა, კასტელის ტერმინოლოგიით, განვითარების ინფორმაციული წესის წარმოშობას დაემთხვა, მოვლენას, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ინფორმაციის ზრდასთან და კომუნიკაციურ ტექნოლოგიებთან.

ეს ერთდროული განვითარება ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, იმიტომ, რომ კაპიტალიზმის რესტრუქტურისაცა თავის ძირითად ნიშნებში ახალი ტექნოლოგიებისა და იკტ-ს ათვისების საკითხი იყო, რომელიც კომერციული აქტივობის ახალი წესების ძიებაში განხორციელდა. 1970-იანი წლებიდან დაწყებული კაპიტალიზმის ახალი ფორმა, რომელსაც კასტელს ინფორმაციულ კაპიტალიზმს უწოდებს, იყენებს ინფორმაციულ ქსელებს საქმეების წარმოებისათვის როგორც უშუალოდ წარმოებაში (ახალი შრომითი ხერხების მიმართ), ისე მარკეტინგისათვის მთელს მსოფლიოში. ყველაფერი ეს ამასთანავე მჭიდროდაა დაკავშირებული გლობალიზაციის ხანგრძლივ, მუდმივად მიმდინარე და დაჩქარებულ პროცესებთან, თანაც ისეთი ხარისხით, რომ ამ ქსელურ საზოგადოებაში კაპიტალისტური საქმიანი აქტივობა მიმდინარეობს რეალურ დროში სივრცული შეზღუდვების გარეშე, რაც წარმოუდგენელია განვითარებული იკტ-ს გარეშე.

მრავალი ავტორისათვის გლობალური ინფორმაციული ქსელების გავრცელება ნაციონალური სახელმწიფოების დაცემას მოასწავებს, რამდენადაც საზღვრები ვერ უქმნიან დაბრკოლებებს ინფორმაციის ელექტრონულ ნაკადებს და შესაბამისად მათი მარკეტინგი, წარმოება და გავრცელება სულ უფრო მსოფლიო მასშტაბებში ხდება, რაც ქვეყნებს შორის საზღვრებს შლის. კასტელს ეს მშვენივრად ესმის, მაგრამ მას არ მიაჩნია, რომ ქსელები ნაციონალური სახელმწიფოების სიკვდილს აღნიშნავს. მნიშვნელოვანი ხარისხით ისინი შეიძლება დასუსტდნენ, და რასაკვირველია მსოფლიო ბაზარზე უნდა გავიდნენ, მაგრამ, მათი როლი მაინც მნიშვნელოვანი რჩება. და ძირითადად იმიტომ, რომ მიუხედავად გლობალიზაციისადმი ტენდენციებისა, არსებობს ამასთან დაკავშირებული გლობალიზაციის ყველა მონაწილის მაქსიმალური ადაპტაციურობის (შეგუების) მოთხოვნილებაც. საბაზრო სიტუაციების მკვეთრი და ხშირი ცვლილებები და მათი გამოყენების შესაძლებლობები ჩვეულებრივი გახდა მსოფლიოსთვის, რომელშიც „ახალი ეკონომიკა ხასიათდება... შემოქმედებითი ქაოსით.“ (კასტელსი, 1996, გვ. 147). და გარემოებების შესატყვისად ნაციონალური მთავრობები პასუხისმგებელნი ხდებიან ახლადგამოვლენილი შესაძლებლობების გამოყენებისათვის (და მისი გამოყენებლობისათვისაც). ამგვარად, ნაციონალური სახელმწიფო თავის მნიშვნელობას მაშინაც კი ინარჩუნებს, როდესაც მას მოქმედება ინფორმაციული ნაკადების გლობალურ გრიგალში უხდება.

კასტელსი ზოგად მიმოხილვას აკეთებს და გლობალურად ინტეგრირებულ მსოფლიოში მოგებულებსა და წაგებულებს აფასებს, ხაზს უსვამს განსხვავებულ რეზულტატებს და შედეგებს ლათინური ამერიკის, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ახალი სამხრეთ აფრიკის ქვეყნებში. მისთვის, ცვალებად მსოფლიო არენაზე - სადაც “სამხრეთისა” და “ჩრდილოეთის” პირობითი ტერმინები ნათელს კი არ ხდიან, არამედ უფრო აბნელებენ საკითხს_არსებული განსხვავებები მნიშვნელოვანია, რამდენადაც აჩვენებენ, თუ როგორ ძალუძთ სხვადასხვა სახელმწიფოებრივ სტრატეგიებს თანამედროვე მსოფლიოში განსხვავებულ შედეგებთან მიგვიყვანონ. ეფექტური მთავრობები იაპონიისა და სინგაპურის კურსს მიყვებიან, “მტაცებლური სახელმწიფოები” კი, ისეთები

როგორებიცაა უგანდა, ზაირი და ზოგიერთი სხვა აფრიკული ქვეყნები, გლობალურ ქსელურ საზოგადოებასთან მიმართებაში მარგინალურნი ხდებიან და თავიანთ გასაჭირს და უსახსრობას” მათხოვრობის პოლიტიკონომიით” ავსებენ (კასტელსი, 1998, გვ.114).

მჭიდროდ ნაქსოვი ხალიჩის მსგავს მსოფლიოს სურათის ხატვისას, კასტელსი ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე გვაგებინებს, თუ როგორი მიმართულებით ვითარდება ქსელური საზოგადოება. შრომის უახლესი საერთაშორისო დანაწილებები შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგრამ მისი ზოგადი და საერთო მიმართულება ცხადია და ოთხი ვარიანტი აქვს, სახელდობრ:

- _ ინფორმაციულ შრომაზე დაფუძნებული მაღალი ღირებულების მწარმოებლები.
- _ შრომის არცთუ მაღალ ღირებულებაზე დაფუძნებული დიდი მოცულობების მწარმოებლები.
- _ ნედლეულის მწარმოებლები (რომლებსაც საფუძვლად ბუნებრივი რესურსები აქვს).
- _ ჭარბი მწარმოებლები (რომლებიც თითქმის გაუფასურებულ _ უფასო შრომით სარგებლობენ).

ქსელური მეწარმეობა

ჩვენ შევედით ქსელური საზოგადოების ახალ ეპოქაში, რომელიც კაპიტალიზმის და “ინფორმაციული რევოლუციის” შეზრდის შედეგად წარმოიშვა. კასტელსი ფიქრობს, რომ საკითხი აქ მხოლოდ გლობალიზაციაში არაა, თუმცა, რასაკვირველია, ისიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. შეიცვალა გლობალურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული ორგანიზაციული ფორმებიც, რომლებიც ქსელურ გავრცელებას ეყრდობიან, რამაც დებიუროკრატიზაციასთან მიგვიყანა. იგულისხმება, რომ გიგანტურ ტრანსნაციონალურ კორპორაციებშიც კი ბიუროკრატია ადგილს “სიმშვიდის რეალურ დამრღვევებს”, ინფორმაციულ მუშაკებს უთმობს, რომლებიც ოპერირებენ ქსელებში, გარიგებებს სდებენ მთელ მსოფლიოში, მუშაობენ რაღაც პროექტზე და პოულობენ საბაზრო ნიშებს და რომლებიც უფრო მეტად თავიანთ მსგავს მუშაკებთან არიან დაკავშირებულნი, ვიდრე იმ კომპანიასთან, სადაც ისინი დროებით საფუძველზე მუშაობენ.

აქ კასტელსი თითქოსდა გვერდს უვლის მეტად თუ ნაკლებად ორთოდოქსალურ შეხედულებებს, და ბიზნესის სკოლებში ფრიად მოდურ იდეებს მიმართავს. მარქსისტი მკვლევარებისათვის ინფორმაციული ქსელების გავრცელება მსოფლიო ეკონომიკაში ტრანსნაციონალური კორპორაციების გაძლიერების ზოგადი ტენდენციის მაჩვენებელია. პიტერ დიკენი (დიკენი, 1992), რიჩარდ ბარნეტი და რონალდ მიულერი (ბარნეტი და მიულერი, 1994). და აგრეთვე ჰერბერტ შილერი (შილერი, 1984) _ ამ ფართოდ გავრცელებული აზრის წარმომადგენელებია, რომლის თანახმადაც ტრანსნაციონალური კორპორაციების მკვეთრი და როგორც ჩანს, შეუქცევადი ზრდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მჭიდროდ უკავშირდება იმ ინფორმაციული ქსელების გავრცელებას, რომლებიც შეიქმნა კიდევ ამ დიდი კორპორაციული კლიენტების დაკვეთით (Dan Schiller, 1982). ხშირად ადარებენ ერთმანეთს სახელმწიფოებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების სიმდიდრეს, აღმოჩნდა, რომ იმ ასი ერთეულიდან, რომლებიც ყველაზე მაღალ მოგებას იღებენ, ნახევარი ტრანსნაციონალურ კორპორაციებზე მოდის, ან მოყავთ მონაცემები იმის შესახებ, რომ სატელეკომუნიკაციო კომპანიები ყველაზე დიდ შემოსავლებს, როგორც შიდა სახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო კორპორაციული დამკვეთებისაგან იღებენ, ანდა იმ ფაქტით ოპერირებენ, რომ მსოფლიოს სასოფლო სამეურნეო და სამრეწველო წარმოების 20%-ი დაახლოებით 600 გიგანტურ კორპორაციაზე მოდის, და ამან თითქოსდა უნდა დაამტკიცოს ზემოთმოყვანილი არგუმენტი.

მაგრამ კასტელსი, მტკიცებისას, რომ ინტეგრაცია სრულ გადატრიალებას ნიშნავს ყველაფერში, მაინც არ მიმართავს ამ საბუთებიდან არცერთს. რასაკვირველია, იგი აღნიშნავს ტრანსნაციონალური კორპორაციების არსებობას ქსელურ საზოგადოებაში, მაგრამ მიიჩნევს, რომ იგი ემუქრება ამ გიგანტებს ისევე, როგორც ყველა დანარჩენსაც და თუ ისინი არ შეიცვლებიან, მაშინ დაიღუპებიან, სხვაგვარად, რომ ვთქვათ მათი დაღუპვის რისკი ძალიან დიდია. მაშასადამე, ამტკიცებს კასტელსი, ტრანსნაციონალური კორპორაციები იმდენად დეზინტეგრირებულნი უნდა იქნენ ვერტიკალურად, რომ შეიძლოს “ჰორიზონტალურ კორპორაციებად ტრანსფორმირება.” რამდენადაც ქსელურ საზოგადოებაში, ამბობს ის, ყველაფერი გლობალური ბაზრის მოთხოვნებზე პასუხის სისწრაფესა და ადაპტაციურობაზე არის დამოკიდებული, მაშასადამე ქსელი მასში ყველაფერზე მნიშვნელოვანი ყოფილა. თუმცა ფორმალურად აგებულ კორპორაციას შეუძლია მიაწოდოს ბაზარს პროდუქცია და მომსახურება მისაღებ ფასსა და ზუსტ ვადებში, ეს მაინც ნიშნავს, რომ კომპანიების შიგნით და გარეთ ქსელები მუდმივად იქმნებიან და გარდაიქმნებიან. ე.ი. ჩვენ “კორპორაციების ქსელებად გარდაქმნის” მოწმენი ვხვდებით, რომლებშიც სტრატეგიული კავშირები იკვრება და იშლება კონკრეტული გარემოებებისა და მონაწილეების შესაბამისად, ხოლო წარმატების რეცეპტს კი წარმოადგენს ის, რასაც Toyota-ს მენეჯმენტი ხუთი ნულის პრინციპებს უწოდებს. (დეფექტების ნული, ტექნიკური შეცდომების ნული, დაგვიანებების – გადავადებების ნული, ქაღალდებით მუშაობის ნული და მატერიალურ-სამრეწველო მარაგების ნული).

თუ ტრანსნაციონალური კომპანიები აგრძელებენ არსებობას, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ძირფესვიანად შეიცვალნენ და ტრანსფორმაცია განიცადეს. წარსულს ჩაბარდნენ გლობალური იმპერიები, რომელთა მოქმედებებიც მეტროპოლიის ერთი ცენტრიდან იგეგმებოდა და წარიმართებოდა. ინფორმაციულ ეკონომიკაში “დიდ კორპორაციას. . . უკვე აღარ შეუძლია და მეტად ვერც ვერასდროს შეძლებს ჩაკეტილი და თვითკმარი დარჩეს.” ახლა მან უფლებამოსილება ქსელურ ორგანიზაციულ ერთეულებს უნდა დაუთმოს “რომლებიც თვითპროგრამირებადი, თვითმართველი წარმონაქმნებია და რომელთა საფუძველსაც დეცენტრალიზაციის, მონაწილეობისა და კოორდინაციის პრინციპები შეადგენს” (გვ. 163). ამგვარად, „კონკურენციის გლობალიზაცია დიდ კორპორაციას განსხვავებული მიმართულებების მქონე ქსელთა აბლაბუდად აქცევს” (გვ.193).

ყოველივე ამაში ნათლად ისმის პოსტფორდისტული თეორიის გამოძახილი (ნახე ვებსტერის შრომის 4 თავი) და პოსტფორდისტული ჯადო სიტყვა „მოქნილობა” – კასტელსის მთელ წიგნს გასდევს, თუმცა ის იშვიათად ახდენს პოსტფორდისტული ლიტერატურის ციტირებას, მაგრამ იგი თავის შეხედულებებს ნათლად ავლენს, როდესაც ახალი პარადიგმის მაგალითის სახით მოყავს Cisco-ს კორპორაცია, რომელიც თავისი ბიზნესის 80%-ს ვებსაიტის მეშვეობით აწარმოებს. კასტელსის მიხედვით, ინდუსტრიული კაპიტალიზმისთვის ტიპიურია ფორდისტული კომპანია დიდი ქარხნებით, სტანდარტიზებული პროდუქციით და იერარქიული მმართველობით, მაშინ როდესაც Cisco – ინფორმაციული ეპოქის არქეტეპული ქსელური საწარმოა(იქვე გვ. 180-184).

ყველაფერი ეს სავსებით ეწერება მენეჯმენტის თეორიაში და მუდმივად ქვეყნდება Financial Times – ის ფურცლებზე რასაკვირველია, გლობალური ეკონომიკა მოძრავია, არასტაბილური და სარისკოა ყველა მისი მონაწილისათვის, ძირითადად ეს გლობალიზაციის შედეგია, რომელმაც, ოდესღაც შედარებით დაცული (შიდა დაცული ბაზრების წყალობით) კორპორაციული მოთამაშენი მსოფლიო მასშტაბის მკაცრ კონკურენციულ ბრძოლაში ჩაითრია. მაგრამ კასტელსის პოსტულატი ერთდროულად მარტივიცაა და მნიშვნელოვნად ღრმაცაა. იგი ამტკიცებს, რომ ”ქსელის ლოგიკას უფრო მეტი ძალაუფლება აქვს, ვიდრე ძალაუფლებას ქსელში”. ამ აფორიზმით იგი ცდილობს გაგვაგებინოს, რომ იკტ-მ შეამცირა და დასცა გლობალური კორპორაციების ეფექტურობა და

მკვეთრად გააძლიერა იმ ადამიანებისა და ორგანიზაციების პოზიციები, რომლებიც ეფექტურობას და მოსაზრებულობას ავლენენ ქსელის მათეულ გაგებაში. ამ ადამიანებს დღესაც შეუძლიათ კორპორაციის ჩარჩოებში მუშაობა, მაგრამ ახალმა ტექნოლოგიებმა გამოიწვიეს დამქირავებლებიდან ქსელური მუშაკების ხელში ძალაუფლების გადანაწილება.

კასტელსი (Castells, 1996) გვთავაზობს იმას, რასაც იგი ინფორმაციონალიზმის სულისკვეთებას, გონს უწოდებს (გვ.195). აქ ის მაქს ვებერის ცნობილ პოსტულატს ეყრდნობა, რომელიც კალვინიზმის კაპიტალიზმთან „შერჩევით_გამორჩევით ნათესაობას“ _ „პროტესტანტული ეთიკის“ „კაპიტალიზმის სულისკვეთებასთან, გონთან“ შერწყმასა და შედუღებას უშვებს და გვთავაზობს შედარებად ფაქტორს, რომელიც ჩვენს დროში მოქმედებს. „კაპიტალიზმი ძველებურად არსებობს, მაგრამ ახალ, პრინციპულად მოდიფიცირებულ ფორმებში“ (გვ.198), რომლის ძირითად ღერძს “ინფორმაციონალიზმის გონი (სულისკვეთება)” წარმოადგენს. “ინფორმაციონალიზმის ამ სულს (გონს) კასტელსი კიბერსივრცის მოთამაშეთა სახეების მეშვეობით აღწერს, რომლებიც ადვილად და თავისუფლად უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციებს, აქვთ კარგი კონტაქტი ერთმანეთს შორის და იმდენად ეფექტურად არიან შეერთებულნი ქსელში, რომ ძალუმთ თანამედროვეობის მოთხოვნებს გაუსწრონ. კასტელსი შემრულია “შემოქმედებითი დესტრუქციის” (შუმპეტერის ტერმინოლოგიით) ტალღების მეშვეობით ქსელში მიღებული გადაწყვეტილებების უნარით ძირეული გავლენა მოახდინოს ადამიანებსა და ხდომილებებზე მთელ მსოფლიოში. და, მამასადაძემ, მიაჩნია მას, წარმოიშვება პიროვნების ახალი ტიპი, რამდენადაც ის, ვინც ასეთ გადაწყვეტილებებს იღებს, არ არის ანგარიშვალდებული თავიანთი დამქირავებლების წინაშე, მაგრამ მუდამ ღია არიან იმათთვის, ვინც ქსელურ ტალანტს ფლობენ. ამიტომ არ არის გასაკვირი, როდესაც ახალი სიტუაციის დახასიათებისას, კასტელსი ასე აღწერს მას: „შუმპეტერი ხვდება ვებერს ქსელური წარმოების კიბერსივრცეში”(გვ.199), აყენებს ერთად სახელებს, რომლებიც სწრაფი ცვლილებების, შემოქმედებითობისა და პირადი ინიციატივის მაგარ ნარევს გვთავაზობენ.

კასტელსი შრომით პრაქტიკასა და დასაქმებულობის მოდელებში არსებულ ცვლილებებს დიდ ყურადღებას უთმობს. სტატისტიკისა და დეფინიციის სფეროში გრძელი და ხანგრძლივი ექსკურსიდან აკეთებს დასკვნას: ინფორმაციული შრომის რაოდენობა საზოგადოებაში გაიზარდა; მას მთლიანობაში მეტი კმაყოფილება მოაქვს, ვიდრე შრომით საქმიანობას, რომელიც წარსულში იყო მისაწვდომი. ეს სამუშაოები უფრო ინდივიდუალიზებული ხასიათისაა ვიდრე ადრე იყო, ხოლო, ქსელურ საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებები, ნიშნავს: ადამიანი საჭიროა შეეგუოს უფრო სწორად შეეჩვიოს მოქნილობას იმაშიც, რასაც ის დღეს აკეთებს და იმაშიც, რის გაკეთებასაც იგი მომავალში აპირებს, თუ მას სურს ინფორმაციული კაპიტალიზმის “სისტემურ მოქნილობაში” გადარჩეს.

ინფორმაციონალური კაპიტალიზმის კულტურული შედეგები

წიგნის The Rise Of The Network Society-ის დაახლოებით შუაში კასტელსი გადადის ტექნოლოგიური ცვლილებების კულტურული შედეგების განხილვაზე. იგი არ განიცდის შფოთსა და მღელვარებას ქსელში არსებული ინფორმაციის შინაარსთან დაკავშირებით და მას ნაკლებ აშინებს და აინტერესებს კომპიუტერული პორნოგრაფიებისა და ნეოფაშისტური გვერდებიდან (საიტებიდან) მომდინარე საფრთხეები. კასტელსი იკტ-ს დანერგვის უფრო ღრმა შედეგებს განსაზღვრავს, რითაც პატივს მარშალ მაკლუჰანს მიაგებს, რომელმაც დაინახა, რომ ტელევიზიას მივყავართ ბეჭდური (დაზგური) კულტურის („გუტენბერგის გალაქტიკის“) განადგურებასთან და წინამდებარე კულტურული

ფორმების დათრგუნვასთან. კასტელსის მიერ მოყვანილი საბუთები თუ მტკიცებულებები დაიყვანება შემდეგზე: როგორც ტელევიზია პოლიტიკაში მთავარ როლს თამაშობს, არა კონკრეტული შინაარსის გამო, არამედ იმიტომ, რომ შეუძლებელია დღეს ეწეოდეს პოლიტიკას, თუ საქმე და მისადგომი არ გაქვს ტელევიზიასთან, ასევე ქსელთა როლიც _ არა მათ შინაარსში უნდა ვეძიოთ, არამედ ქსელების ხელმისაწვდომობის თავად ფაქტში, ე.ი. რამდენად შეგწევთ უნარი ჩაერთოთ ქსელში. თუ თქვენ არ ხართ ქსელში, თქვენ არ შეგიძლიათ სრულფასოვნად მიიღოთ მონაწილეობა ქსელური საზოგადოების ცხოვრებაში. კომპიუტერული ქსელი, თავის მხრივ, ბოლოს მოუღებს კომუნიკაციის ისეთ მასობრივ საშუალებას, როგორც ტელევიზია (ცენტრალიზებული წარმოება და მაუწყებლობა ჰომოგენური აუდიტორიისათვის), რამდენადაც ისინი ახდენენ კომუნიკაციების ინდივიდუალიზაციას და მას ინტერაქტიულს ხდიან. ამიტომ კულტურისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხდება ქსელის მისადგომობა _ მისაწვდომობის საკითხი, ვინაიდან მხოლოდ იგი გვაძლევს ვისთანაც გვინდა და როდესაც გვინდა კომუნიკაციისა და ინტერაქტიული ურთიერთობის შესაძლებლობას.

კასტელსი შემფოთებულია ინტერნეტის გავრცელების წინამორბედი ტექნოლოგიური განვითარების ზოგიერთი ასპექტითა თუ მხრით, რადგან ისინი ხელს უწყობენ იმ ზოგად ტენდენციას, რომელიც საზოგადოების ფრაგმენტაციაზეა მიმართული და ეს აზრი კასტელსის მთელ წიგნს წითელ ზოლად გასდევს. მაგალითად, ახლახანს წარმოქმნილი საკაბელო და თანამგზავრული ტელევიზიის მიზნობრივი აუდიტორია ჰყავს და ამიტომ თითოეული მათგანი იღებს წინასწარ შერჩეულ ინფორმაციას, აცალკევებს რა მაყურებლებს, ვთქვათ MTV-ისა და Sky Sport-ის არხების მიხედვით. ამასთან დაკავშირებით კასტელსი ახდენს მაკლუენის ცნობილი განსაზღვრების პერიფრაზირებას და წერს, რომ *message is the medium* [(საშუალება თავად არის გზავნილი (მესიჯი)], რამდენადაც მედია ეწევა იმის ტრანსლირებას, რასაც ითხოვენ, როგორც ივარაუდება, აუდიტორიის განსხვავებული სეგმენტები. ეს ხდება სატელევიზიო რესურსების გლობალური ინტეგრაციის შედეგად და ამის თვალსაჩინო დემონსტრირებას მერდოკის News Corporation წარმოადგენს, რომელიც აუდიტორიის განსხვავებულ ბაზრებს უზრუნველყოფს კასტომიზირებული და დივერსიფიცირებული პროგრამებითა და არხებით. კასტელს განსაკუთრებით აღელვებს ის, რომ იზრდება ცხოვრების საშინაო წესი, რაც დასვენებასა და გართობაზე ორიენტირებული მსგავსი ტექნოლოგიების დანერგვასთან არის დაკავშირებული. ეს გვემუქრება საერთო კულტურის დაკარგვით, რომელსაც იცავდა და ამაგრებდა საერთო ეროვნული ტელემაუწყებლობა, და ასევე ნიშნავს, რომ „თუმცა მედია ... ახლა ერთმანეთს შორის გლობალური მასშტაბით არის დაკავშირებული, ჩვენ უკვე ვცხოვრობთ არა გლობალურ სოფელში, არამედ იზოლირებულ, გამოყოფილ, კასტომიზირებულ კოტეჯებში, რომელთა წარმოებაც და განაწილებაც ლოკალიზებულია (გვ. 341).

მაგრამ, არსებობს საპირისპირო ტენდენციებიც, რომლებსაც ფესვები ტექნოლოგიურ სფეროებში აქვთ გადგმული. კასტელსისათვის ინტერნეტი „ტექნოლოგიურად და კულტურულად დამახასიათებელ ინტერაქტიულობისა და ინდივიდუალიზაციის თვისებებს“ ფლობს (გვ. 358). ამით მას შეუძლია ხელი შეუწყოს ელექტრონული საზოგადოებების შექმნას, რომლებიც უფრო დააკავშირებენ ადამიანებს, ვიდრე გააცალკევებს და გაყოფთ მათ. ეს გვაგონებს ჰოვარდ რეინგოლდის (Rheingold, 1993) ენთუზიაზმს „ვირტუალური თანასაზოგადოებების“ თაობაზე, რომლებიც შეიძლება შეიქმნას ქსელში. მის კვალდაკვალ კასტელსიც (Castelss, 1995) ამტკიცებს: „ინტერნეტი ელექტრონულ აგორად იქცევა“ (გვ. 357), რაც „ინტერაქტიული საზოგადოების“ შექმნის მაუწყებელია.

კასტელსი ძალიან გატაცებულია პოტენციალური „ვირტუალური თემის, თანასაზოგადოების“ იდეით, თუმცა *The Rise of the Network Societies* – ის მეორე გამოცემაში (Castelss, 2000d) იგი რამდენამდე

ამცირებს თავის ადრინდელ ოპტიმიზმს, აღიარებს რა, რომ „მატერიალურად დაინტერესებული საშუალოობა” ახალი ტექნოლოგიების „კეთილშობილურ მიზნებს” ეწინააღმდეგება და უპირისპირდება. (გვ. 398). მე მუდმივად ვსარგებლობ ელექტრონული ფოსტით, იგი ძალიან მეხმარება იმ ადამიანებთან ურთიერთობაში, რომლებიც ჩემს ინტერესებს იზიარებენ, მაგრამ ეს უბრალოდ მიმოწერის მოსახერხებელი ფორმაა და მეტი არაფერი. თემის, თანასაზოგადოების როგორც ასეთის საზრისი ისაა, რომ იგი მთლიან ადამიანს მოიცავს, და არა შეზღუდულ კომუნიკაციას, რომლებიც ბიტებით იზომება, აი ეს კი შეადგენს სწორად იმ ურთიერთობების არსს, რომლებიც ხორციელდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (ვან მორისონის განცხადებათა ელექტრონული დაფა, პროფესიონალური ლისტინგი, საქმიანი ურთიერთობები, ვაჭრობა ინტერნეტით) და შეიძლება შეწყდეს, როდესაც მათდამი ინტერესი იკარგება. (Talbot, 1995). და მართლაც არის რაღაც საგანგებო ონლაინურ ურთიერთობებში, რომლებიც შეიძლება შეწყდეს უბრალოდ ღილაკზე ხელის დაჭერით. მსგავსი ზედაპირული, არაფრის მქადაგებელი, ეგოისტური ურთიერთობები არ იმსახურებენ „საზოგადოების” სახელს, რომელიც სულ მცირე მის სხვა წევრებთან ურთიერთქმედებებს გულისხმობს რეალურ დროსა და რეალურ ადგილზე. რეალურ საზოგადოებას, ჯგუფს, რასაკვირველია შეუძლია მხარი დაუჭიროს ჩამოყალიბებულ აზრებსა და ცრურწმენებს, მაგრამ მას ასევე შეუძლია გამოწვევა ესროლოს ქცევისა და რწმენის განსაზღვრულ ტიპს, ისე რომ არ დაიშალოს კომპიუტერის გამოსართავი ღილაკის უკან (Cray 1997). როგორც უკვე ვთქვით, კასტელსი ფიქრობს, რომ ქსელში ჩართულობა – თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობის პირობაა. ამით მტკიცდება, რომ იკტ-ს მისაწვდომობა და პირველ რიგში ინტერნეტში ჩართულობა, ინფორმაციულ (საზოგადოებაში) ეპოქაში მოქალაქეობის უფლებას განსაზღვრავს. ადამიანებს შორის კავშირების მზარდი შესაძლებლობების თაობაზე თავისი ენთუზიაზმის მიუხედავად, კასტელსს აშინებს ის, რომ თუ ამ ურთიერთობების მთავარი შემადგენელი გართობა გახდება, მაშინ ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ადამიანები თვითონ არ იქნებიან ამ ინტერაქტიული ურთიერთობების ხელშემწყობნი, მისი წარმართველნი ცენტრალიზებული ძალები იქნებიან. უფრო მეტიც კასტელსი ამტკიცებს, რომ „სისტემაში ჩართვის ფასი გახდება მისი ლოგიკისადმი, ენისადმი, მისი „გამსვლელი ქულისადმი”, მისი კოდირებისა და დეკოდირებისადმი ადაპტაციის მოთხოვნა”. (Castells 1996, გვ. 374). ეს მტკიცება კვლავ გვაბრუნებს ჩვენ მაკლუჰანთან, რამდენადაც კასტელსი ვარაუდობს, რომ იკტ-ს დანერგვის კულტურული ეფექტი გაცილებით სერიოზული აღმოჩნდება, ვიდრე უფრო დემოკრატიული კომუნიკაციის მარტივი შესაძლებლობაა. იგი წერს „რეალური ვირტუალურობის” შესახებ, რათა ერთიანად მოიცვას ტესტის, აუდიო და ვიზუალური ფორმების ის შენადნობი, რომელსაც წარმოგვიდგენს მულტიმედია და გაიგოს თუ რას ნიშნავს იგი ქსელურ საზოგადოებაში. იგი ვარაუდობს, რომ თვით მაშინაც კი, როდესაც ვიმყოფებით დამაბულ ქსელურ ურთიერთობებში და შესაბამისად შევდივართ ურთიერთობებში სხვებთან, ჩვენ გამოცდილებით ვიყენებთ ერთადერთ რეალობას – მედიის რეალობას. ამგვარად,

ესაა სისტემა, რომელშიც თავად რეალობა... მთლიანად მოცულია და ჩაფლულია ვირტუალურ სახეებში, გამოგონილ სამყაროში, რომელშიც გარეგანი ანარეკლები ეკრანზე არა მხოლოდ გვამცნობენ რომელიღაც გამოცდილების შესახებ, არამედ თავად იქცევიან გამოცდილებებად” (Castells, 1996, გვ.373). ეს ღრმად პოსტმოდერნისტულ ფანტაზიებთან გვაახლოებს, რომლებიც ძალზე გაწეილი და გაჭიანურებულია. კასტელსი კულტურის ამ ახალი თვისებების დემონსტრირებას დენი კუეილის მაგალითზე „საპნის ოპერისა” და პოლიტიკური ცხოვრების შერევის აღწერით ახდენს. 1992 წელს მაშინდელმა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა საარჩევნო კომპანიის დროს „საპნის ოპერიდან” გამოიყენა პერსონაჟი, რათა თვალსაჩინოდ ეჩვენებინა ოჯახური ღირებულებებისადმი თავისი ერთგულება და

სიყვარული. კუეილის სიტყვის შემდეგ მომდევნო სერიაში ჩართეს შესაბამისი ეპიზოდი. თითქოსდა აქ ფაქტი და რეალობა ერთმანეთში იღრევა, რაც კასტელსისთვის ვირტუალური რეალობის მაგალითად იქცა, რომელსაც ახალი მედია აწარმოებს. კრიტიკოსთა აზრით, ეს არასაკმარისია, რათა დავრწმუნდეთ, რომ თითქოს ჩვენ რაღაც სრულებით ახალ სიტუაციაში აღმოვჩნდით. საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ჩარლზ დიკენსმა გამოაქვეყნა რომანები გაგრძელებებით „ოლივერ ტვისტი“ და „პიკვიკური კლუბის ჩანაწერები“ და რეალურმა ცხოვრებამ ხშირად ისესხა ხასიათები გამონაგონიდან („იგი ნამდვილი ურია გიპია“). მარტივად, რომ ვთქვათ, მხატვრული გამონაგონი გვაძლევს ჩვენ მრავალნაირ შესაძლებლობას სოციალური ცხოვრების შესახებ ბჭობისათვის და ამიტომ შეიძლება მოგვეჩვენოს, თითქოს საზღვრები ფაქტებსა და გამონაგონს შორის იშლება. და ეს ასე იყო ძალიან დიდი ხნის წინათ, როდესაც არ არსებობდა არა მხოლოდ მულტიმედია, არამედ ტელევიზიაც კი. მსგავს ხერხებს თუ იღეთებს ახალი კულტურული ფორმებიც იყენებენ, ისინი შეიძლება მიღებული ან უკუგდებული იქნან, მაგრამ ზოგიერთი კრიტიკოსი დარწმუნებულია, რომ ადამიანებს არცთუ ისე ძლიერ გვიჭირს ფაქტისაგან სახის, გამონაგონის განსხვავება. (Slouka, 1995). მსგავსი ნივთების, როგორც ვირტუალური რეალობის შეფასება, ვებსტერის აზრით ნიშნავს „ძალიან ადვილად ჩავარდეთ პოსტმოდერნისტულ ფანტაზიებში“.

ნაკადთა სივრცე

კასტელსის იდეები „ნაკადთა სივრცის“ შესახებ ნაცნობი აღმოჩნდება იმ მკითხველისათვის, ვინც იცნობს მის უფრო ადრეულ წიგნს *The Informational City* (1989). *The Informational Age* – ში იგი ინარჩუნებს „ადგილის სივრცისა“ და „ნაკადთა სივრცის“ ადრეულ დაყოფას, ქსელური საზოგადოებისათვის კი აქცენტს „ნაკადთა სივრცეზე“ აკეთებს. რამდენადაც ინფორმაციული ნაკადები თანამედროვე საზოგადოების ორგანიზაციაში ცენტრალური როლის თამაშს იწყებენ. ამდენად, რეგიონები და ლოკაციები, რომლებსაც სერიოზული მნიშვნელობა აქვთ „ინტეგრირებული აღმოჩნდებიან ყველაზე დინამიური სექტორების გამაერთიანებელ საერთაშორისო ქსელებში“ (Castelss, 1996, გვ. 381). კასტელსი ხაზს უსვამს, რომ რეგიონებს და ლოკაციებს მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ იგი არ ამტკიცებს, რომ ჩვენ „გეოგრაფიულ გათიშულობა_განცალკევებულობას“ განვიცდით, რომელიც დადგენილი კავშირების დეზორგანიზაციას იწვევს. ინოვაციათა ახალი გარემო განსაზღვრავს მომავალში იმას, თუ რომელი რეგიონი განვითარდება და რომელი დაეცემა, მაგრამ ისინი ყველანი ქსელურ საზოგადოებაში შევლენ.

ქალაქები, ძირითადად კი ისინი, რომლებიც უფრო ფართო ქსელების „საკვანძო წერტილებად“ იქცნენ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ და განსაკუთრებული ხასიათიც აქვთ. მტკიცებისას, რომ „გლობალური ქალაქი ადგილი კი არა, არამედ პროცესია“ (გვ. 386), რომელიც ინფორმაციის ნაკადთა მიმდინარეობა_გამტარობას უზრუნველყოფს, კასტელსი თავის თვალსაზრისს ასაბუთებს იმით, რომ მეგაპოლისები (ლონდონი თუ ბომბეი) განვითარების ძრავას შეადგენენ (გვ. 409), რომლებიც ერთდროულად „გლობალურად დაკავშირებულნიც და ლოკალურად გათიშულნიც არიან, როგორც გეოგრაფიულად ისე სიტუაციურად“ (გვ. 404). რაც სავსებით ცხადია თითოეულისათვის, გარდა ყველაზე დაუკვირვებელი ტურისტებისა. კასტელსი ასევე განიხილავს „მადომინირებული მმართველების“ თემას, რომლებიც საკვანძო მნიშვნელობის როლებს თამაშობენ ქსელებში. ისენი კოსმოპოლიტები არიან და იმავე დროს მათ უნდა შეინარჩუნონ ლოკალური კავშირები, რათა არ დაკარგონ ერთიანობა ჯგუფთან, რაც სერიოზულ ფიზიოლოგიურ დაძაბულობას ბადებს. ამ ადამიანებს გლობალური კავშირები და ცხოვრების ერთიანი წესი აქვთ (ერთნაირი ტიპის

ოტელები, დროის გატარების ერთი ტიპი) და რაც ყველა მათგანისთვისაა დამახასიათებელი, ისინი ცდილობენ გამოეყონ ქალაქს, რომელშიც ცხოვრობენ, ხშირად იყენებენ ტექნოლოგიურ სისტემებს, რათა თავიანთ თავს იზოლირება გაუკეთონ მეზობლად მცხოვრებ „საშიში კლასებიდან“. მაგრამ კასტელსი ამ ჯგუფს კლასად არ აქცევს. იგი ლაპარაკობს, რომ „გლობალური კაპიტალისტური კლასი არ არსებობს“, თუმცა არსებობს „უპიროვნო კოლექტიური კაპიტალისტი“ (გვ. 474), ამის შესახებ შემდეგ ვილაპარაკებთ.

დროისგარეშე დრო

დროისგარეშე დროის ცნების შემოტანისას, კასტელსი მიმართავს თანამედროვე სამყაროში დროისა და სივრცის შეკუმშვის შესახებ კარგად ცნობილ არგუმენტს, რომელიც მიმოქცევაში შემოტანილი იქნა ენტონი გიდენსისა და ძირითადად დევიდ ჰარვის მიერ, იმის ხაზის გასასმელად, რომ ქსელური საზოგადოება ცდილობს „მარადიული სამყაროს“ შექმნას, რომელშიც დროითი შეზღუდვები სულ უფრო და უფრო მოიხსნება. კასტელსი დამაჯერებლად აჩვენებს, თუ როგორ ეწევიან დროით მანიპულირებას „კაპიტალის ელექტრონულად მართული გლობალური ბაზრები“ (Castelss, 1996. გვ. 437) და თუ როგორ აისახება ეს სამუშაო დროზე, რომელზედაც ასევე ხდება ზემოქმედება („მოქნილი გრაფიკი“) მაქსიმალურად ეფექტური გამოყენების მიზნით.

გარდა ამისა, ქსელურ საზოგადოებას „ცხოვრების წესთა შორის განსხვავების წაშლასთან მივყავართ, (გვ. 445) და ამ პროცესის დამახასიათებელი ნიშანი „რიტმულობის მსხვერვა“ ხდება (გვ. 446), თანაც იმ ზომითა და ხარისხით, რომ მანიპულირებას ექვემდებარებიან ადამიანის ცხოვრების ბიოლოგიური ფაზებიც კი. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ორმოცდაათი წლის ქალები ბავშვებს შობენ, ხოლო პარალელურად ადგილი აქვს „ცხოვრებიდან სიკვდილის გამორიცხვის“ სერიოზულ მცდელობებს (კრიონიკა და ა. შ.). შემდეგ კასტელსი გადადის გენურ ინჟინერიაში არსებულ გარღვევებზე, რომლებსაც იგი ინფორმაციისა და კომუნიკაციის პრობლემებს უკავშირებს და რომლებშიც აგრეთვე დროისგარეშე კულტურის წინწაწევის საშუალებას ხედავს.

შესაძლოა, კასტელსი უფრო დამაჯერებელი „წამიერი ომების“ საკითხებშია. ასე უწოდებს იგი ომებს, რომლებსაც „ცივ ომში“ გამარჯვების შემდეგ დასავლეთის სახელმწიფოები აწარმოებენ მოკლე გაბედული დარტყმებით და იყენებენ ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიებს და რომელსაც მასმედია „სტერილური“ სახით წარუდგენს მთელ მსოფლიოს (სხვა, მკაცრი და მრისხანე ომები, რასაკვირველია გრძელდება, მაგრამ პერიფერიებში). ამის შესახებ ყველასთვის ცნობილია, მით უფრო 1992 წლის სპარსეთის ყურეში ომის შემდეგ და სერბიის 1998 წლის ნატოს დამანგრეველი ოპერაციის შემდეგ (Robins and Web, 1999, თავი 7), მაგრამ კასტელსი იმ გარემოებიდან, რომ დადგა ტრაგიკული ომების დასასრული, შორს მიმავალ დასკვნებს აკეთებს. იგი ამბობს, რომ თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე, უკიდურეს შემთხვევაში ევროპაში ომი იყო „გადასვლის აუცილებელი ჩვეულება – წესი“ და მისი აზრით, წარმოადგენდა მუდმივ შეხსენებას ადამიანის მოკვდაობის შესახებ, და აგრეთვე ათვლის წერტილს ცოცხლად გადარჩენილთათვის. ახლა ეს წარსულს ბარდება, რისგანაც კიდევ უფრო მყარდება დროის გარეშე დროის კულტი, სადაც ახლა ჩვენ მუდმივ აწმყოში ვცხოვრობთ. გარდა ამისა, ქსელურ საზოგადოებას თავისი წამიერი კომუნიკაციებით ძალუმს მოიპოვოს და გადასცეს ინფორმაცია მთელს დედამიწაზე ჰიპერმედიის დახმარებით, რომლებიც ისტორიაში „ამოჭრას, ამოძვრენას“ ახორციელებენ, იმით, რომ ისტორიულ ფაქტს არ ათავსებენ ისტორიულ კონტექსტში, და გვტოვებენ რა „დროისგარეშე მენტალურ ლანდშაფტში.“ და ყველაფერი ეს ქსელური

საზოგადოების კულტურაში იყრის იყრის ერთად თავს, რომელიც “სისტემურ არეულობა-უწესრიგობას, მუდმივ წამიერობას, კონტინინუმის არარსებობას და სპონტანურობას ნიშნავს.”

იდენტურობის ძალაუფლება

The Informational Age-ის მეორე ტომში ქსელური საზოგადოების ჩამოყალიბებისა და მისი თანმხლები მაინტეგრირებული და მაფრაგმენტირებული ტენდენციებისაგან კასტელსი კოლექტიური იდენტურობების განხილვაზე გადადის. ამ განხილვის ცენტრალური საგანია სოციალური მოძრაობები; კასტელსის მიხედვით ესაა “მიზანმიმართული კოლექტიური ქმედებები, რომლებიც საზოგადოების ინსტიტუტებისა და ღირებულებების ტრანსფორმაციას ეწევიან” და ადამიანებს მისი იდენტურობის მთავარ ელემენტებს აძლევენ. სხვა სიტყვებით, ამ წიგნში თანამედროვე მსოფლიოში სიცოცხლის პოლიტიკა და სოციოლოგია განიხილება.

მთავარი არგუმენტი გამომდინარეობს საკითხებისაგან: როგორ ყალიბდება და იქმნება იდენტობები დღეს, როდესაც ტრადიციები წარსულს ჩაბარდა? კასტელსს, მაგალითად, მიაჩნია, რომ ეროვნულ სახელმწიფოებს და ყველა მასთან დაკავშირებულ მალეგტიმიზირებელ ინსტიტუტებს, რომლებსაც ჩვენ სამოქალაქო საზოგადოებას ვუწოდებთ (სოციალური უზრუნველყოფა, სუვერენიტეტის უფლება, კლასობრივი პოლიტიკა, დემოკრატიული პროცესები და ზეწოლის ჯგუფები, როგორცაა პროფკავშირები), ქსელური საზოგადოების მაგლობალიზირებელი ტენდენციები საფრთხეს უქმნიან. ასე, მაგალითად, ყველა “კეთილდღეობის სახელმწიფო” ზეწოლას განიცდის ყველაზე იაფი სამუშაო ძალის ძიების გლობალური კონკურენციის გამო; ეროვნული ეკონომიკის კონტროლი სულ უფრო ძნელდება რეალური დროის რეჟიმში მუდმივი სავალუტო გარიგებებისა და ვაჭრობის გამო, ხოლო პოლიტიკური დემოკრატია შეუქცევადად იცვლება ინფორმაციული პოლიტიკით, რომელიც ინფორმაციული და კომუნიკაციური მედიის წყალობით გლობალური, არაპატივისმცემელი და სკანდალზე ორიენტირებული გახდა.

ეროვნულ სახელმწიფოებს არ ძალუძთ გამოიყენონ ახალი ტექნოლოგიებიც კი თავიანთი მოქალაქეების გასაკონტროლებლად, რადგან თვით სახელმწიფოები არიან ნახევრად ავტონომიური რეგიონების (და ქალაქებისაც კი) წარმოშობით შესუსტებული, მოქალაქეები ადვილად უკავშირდებიან ათასეულ კილომეტრობით დაშორებულ ადგილებში მცხოვრებ ადამიანებს, ხოლო გლობალური, მაგრამ დიფერენცირებული მედია მუდმივად ეძიებს და წარუდგენს აუდიტორიას პოლიტიკოსთა მაქინაციებს (შეიძლება გავიხსენოთ სილვიო ბერლუსკონის აღმასვლა და დაცემა 1990-იან წლებში, ხოლო შემდეგ მისი განმაცვიფრებელი დაბრუნება პოლიტიკაში 2001 წელს, აგრეთვე პოლიტიკოსთა კორუმპირებულობისა და მათი სექსუალური ცოდვების თუ გადაცდომების მუდმივი გაშუქება). იმათ, ვისაც ორუელისეული სახელმწიფოს წარმოშობა აშინებთ, ასევე არანაკლებ შეიძლება შეეშინდეთ იმის, რომ შეიძლება გამართლდეს კასტელსის პროგნოზი: “ჩვენი საზოგადოებები _მოწესრიგებული ციხეები კი არ არიან, არამედ უწესრიგო (ქაოტური) ჯუნგლები”. დღეს ყველაფერი ნიადაგამოცლილია, განუსაზღვრელია, ტრადიციები დანგრეული, ხოლო ყოფილი დარწმუნებლობა კი სამუდამოდ დაკარგული.

კასტელსი ამ კომმარს თავის არგუმენტს უპირისპირებს: იდენტურობები მოქმედებებში წარმოიქმნიებიან, და ამგვარად, ქსელური საზოგადოება ბადებს წინააღმდეგობების მოძრაობას და თვით პრექტულ იდენტურობის მოძრაობასაც კი. შემდეგ გვთავაზობენ თვით ყველაზე განსხვავებული გვარის მქონე წინააღმდეგობათა მოძრაობების ანალიზს (დაწყებული მექსიკელი საპატისტებისაგან აშშ-ში ნეომოფაშისტო patriots-მდე, Aum Shinrikyo-ს იაპონელი ფანატიკოსებიდან

ისლამის ზოგიერთ ვერსიებში არსებული რელიგიურ ფუნდამენტალიზმამდე, ყოფილ საბჭოთა კავშირში ეთნიკური ნაციონალიზმიდან ისეთ ადგილებში ტერიტორიულ სეპარატიზმამდე, როგორცაა კატალონია). ამ მოძრაობებს, წარმოშობით როგორც რეაქციებს, კასტელსი მოწონება_დაწუნების გარეშე უყურებს, იგი მათში ხედავს ახალი იდენტურობების, როგორც უზარმაზარ და სულ უფრო გაფართოებად ზეწოლაზე პასუხის ფორმირების დასტურს.

პროექტზე ორიენტირებულ მოძრაობებს კასტელსი განიხილავს ეკოლოგიური და ფემინისტური მოძრაობების მაგალითზე, რომლებსაც უკვე ახლა აქვთ და უეჭველია, მომავალშიც ექნებათ დიდი გავლენა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოძრაობები არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ როგორც რეაქცია “ინფორმაციული ეპოქის” სტრესებსა და გადატვირთებზე; რამდენადაც ყველა ისინი სარგებლობენ იმ საშუალებებით, რომლებსაც მათ ქსელური საზოგადოება აძლევს თავიანთი საკუთარი ორგანიზაციული საჭიროებებისა და თავიანთი იდეების გასავრცელებლად.

ფემინიზმის ანალიზისას კასტელსი აჩვენებს, რომ საუკუნეების მანძილზე საზოგადოებრივი ცხოვრების ყოფილი ნორმა პატრიარქატი, შეუკავებლად ეშვება დაისისაკენ ოთხი ურთიერთდაკავშირებული მიზეზის გამო. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ ქალი სულ უფრო ხდება სამუშაო ძალა, ეს კი მჭიდროდაა დაკავშირებული ინფორმაციული სამუშაოების რაოდენობის გაზრდასა და ქსელური საზოგადოების მიერ მოთხოვნილ მოქნილობასთან. მეორე, ესაა ქალების ბიოლოგიურ ფუნქციებზე მზარდი კონტროლი, რასაც ყველაზე ცხადად გენური ინჟინერია აჩვენებს, რომელიც ქალებს ათავისუფლებს რეპროდუქციასთან დაკავშირებული შეზღუდვებისაგან, მესამე, ეს, რასაკვირველია, ფემინისტური მოძრაობაა ყველა თავისი ფორმით. და მეოთხე, ესაა იკტ-ე, რომლებმაც საშუალება მოგვცეს მოგვექსოვა „თითქმის მთელი პლანეტიდან ქალთა ხმების ჰიპერ-ხალიჩა”(Castells, 1996, გვ.193). ყველაფერი ეს ერთად აღებული უპრეცედენტო გამოწვევას ესვრიან წინა საუკუნეების სექსუალურ ნორმებს და ამით „ძირს უთხრიან... ჰეტეროსექსუალურ ნორმებს” როგორც ინტიმურ, ისე საჯარო სფეროებში. კასტელსი ლაპარაკობს „პრაქტიკულ ფემინისტებზე”(გვ.200), რომლებიც მოქმედებენ, რათა შეცვალონ თავიანთი ცხოვრება და ამ ბრძოლისას იძენენ ახალ იდენტურობებს, რასაც თან ახლავს „სოციალური ინსტიტუტების დეგენდერიზაცია" (გვ.202)....

სტრატეგიკაციის ახალი ფორმები

კასტელსის აზრით,ახალი ქსელური საზოგადოება უკუაგდებს სტრატეგიკაციის ადრინდელ ფორმებს და წარმოქმნისთანავე უთანასწორობის ახალი ფორმები მოაქვს. ჩვენ უკვე ვიცით კასტელსის თვალსაზრისი ჰორიზონტალური კორპორაციის განვითარების თაობაზე,რომელიც ბიუროკრატისათვის კარგს არაფერს მოასწავებს,მაგრამ იმათ ძალებს კი ავითარებს,ვინც ბიუროკრატის მიღმა დგანან. ასევე აღვნიშნეთ,რომ კასტელსის აზრით,ინფორმაციულმა ეპოქამ გლობალური მასშტაბით დაბადა სისტემური კაპიტალიზმი,რომელშიც კაპიტალისტების კლასი არ არსებობს. ღირს უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ სტრატეგიკაციის შესახებ ინფორმაციულ კაპიტალიზმში,ვინაიდან მისი გამოვლინებები რთული,ხოლო შედეგები კი არაერთმნიშვნელოვანია. სტრატეგიკაციის ახალი ფორმების გაჩენასთან ერთად,ხდება ცვლილებები ძალაუფლებრივ ურთიერთობებში,რესურსების განაწილებასა და მომავლის პერსპექტივებში.სტრატეგიკაციის ახალი ფორმების გაჩენასთან ერთად, ძალაუფლებრივ ურთიერთობებში,რესურსების განაწილებასა და მომავლის პერსპექტივებში ცვლილებები ხდება. უფრო მეტიც, შრომასა და კაპიტალს შორის გამყოფი

ხაზი, რომელიც XX-ის ბოლო წლებამდეც კი პოლიტიკური ურთიერთობების საფუძველი იყო, როგორც ჩანს, ქრება.

მმართველი კლასის მიერ მართული კაპიტალიზმის ნაცვლად, დღეს ჩვენ სახეზე გვაქვს კაპიტალიზმი კაპიტალისტების კლასის გარეშე. დღეს, კაპიტალიზმის ფუნქციონირებაზე ქსელებზე ორიენტირებული და ექსპერტული “ინფორმაციონალური” შრომაა პასუხისმგებელი. მომუშავეთა ეს ჯგუფი საკვანძო მნიშვნელობის ძალად იქცა საზოგადოებაში, პრაქტიკულად იგი – დაწყებული კორპორაციებში ტექნოლოგიების შექმნისა და ცვლილებათა მართვისაგან დაწყებული და საკანონმდებლო რეფორმების მოთხოვნებამდე დამთავრებული – ყველაფერზე პასუხს იძლევა. პირიქით, ინფორმაციულ კაპიტალიზმში ფიზიკური შრომით დასაქმებულთა (კასტელის მიხედვით “საერთო ტიპის მუშაკების”) რაოდენობა სულ უფრო და უფრო მცირდება. შესაბამისად, ისინი სულ უფრო ცუდად გრძნობენ თავს. სწორედ მათი მოუქნელობის გამო, მუდმივი საფრთხის ქვეშ იმყოფებიან, რაც მათ საშუალებას არ აძლევთ ცვლილებებს შეეგუონ, აგრეთვე ინფორმაციონალური შრომის ინოვაციურობის გამო, რომელიც სიმდიდრეს ქმნის, აიძულებს მათ შეიცვალნონ. “საერთო ტიპის ეს მუშაკები”, ჩვეულებრივ მამაკაცები, არიან კიდევ ისინი, რომლებსაც სოციოლოგები (და მრავალი სხვაც) მუშათა კლასთან აიგივებენ, რომლის D დღეები სამწუხაროდ, დათვლილია. მთავარი სოციალური განხეთქილება სწორედ აქ გადის: არაკვალიფიცირებული და ცუდად მომზადებული სამუშაო ძალა ინფორმაციული კაპიტალიზმის სანაგვეში აღმოჩნდება. საუკეთესო შემთხვევაში ეს ადამიანები დაბალანაზღაურებად და დროებით სამუშაოს პოულობენ. უარეს შემთხვევაში კი ორგანიზებული დანაშაულის პერიფერიებზე აღმოჩნდებიან.

რაც უფრო დიდია ეს განხეთქილება თუ დაშორება, მით უფრო მეტად რჩებიან მობილიზაციის ადრინდელი ფორმები წარსულში. რამდენადაც ძველი კლასობრივი სისტემა გარდაიქმნა და შეიცვალა, ამდენად კლასობრივი პოლიტიკა უკვე აღარ მუშაობს, იგი იმ სოციალურმა მოძრაობებმა შეცვალეს, რომლებიც ქსელური საზოგადოების ცვალებად პირობებს, თანამედროვე ეპოქის ცხოვრების წესსა და იდენტობებს ადვილად შეეგუენ. ამ ახალი მოძრაობების ლიდერები მასმედიასთან ურთიერთობის ისეთ ჩვევებსა და უნარებს, აგრეთვე ორგანიზაციული ქმედების ისეთ ხერხებს ფლობენ, რომლებიც ინფორმაციულ ეპოქაში ეფექტური მობილიზაციისთვისაა აუცილებელი.

თუმცა, მანუელ კასტელს არ სურს სხვა თანამედროვე სოციოლოგების (ენტონი გიდენსის, ალენ ტურენის და დანიელ ბელის, უბრალოდ მათი მოხსენიებით კმაყოფილდება) შრომებთან ანალოგიების გავლება, მაინც ნათელია, რომ მისი შეხედულებები ძალიან ჰგავს და თანხმობაშია თანამედროვე ავტორების შეხედულებებთან. მისი აზრები ასევე ეთანხმება ტონი ბლერის მთავრობაში ფესვადგმულ “მესამე გზის” პოლიტიკურ კონცეფციას და ზოგიერთი მისი მომხრე-ისეთი ინტელექტუალების აზრებთან, როგორებიცაა ჯეფ მალგენი (Mulgan, 1998) და ენტონი გიდენსი (Giddens, 1998). უფრო კონკრეტულად, ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რა მნიშვნელობასაც კასტელსი სტრატეგიკაციის სისტემის კარდინალურ ცვლილებას ანიჭებს, ინფორმაციული, კარგად განათლებული მუშაკის ცენტრალური როლისადმი ყურადღება, პოლიტიკური მობილიზაციის ახალ ფორმებზე-რომლებიც ადრინდელ კლასობრივ დაყოფას ჩქმალავენ-ფოკუსირება, ყველაფერი ეს გვიჩვენებს და გვეუბნება იმას, რომ ჩვენ უკვე “ახალ დროში” ვცხოვრობთ.

მუშათა კლასის დაცემა

ტრადიციული მუშათა კლასის დასასრული, როგორც კასტელსი ფიქრობს, ორი ურთიერთდაკავშირებული მიზეზისა გამო დადგება. პირველი, ეს კლასი, რომელიც დღესდღეობა პოლიტიკური მოძრაობის სული და გული, ანუ ძირითადი მიზეზი იყო, ახლა რაოდენობაში მკვეთრად მცირდება და მას ანაცვლებს ის სამუშაო ძალა, რომელიც არაფიზიკურ შრომას ასრულებს, უწინარეს ყოვლისა ქალთა შრომა. მეორე, მისი წვლილი საზოგადოებაში უკუიფლება: ღირებულების შრომითი თეორიის იცვლება ინფორმაციით (ცოდნით) შექმნილი ღირებულების თეორიით. კასტელსის სიტყვებით,

ცოდნა და ინფორმაცია თანამედროვე საწარმოო პროცესების მთავარ ნედლეულად იქცნენ, განათლება კი შრომის ძირითადი თვისებრივი მაჩვენებელი გახდა, ამიტომ ინფორმაციონალურ კაპიტალიზმში ახალი მწარმოებლები ცოდნის ის გენერატორები და ინფორმაციის ის დამამუშავებელი არიან, რომელთა წვლილიც ეკონომიკაში ... ყველაზე მნიშვნელოვანია”. (Castells, 1997a, 345).

მიუხედავად იმისა, რომ წარსულში მუშათა კლასი კაპიტალის მფლობელებზე იყო დამოკიდებული, ითვლებოდა, რომ თავად კაპიტალი წარმოუდგენელია მუშათა კლასის გარეშე. ანუ საჭირო იყო მემახტეთა, ქარხნის მუშათა და სოფლის მუშაკთა დიდი რაოდენობა, რათა ქვანახშირის მოპოვება შესაძლებელი გამხდარიყო, არ გაჩერებულიყო კონვეიერები და მოეწიათ მარცვლეული, ჭირნახული. მუშათა კლასის სწორე დეს მთავარი როლი დევს ღირებულების შრომითი თეორიის საფუძველში. იგივე განსაზღვრავს “მემკვიდრის” სოციალისტურ პოლიტიკას: “მუშათა კლასმა შექმნა მთელი სიმდიდრე და ოდესღაც მიიღებს სამართლიან ანაზღაურებას”. მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. წარმოიშვა ინფორმაციულ მუშაკთა ახალი კლასი, რაც ადრინდელი მუშათა კლასის უფლებელებს ყოფის საშუალებას იძლევა. ინფორმაციონალური შრომა “საერთო ტიპის შრომაზე” ისეთი ხარისხით ზემოქმედებს, რომ ეჭვი არაა იმის შესახებაც კი, თუ ვინ თამაშობს საზოგადოებაში უფრო მნიშვნელოვან როლს. ეს სხვადასხვანაირად ვლინდება: ზოგ შემთხვევაში “საერთო ტიპის შრომას ავიწროებს ავტომატიზაცია (კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით), ზოგჯერ მსოფლიოს სხვა ადგილებში წარმოების გადატანით (რაც ადვილად ხორციელდება მაღალი ტექნოლოგიების მფლობელ დამგეგმავთა მიერ), ზოგჯერ – ახალი პროდუქტის შექმნით, რომელთანაც “საერთო ტიპის შრომას”, როგორც მოუქნელ რამეს, არ ძალუძს შეგუება.

ახალ მსოფლიოში ინფორმაციონალური შრომა ღირებულების ძირითადი მწარმოებელი ხდება, მაშინ როდესაც მუშათა კლასი ეცემა, რამდენადაც სწრაფი ცვლილებების უნარს კარგავს და არ ძალუძს ტემპის შენარჩუნება. მოკლედ, რომ ვთქვათ, მას აკლია მოქნილობა (ფლექსიბილურობა). ყოველივე ამის შედეგია ის, რომ პოლიტიკა გვერდს უვლის კლასს, რომელიც საბოლოოდ გაიხლართა ეროვნული სახელმწიფოების ნაპრალებში, (სხვა საქმეა – თუ რატომ აღმოჩნდა იგი უძლური გლობალიზებულ სამყაროში) და ისეთ სოციალურ მოძრაობებს მიმართავს, როგორებიცაა ფემინისტური, ეთნიკური და ეკოლოგიური. ამგვარი მოძრაობები გაცილებით ფართოა, ვიდრე ტრადიციული კლასობრივი, ისინი აპელირებას თავიანთი მომხრეების ცხოვრების განსხვავებულ წესებსა და ღირებულებებზე ახდენენ. ისინი ასევე ღრმად არიან განმსჭვალულნი ამა თუ იმ ტიპის ინფორმაციონალური შრომით. გავიხსენოთ, მაგალითად, “საერთაშორისო ამნისტია”, “გრინპისი”, ან “მიწის მეგობრები”. თითოეულ ამ მოძრაობას გლობალური ქსელები, კომპიუტერიზებული საწევრო სიები აქვს და განათლებული, მეცნიერულად მომზადებული, მედიატექნოლოგიებს დაუფლებული თანამშრომლები და მომხრეები ჰყავს.

კასტელსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინფორმაციონალური კაპიტალიზმი ძალიან ძლიერია და ყველგან შემდღევი, განსაკუთრებით იქ, სადაც ის საბაზრო ურთიერთობებისადმი მტრულად დაპირისპირებულ მოქმედებებს თრგუნავს; ასევე აგრძელებს იმის მტკიცებას, რომ კაპიტალისტების კლასი მეტად აღარ არსებობს. იმ დროიდან დაწყებული რაც კაპიტალიზმი გლობალური გახდა, ცალკეულ სახელმწიფოთა მანევრირების შესაძლებლობები მკვეთრად შეიზღუდა, განსაკუთრებით ნაციონალური ეკონომიკური სტრატეგიების სფეროში. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელისუფლების ქმედებებმა თავიანთი მნიშვნელობა დაკარგეს - სწორედ, რომ პირიქითაა საქმე, რამდენადაც მოუფიქრებელი ნაბიჯები მსოფლიო ეკონომიკის მყისიერ რეაქციებს იწვევს. მაგრამ შეცდომა იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ არსებობს კაპიტალისტების კლასი, რომელიც მთელ მსოფლიო სისტემას აკონტროლებს. რეალურად კი - როგორც ამას კასტელსი ამტკიცებს, “უპიროვნო კოლექტიური კაპიტალისტი” არსებობს; რომელიც უკვე აღარ არის განსაზღვრული კლასი, არამედ გვეძლევა, მაგალითად, მუდმივი საბირჟო და სავალუტო ვაჭრობების სახით, სადაც კაპიტალისტური საქმიანობის საზღვრებიდან გასვლის ძალიან მცირე ალბათობა რჩება. და მაინც ამ სისტემის ფუნქციონერები არა კაპიტალისტები _ მესაკუთრენი, არამედ უფრო ინფორმაციული მუშაკები არიან, რომლებიც პირველი შემადგენლობის მოთამაშეთა რიგებს განეკუთვნებიან. ამ სცენარის მიხედვით _ ბუღალტრები, სისტემური ანალიტიკოსები, ფინანსისტები, ინვესტორები, რეკლამის სპეციალისტები და ა.შ. _ ახლანდელი კაპიტალიზმის Fუნქციონირებას უზრუნველყოფენ. მაგრამ ამავე დროს კასტელსი ამტკიცებს, რომ “დიდი კონსტრუქტორები” არ არსებობენ, ვინაიდან მამომრავებელი ძალა თავად სისტემაშია ჩამონტაჟებული და ქსელი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ნებისმიერი ადამიანი ან ორგანიზებული ჯგუფიც კი. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ადამიანები თავიანთ პოზიციებს იკავებენ არა იმის ძალით, რომ კაპიტალის მესაკუთრენი არიან, არამედ მხოლოდ იმის წყალობით, რომ ექსპერტულ ცოდნას ფლობენ. სხვაგვარად, რომ ვთქვათ ისინი ამა თუ იმ ტიპის ინფორმაციული მუშაკები არიან და სწორედ ისინი მოასწავებენ როგორც მესაკუთრეთა ძველი მოდური კლასის, ისე მუშათა კლასის დასასრულს.

და, ბოლოს, ჩვენ გვრჩება ინფორმაციული კაპიტალიზმისათვის გამოუსადეგარი და გაუნათლებელი ადამიანები, რომლებსაც კასტელსი @”მეოთხე მსოფლიოს” მიაკუთვნებს და და რომლებისთვისაც არანაირი როლები არ რჩება, იმიტომ, რომ მათ არ აქვთ ისეთი რესურსები და ჩვევები, რომლებიც გლობალიზებულ კაპიტალიზმს დასჭირდებოდა, ანუ რომლებზეც მოთხოვნა იქნებოდა. აქ კასტელსი აშშ – ში ქალაქურ სიდატაკეს იხსენებს, ანუ იმ დეკლასირებულთ, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ცენტრად ქცეული ინფორმაციონალური მუშაკების გვერდი _ გვერდ ცხოვრობენ და სწორედ ამ ინფორმაციონალურ მუშაკებს ემსახურებიან ღარიბები, ხშირად შეურაცხმყოფელ პირობებში, ოფიცინტების, ძიძების, შვეიცარებისა თუ მოსამსახურეთა სახით. კასტელსი შიშობს, რომ “საერთო _ ზოგადი ტიპის შრომა” შეიძლება ხანგრძლივ პერსპექტივაში დეკლასირებულ ელემენტებს შეერწყას, თუ მუშათა კლასი საკმარის მოქნილობას ვერ გამოიჩენს, რათა ახალი ეკონომიკის მოთხოვნები დააკმაყოფილოს.

მოკლედ, რომ ვთქვათ, კასტელსს მიაჩნია, რომ ინფორმაციონალურმა კაპიტალიზმმა სტრატეგიკაციის სისტემა კარდინალურად შეცვალა. ამას, ევროპულ ქვეყნებში ინფორმაციონალურ შრომაში დასაქმებულთა 30% - იც მეტყველებს. იმ არგუმენტების დახმარებით, რომლებიც თანამედროვე თეორიებს - დაწყებული რობერტ რაიხის “სიმბოლური ანალიტიკოსებისადმი გამოჩენილი ენთუზიაზმიდან და პიტერ დრაკერის რწმენიდან, რომ “ცოდნის ექსპერტები” კაპიტალიზმის “მთავარ რესურსებად” იქცნენ, ელვინ ტოფლერით დამთავრებული, რომელიც “ცოდნის საზოგადოებაში” ცენტრალურ როლს “კოგნიტარიატს” აკუთვნებს _ ეხმიანება, კასტელსი ამტკიცებს,

რომ ინფორმაციონალური შრომა არის ის ძალა, რომელიც ბადებს ცვლილებებს, ახალი ეკონომიკას ერთიან სისტემად კრავს და საერთოდ იაზრებს, გეგმავს და ახორციელებს პრაქტიკულ მოქმედებას, ე.ი. ყველაფერ იმას აკეთებს, რასაც ინფორმაციონალური კაპიტალიზმი მისგან მოითხოვს.

ამგვარად, ინფორმაციონალური შრომა – ის მასალა, რომელიც ინფორმაციონალურ კაპიტალიზმს ერთიან მთელად კრავს. როგორც უკვე ითქვა, მან ძველმოდურ კაპიტალისტთა კლასს ძალაუფლება წაართვა, რამდენადაც კაპიტალის ფლობა თანამედროვე მსოფლიოში უკვე აღარ იზღვევა პირველი როლების დაკავების შესაძლებლობას. ვინც ახლა კომპანიების საქმიანობას წარმართავენ, ისეთ ინფორმაციულ ჩვევებს უნდა ფლობდნენ, რომლებიც მუდმივი ცვლილებებისა და სრული განუზღვრელობის პირობებში ცხოველსაქმიანობის – სიცოცხლის უნარიანობის შენარჩუნების შესაძლებლობას გვამძლევს. ახლა ძალიან ცოტას ნიშნავს უბრალოდ იჯდე საქონლის გროვაზე – ინფორმაციონალური შრომის გარეშე, რომელიც ტემპებს ინარჩუნებს, ყველაფერი დაკარგულია. შესაბამისად, ინფორმაციული მუშაკები, რომლებიც სტრატეგიებს აანალიზებენ და განსაზღვრავენ, ეფექტურად ურთიერთქმედებენ და ახალ შესაძლებლობებს პოულობენ, კაპიტალისტური წარმოების ბირთვს შეადგენენ.

ასეთი ადამიანებისათვის კონკრეტული სპეციალიზაცია ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ადაპტაციის უნარი. ასეთი ადამიანები თვითპროგრამირებადნი, რომელთაც აუცილებლობის შესაბამისად ძალუძთ ახალი ვითარებების შესატყვისად განისწავლონ და გადაემზადონ. ყოველივე ეს, მათ სწრაფად ცვლებად და ძლიერად “მოქნილ” სამყაროში, უმაღლეს დონეზე მორგებულ და სიცოცხლის უნარის მქონე პროფესიონალებად აქცევს. ის დრო გაქრა, როდესაც ადამიანს უზრუნველყოფილი, მყარი და გარანტირებული სამუშაო ჰქონდა ბიუროკრატიულ აპარატში; დღეს კი დროებით ანუ კონტრაქტის ძალით, შესასრულებელი პროექტის ვადების შესაბამისად მუშაობს. მრავალ ადამიანს ეს აშინებს. თუმცა ინფორმაციონალურ მუშაკებს არაფრის ეშინიათ, რამდენადაც მათ თავიანთი “პორტფოლიოს” – სადაც პროექტებში მათი მონაწილეობის შესახებ მონაცემებია შეტანილი – დახმარებით ახალი ვაკანსიების დაკავება ძალუძთ. ისეთი ძველი ფასეულობები, ღირებულებები, როგორცაა, მაგალითად, კომპანიისადმი ერთგულება, თანდათან გამოდის ხმარებიდან. ეს ახალი მომთაბარენი სიამოვნებით გადადიან პროექტიდან პროექტზე, არა კორპორაციული ბიუროკრატიის იმედით, არამედ თავიანთი ქსელური კონტაქტების წყალობით. ისინი გარანტიებს არ ეძებენ, მათ უხარიათ, როდესაც საკუთარი ძალების გამოვლენისა და თავიანთი საქმიანობის სფეროში უმაღლესი მწვერვალების დაპყრობის შესაძლებლობა ეძლევათ. რასაკვირველია, დროის რაღაც მონაკვეთში ისინი მუშაობენ ამა თუ იმ კომპანიაში, მაგრამ არ არიან მათზე ემოციურად მიჯაჭვულნი: დაასრულეს რა პროექტი, ისინი სინანულის გარეშე ტოვებენ მას. წარმოიდგინეთ დამოუკიდებელი ჟურნალისტი, რომელიც საინტერესო რეპორტაჟს აკეთებს: პროგრამისტი, რომელიც პროგრამული უზრუნველყოფის იმ ელემენტითაა დაკავებული, რომელიც მისი სამუშაოს შემადგენელი ნაწილია და მთელ მსოფლიოში ასობით თანამოაზრესთანაა დაკავშირებული. პროფესორი, რომლისთვისაც პირველ რიგში კოლეგების მიერ მოცემული შეფასებაა მთავარი და არა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის.

აქ გვერდს ვერ ავუვლით “საერთო ტიპის შრომასთან” შედარებას. ფიზიკური შრომის მუშაკები, კონკრეტულ ადგის არიან მიჯაჭვულნი, არ არიან მოქნილნი, მათ სჭირდებათ იმის რწმენა, რომ სამუშაო ადგილებს შეინარჩუნებენ, რომ მათ დღიდან დღემდე ერთი და იგივე სამუშაოს შესრულებას შეძლებენ, ოდესღაც შეძენილი ჩვევებისა და გამომუშავებული უნარების მეშვეობით; ინფორმაციულ მუშაკებს კი უბრალოდ არ შეუძლიათ შეიცვალონ და განვითარდნენ, – ისინი ამას მოწყურებულნი არიან. დღეს, ინფორმაციული მუშაკი სიმდიდრის მთავარი წყარო გახდა: იქნება ეს ვაჭრობისათვის

აუცილებელი საბუღალტრო მომსახურება, მეცნიერებატევადი მუშაობა, როგორებიცაა, მაგალითად, პროგრამირება თუ ბიოტექნოლოგია, მოდური ტანსაცმლის მოდელირება, რეკლამა თუ მზა პროდუქციის დაგზავნის ყველაზე ეფექტური საშუალებებისა და წესების ძიება.

მერიტოკრატია ?

ინფორმაციონალური შრომის ამგვარი განდიდება ძლიერ გვაგონებს მერიტოკრატის ძველ იდეას, რომლის მიხედვითაც წარმატებებს არა მემკვიდრეობით მიღებული უპირატესობების საფუძველზე, არამედ სწავლების პროცესში შეძენილი უნარ – ჩვევებისა და ძალისხმევების შედეგად აღწევენ. ინფორმაციონალური შრომა, კონკრეტული სპეციალობისაგან დამოუკიდებლად, კარგ განათლებას მოითხოვს. უნივერსიტეტები ძალ-ღონეს არ იშურებენ სტუდენტების მიერ “კონვერტირებადი უნარ-ჩვევების” ათვისებისას, რათა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დამსაქმებელთა ნებისმიერი მოთხოვნის დაკმაყოფილება წარმატებით შეძლონ. ამგვარ “კონვერტირებად უნარ-ჩვევებში” შედის: ურთიერთობის (კომუნიკაციის) უნარი, გუნდური მუშაობის უნარი, ადაპტაციურობის, პრობლემების გადაჭრის უნარები, მთელი “ცხოვრების მანძილზე სწავლების” მზაობა და ასე შემდეგ. შემთხვევითი არაა, რომ განვითარებულ ქვეყნებში შესაბამის ასაკობრივ ჯგუფებში 30% იღებს უმაღლეს განათლებას. ინფორმაციული შრომისადმი კასტელსის დამოკიდებულება მერიტოკრატისა გვაგონებს, რამდენადაც დაჟინებით აღნიშნავს, რომ წარმატების მიღწევა დამოკიდებულია არა მემკვიდრეობით მიღებულ კაპიტალზე, არამედ ინფორმაციულ უნარ – შესაძლებლობებზე, რომლებიც ძირითადად უნივერსიტეტებში მოიპოვება და შეიძინება. ამის შემდეგ ისეთი მუშაკებისათვის, ვინც თავისი უნარ-ჩვევების დამადასტურებელი დოკუმენტი უნივერსიტეტის დიპლომის სახით მიიღო, ყოველი კარი იხსნება., თუმცა შემდგომი წარმატებებისათვის პირადი მიღწევების @”პორტფოლიო” აუცილებელია. კასტელსი ისე განადიდებს მერიტოკრატის პრინციპს, რომ მუდმივად ხაზს უსვამს თანამედროვე კაპიტალიზმისათვის ინფორმაციული კაპიტალის მნიშვნელობას, ამტკიცებს რა, რომ ეკონომიკური კაპიტალის ფლობა არ არის საკმარისი ძალაუფლების ბერკეტების შესანარჩუნებლად. მაშასადამე, კარები ღიაა იმათთვის, ვისაც უნივერსიტეტის დიპლომა ან ხარისხი აქვს და ვისაც მიღწევათა შთამბეჭდავი “პორტფოლიოს” შედგენა ძალუძს; და პირიქით, კარები იკეტება იმათთვის, ვისაც მიუხედავად მემკვიდრეობით მიღებული კაპიტალისა, ინფორმაციონალური მუშაკის კვალიფიკაციის მიღება არ ძალუძს.

აქედან გამომდინარეობს, რომ ინფორმაციონალური კაპიტალიზმის სტრატეგიკული სისტემა ურყევია, რამეთუ სწორი და სამართლიანია. ღირს იმაზე დაფიქრება, თუ როგორ განსხვავდება ეს კაპიტალიზმის ტრადიციული სურათისაგან, სადაც მუშათა კლასი ქმნიდა მოგებას, რომელიც შემდეგ მდიდრების მიერ ანაზღაურების გარეშე მიითვისება არა მემკვიდრეობით მირებული თვისებებისა გამო, არამედ მხოლოდ იმის გამო, რომ საზოგადოებას მართავს კაპიტალი, რომელსაც მუშათა კლასი წმინდა ეკონომიკური მიზეზებისა გამო ექვემდებარება.

კრიტიკული ანალიზი

კასტელსის არგუმენტები, როგორი მერიტოკრატულიც არ უნდა იყოს ისინი, კითხვებს იწვევენ. ისინი ძალზედ ნაცნობია, რაც საფუძველს გვაძლევს იმისათვის, რათა ეჭვის ქვეშ დავაყენოთ ამ მოვლენის სიახლე. კასტელსი ყურადღებას ინფორმაციონალური შრომის შრომის გარდამქმნელ თვისებებსა და მახასიათებლებზე ამახვილებს, რაც უფრო ადრინდელ გამოთქმებს გვაგონებს იმის თაობაზე, რომ მსოფლიო იცვლება და გარდაიქმნება სხვადასხვა ტიპის “ექსპერტთა” მიერ. ანდრე

გორცი, სერჟ მალლე, კენეტ გელბრაიტი, დანიელ ბელი და ა.შ. თითქმის სენ – სიმონამდე – საზოგადოების განათლებული წევრების როლის აღწერისას ყველანი მრავალ განმასხვავებელ ნიშნებზე მიუთითებდნენ. ერთნი ტექნიკურ ჩვევებს, მეორენი – კოგნიტურ უნარებს, მესამენი – ფორმალურ განათლებას გამოყოფდნენ. მაგრამ არსებითად ყველანი ერთს ასაბუთებდნენ: განათლებული ელიტები საზოგადოებაში ძირითად და საკვანძო მნიშვნელობის როლს თამაშობენ. ვებსტერის აზრით, ასეთი პოზიცია მეტ – ნაკლებად ტექნოკრატიულია. იგი ემყარება ვარაუდს, რომ შრომის დანაწილება და ტექნოლოგია ძალაუფლების და შეფასების გარდუვალ იერარქიას განაპირობებს, რაც შესაბამისად “ზუნებრივი” უთანასწორობის მიზეზად გვევლინება, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ სოციალური ბუნება არ აქვს, მაინც უდიდესი სოციალური მნიშვნელობის მქონე შედეგები მოაქვს.

მეორე პრობლემა ისაა, რომ კასტელსთან ინფორმაციონალური შრომის ცნება ძალიან ფართოა. იგი მორიგეობით გამოყოფს განათლებას, კომუნიკაციის (ურთიერთობის) ჩვევებს, ორგანიზაციულ უნარებსა და მეცნიერულ ცოდნას, საბოლოოდ ყველაფერი ეს ერთ განსაზღვრებაში ექცევა. ვებსტერის აზრით გვეჩვენება, რომ კასტელსი ბევრს ისეთს არაფერს ლაპარაკობს, რაც უკვე ცნობილი არ იყო, რომ დისპერსიული საქმიანობის კოორდინაციისათვის ორგანიზაციული ნიჭის ან მენეჯმენტის მცოდნე ადამიანებია საჭირო. ჯერ კიდევ რობერტ მიხელსის კლასიკურ შრომაში “პოლიტიკური პარტიები” ოლიგარქიული ლიდერების აღწერა ძალიან გვაგონებს ინფორმაციული შრომის კასტელსისეულ ინტერპრეტაციას: ორგანიზაციული ცოდნა, მედიასთან ურთიერთობის ჩვევები, ორატორული უნარები და ა.შ.

კასტელსის მიერ მოცემულ დეფინიციას ანალიტიკური ძალა აკლია. მას ერთდროულად შეუძლია ინფორმაციული მუშაკი აღწეროს, როგორც ადამიანი, რომელიც კარგად ფლობს ინფორმაციულ – კომუნიკაციურ ტექნოლოგიებთან მუშაობის უნარებსა და ჩვევებს, ასევე როგორც მკვლევარი, რომლისთვისაც თეორიული პრინციპები და მეცნიერული ცოდნა – როგორც მენეჯერის ძირითადი თვისებებია – რომელსაც როგორც ორგანიზაციული ჩვევები, ისე სტრატეგიული დაგეგმვის უნარი სჭირდება. ამ განსაზღვრებაში ექცევა როგორც ბირჟის მაკლერი სითიში, ისე წყლისმომარაგების ინჟინერი კუმბერლანდში. კასტელსისთვის ორივენი – ინფორმაციონალური მუშაკებია, ისევე როგორც ქირურგი საავადმყოფოსი. ამ ადამიანებს შეიძლება მაღალი კვალიფიკაცია და განათლების დონე ჰქონდეთ, მაგრამ ვერანაირი იარლიყით მათ ერთ ჰომოგენურ ჯგუფად გაერთიანებას ვერ შევძლებთ. ასეთი ლოგიკით, ფიქრობს უებსტერი, საკმაოდ დამაჯერებლად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ დურგალი, რომელიც თავისთვის რაღაცას აკეთებს, იმავე კატეგორიას მიეკუთვნება, რასაც მენეჯერი საიმპორტო – საექსპორტო ფირმაში. ორივეს ესაჭიროება: ეფექტური კომუნიკაციის უნარი, გაანალიზების, თავისი საქმიანობის გათვლისა და კოორდინირების უნარ – ჩვევები. უებსტერის აზრით, კასტელსთან ინფორმაციონალური შრომის ცნება იმდენად ფართოა, რომ მასში შეიძლება მოვაქციოთ ადამიანთა ნებისმიერი ჯგუფი, რომელიც მინიმალურ დონეზე ასრულებს ლიდერის როლს, მათ შორის ისეთ კლასიკურ “პროლეტარულ” ორგანიზაციებში, როგორცაა, მაგალითად პროფკავშირი.

ინფორმაციული შრომა ისტორიულ განვითარებაში.

გარკვეული დროით – წერს უებსტერი, რომც დავეთანხმით კასტელსს, რომ ინფორმაციონალური შრომა სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს შრომის ბაზარზე, მისი სიახლის, მოცულობისა და მნიშვნელობის შესახებ კითხვების დასმა თავისუფლად არის შესაძლებელი. ისტორიკოს ჰაროლდ

პერკინის წიგნი *The Rise of Professional Society* (Perkin, 1989) შეიძლება სასარგებლო წყაროდ გამოგვადგეს, ვინაიდან კასტელისაგან განსხვავებით, უპირატესად პროფესიონალური შრომისაკენ მოძრაობას გვიჩვენებს, არა უკანასკნელ ათწლეულებში, არამედ მთელი საუკუნის განმავლობაში. ინგლისის ისტორია დაწყებული 1880 წლიდან, ასაბუთებს პერკინი, შეიძლება განვიხილოთ, როგორც „პროფესიონალური საზოგადოების“ წარმოშობა, რომელშიც განმსაზღვრელი „განათლებით შექმნილი ადამიანური კაპიტალი“ ხდება. რასაკვირველია, პროფესიონალები ინფორმაციონალური მუშაკებია, თუმცა მათი დომინირება (ბატონობა) მთელი ასი წლის მანძილზე იზრდება. ინფორმაციული შრომის ასეთი ხანგრძლივი და მუდმივი ბატონობა ეჭვს ბადებს, რომ ის რაღაც ახალია და იმ არგუმენტსაც ძალას უკარგავს, რომელიც ამ კატეგორიის მუშაკების ექსპანსიას წამყვან როლს აკისრებს.

გარდა ამისა შეიძლება დავსვათ კითხვა, რამდენად ახალია ის დარგები, რომლებიც ცოდნას ინტენსიურად იყენებენ. დღეს, ანალიტიკოსები ბიოტექნოლოგიებისა და პროგრამული უზრუნველყოფის მიმართ დიდ ენთუზიაზმს იჩენენ, მაგრამ წარსულშიც არსებობს ამდენადვე ცხადი მაგალითები, როდესაც ბიზნესი მთლიანად ცოდნას ემყარებოდა. ნავთობქიმია, ფარმაცევტიკა, საავიაციო და კოსმოსური ტექნიკა, ელექტროენერჯის წარმოება და თვით საბანკო საქმეც XX - ის 10 - იან წლებში იწყებენ განვითარებას. რაც მთავარია, სწორედ მათ შეიტანეს მნიშვნელოვანი წვლილი როგორც ეროვნული შემოსავლის, ისე დასაქმების პრობლემის გადაწყვეტაში. ღირს, ასევე მყარი სხეულების ფიზიკის, ატომური ენერგეტიკის, სარადარო ტექნოლოგიების, რეაქტიული ძრავების, პლასტმასის წარმოებისა და ტელევიზიის გახსენებაც, რომლებმაც ძალიან სერიოზული გავლენა იქონიეს მრეწველობის (და ასევე ყოველდღიური ცხოვრების) განვითარებაზე. ყველამ ვიცით, რომ თითოეული ამ დარგთაგანს უმაღლესი ხარისხით სჭირდება ცოდნის გამოყენება, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა ამ დარგთაგანმა მსოფლიო ომებს შორის პერიოდში დაიწყო განვითარება.

პერკინი ასევე მიუთითებს, რომ უმაღლესი განათლება პრივილეგირებული მდგომარეობის დაკავების საშუალებას არ იძლევა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ბაზარზე პოზიციების დაკავება და მასზე გავლენის მომხდენი ბერკეტების დაუფლების შესაძლებლობა. თანამედროვე კაპიტალიზმზე უბრალო თვალის გადავლებაც კი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, რომ ინფორმაციონალური მუშაკების უმეტესობა ბაზარზე დაკავებულ ადგილზეა დამოკიდებული, რაც სრულიადაც არ შეესაბამება კასტელის მიერ დახატულ ყოვლისშემძლე ბროკერის სურათს.

XX –ის 70 – ან წლებში ზოგიერთი პროფესიის (უნივერსიტეტის პროფესორების, არქიტექტორების, მკვლევარების, ბიბლიოთეკარების და ექიმების) მუშაკების რიცხვი სწრაფად გაიზარდა, ასევე ძალიან გაიზარდა უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების რაოდენობაც, თომცა ამავე დროს მათგან მიღებული უკუგება ძალიან შემცირდა. თითქმის ყველაფერი არა ინფორმაციონალური შრომის, არამედ ბაზარზე დაკავებული ადგილის მნიშვნელობაზე მიუთითებს და მის უპირატესობას აღიარებს, რაც მუსაკის ინტელექტუალური ნიჭიერების მიუხედავად გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდება ხოლმე. უებსტერის აზრით, ინფორმაციონალური შრომის წილის ზრდას, შრომის სფეროში კაპიტალის უმნიშვნელოვანეს როლზე ფაქტობრივად გავლენა არ მოუხდენია.

ნამდვილად ღირს იმაზე დაფიქრება, თუ როგორ სწრაფად აღნიშნეს ანალიტიკოსებმა, რომ უმაღლესი განათლების მქონე მუშაკების რაოდენობის ზრდა ინფორმაციონალური შრომის ზრდაზე მიუთითებს. აქ შეიძლება რამდენიმე უხერხული კითხვა დავსვათ – წერს უებსტერი – უმაღლესი განათლების მზარდ სისტემაში შეცვლილი სტანდარტების შესახებ, ასევე იმის შესახებაც, თუ რამდენად შეესატყვისება მიღებული კვალიფიკაცია – განათლება შემდგომ სამუშაოს. შეიძლებოდა ასევე უმაღლესი განათლების სტანდარტების შესახებ დაგვესვა სერიოზული კითხვები, რამდენადაც

მასში შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფების დიდი პროცენტია თავმოყრილი, მიუხედავად იმისა, რომ ამაზე კამათი დღესაც მიმდინარეობს, საექვოა დიდი ეჭვი გაგვიჩნდეს იმის თაობაზე, რომ დამსაქმებლების მხრიდან უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებზე – კვალიფიციურ შრომაზე მოთხოვნა ძალიან გაბერილი და გაზვიადებულია, მაშინაც კი როდესაც სამუშაო თავისთავად განსაკუთრებული უნარ – ჩვევების ფელოზას არც კი საჭიროებს. მაგალითად, არის იმის ნიშნები, რომ საუნივერსიტეტო ხარისხები პოზიციონირების (პოზიციების დაკავების) კლასიკურ სიმპტომებად იქცნენ: რაც უფრო მეტია დიპლომის მქონე კურსდამთავრებული, მით უფრო ნაკლებ ფასობს ეს დიპლომები პრესტიჟული სამუშაოს მიღებისას, და მით უფრო მაღალია იმ უნივერსიტეტის შედარებითი პრესტიჟი, რომელმაც რს დიპლომები გასცა. ყოველივე ეს ბადებს – განსაკუთრებით ინფორმაციონალურ შრომაში პირადი დამსახურების როლის გარკვევისას ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტებში ჩაბარების ხელმისაწვდომობის პრობლემას, უნივერსიტეტებში, რომლებიც ინფორმაციონალური შრომის, როგორც ინფორმაციონალური კაპიტალიზმის მამოძრავებლის, ყველაზე მაღალ დონეზე კარიერის გაკეტების საშუალებას იძლევიან. დიდ ბრიტანეთში კი – შენიშნავს უებსტერი – იმის ნიშნები ჩანს, რომ ყველაზე პრივილეგიებული უნივერსიტეტები კემბრიჯი და ოქსფორდი დაბალი, შეუსაბამო სოციალური წარმოშობის მქონე ადამიანებისათვის, სულ უფრო დახურული და მიუწვდომელი ხდებიან. ეს იმ დროს, როდესაც შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის მხოლოდ 7% - ი სწავლობს კერძო სკოლებში, და სწორედ კურსდამთავრებულები შეადგენენ კიდევ კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში მოსწავლე სტუდენტების ნახევარზე მეტს. ძნელი არაა დავინახოთ, რომ პრივილეგიებული მდგომარეობისა და წარმოშობის მქონე სტუდენტების უმრავლესობა ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტებში სწავლობენ. ეს უფრო იმის მაჩვენებელია, რომ კერძო სკოლები თავიანთ მოსწავლეებს ძალიან კარგად ამზადებენ საჯარო გამოცდების ჩასაბარებლად, რაც ძირითადად განსაზღვრავს კიდევ უნივერსიტეტებში ჩაბარებას. აქ ჩნდება, კასტელის მიერ გაუშუქებული, მნიშვნელოვანი თემა: ხომ არ მოქმედებს მერიტოკრატიული სოციალური სისტემა ძველებურად ამკარად გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფების სასარგებლოდ?

მესაკუთრეთა კლასის ურყეობა – სიმტკიცე

მართალია, საექვო და საკამათო არაა, რომ გლობალიზებული კაპიტალიზმი – ამფოთებს და საკუთარი თავისადმი რწმენას უკარგავს ყველას, ვისაც იგი ეხება, მათ შორის კორპორაციებსაც, არსებობს იმის უტყუარი საბუთები, რომ აქტივების მთავარი მფლობელნი დღესაც მესაკუთრეთა კლასები რჩებიან, რამეთუ კორპორაციათა საკუთრების მნიშვნელოვან ნაწილს ფლობენ. ამ მიმართულებით საყურადღებო წყაროა ჯონ სკოტის შრომები, მართალია ისინი მთლიანად ინფორმაციონალურ შრომას არ ეძღვნება, მიუხედავად, ამისა ძალიან ბევრ რამეში გადაკვეთს და ეხმაურება კასტელის შრომებს. მაგალითად, სკოტი გვახარებს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება კაპიტალიზმში კონტროლის პერსონალური ფორმებიდან კონტროლის არაპერსონალურ ფორმებზე გადასვლასთან არის დაკავშირებული. ანუ, ფირმების ინდივიდუალური მფლობელების ადგილი ისეთმა ორგანიზაციებმა დაიკავეს, როგორებიცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები. და ძალიან ცოტაა ინდივიდუალური მფლობელნი, რომლებიც აქციების ძალიან მცირე პროცენტს ფლობენ.

კასტელს ამას აღიარებს, მაგრამ შემდეგ, ეყრდნობა რა მენეჯმენტის სოციოლოგიის ტრადიციას, ამტკიცებს, რომ “მენეჯერთა კლასი” მართავს ამ კორპორაციებს და თავიანთი მენეჯერული უნარების

წყალობით “ინფორმაციონალურ ფაზაში მყოფი კაპიტალიზმის ბირთვს წარმოადგენს”. მაგრამ სკოტი აჩვენებს: კორპორაციების მფლობელთა რაოდენობის ზრდა არ ნიშნავს, რომ კაპიტალისტთა კლასი მასზე კონტროლს კარგავს, რამდენადაც იგი შეკრულია ქსელებით, რომელთა საფუძველში აქციების ერთობლივი მფლობელობა ძევს, რომელიც მათ მიერ პოზიციების შენარჩუნებას “ინტერესთა კონსტელაციის წყალობით” უზრუნველყოფს.

კასტელსის საწინააღმდეგოდ, აღმოჩნდება, რომ არსებობს კაპიტალისტთა კლასი, რომელიც კაპიტალისტური სისტემის მწვერვალზე იმყოფება. ის უფრო ნაკლებ უსახო და უპიროვნოა, ვიდრე ეს კასტელსს ჰგონია. მიუხედავად ამისა ესაა მესაკუთრეთა კლასი, რომელიც შესაძლოა, პირდაპირ არც კი მართავდეს კაპიტალისტურ წარმოებას. კასტელსი მართალია, როდესაც კაპიტალიზმის არასტაბილურ და წინასწარგანუჭვრეტ მხარეებზე აქცევს ყურადღებას, არამარტო წარსულ ეპოქებში, არამედ დღესაც. დღესაც კაპიტალიზმი ისევე არასტაბილური და გამოუცნობი რჩება, როგორც წინათ. მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან და ლათინური ამერიკიდან მომდინარე სიახლეების, ან რუსეთში მომხდარი მომხდარი რღვევის გაზრებასა საჭირო, რათა თანამედროვე კაპიტალიზმის მოქნილება, თვით გაუკონტროლებადობაც შევაფასოთ. მიუხედავად ამისა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სისტემის უმაღლესი ეშელონები არ არი მონოპოლიზებული მესაკუთრეთა ჯგუფის მიერ.

უეჭველია, რომ “კაპიტალის კვლავ წარმოების მექანიზმები” და “კლასის კვლავწარმოების მექანიზმები” ერთმანეთს ნაწილობრივ დაშორდა. ანუ კაპიტალისტებს ჯერ კიდევ შეუძლიათ მემკვიდრეებს გადასცენ თავიანთი საკუთრება, მაგრამ ამ საკუთრებასთან დაკავშირებული თოფ – მენეჯერის პოზიციის გადაცემა უკვე აღარ შეუძლიათ. მაგრამ ეს დაშორება, რომელიც მნიშვნელოვნად საგანმანათლებლო დონისადმი წაყენებულ მაღალ მოთხოვნებთანაა დაკავშირებული, ძალიან შორს არ წასულა. სკოტი ფიქრობს, რომ მესაკუთრეთა კლასი კვლავინდებურად ქმნის, აყალიბებს “იმ ნიშას, რომლისგანაც თოფ-მენეჯერების რეკრუტირება ხდება”. უფრო მეტიც, მესაკუთრეთა კლასი განსაკუთრებულ უპირატესობას საგანმანათლებლო სისტემაში ფლობს, ასე რომ იგი ფლობს კიდევ უმაღლეს ინფორმაციონალურ კვალიფიკაციას, რომელზეც კასტელსი აქცენტს აკეთებს. ამაშია იმ განსაკუთრებულობის, ექსკლუზიურობის მიზეზი, რომელსაც რომელსაც ოქსფორდში ან კემბრიჯში ჩაბარება და სწავლა იძლევა. სკოტი წერს, რომ “კაპიტალისტ მესაკუთრეთა კლასი მთელი კორპორაციული სისტემითაა დაინტერესებული და საკუთარი არსებობის გაძლიერება როგორც განათლების სისტემის, ისე სიმდიდრის მონოპოლიზაციის წყალობით ძალუძს. იგი სტრატეგიკული კიბის მწვერვალზეა და იმ დაქვემდებარებულ მომსახურე კლასთან შედარებით ყველაზე საუკეთესო შესაძლებლობებით სარგებლობს, რომელიც კორპორაციების ყველა იერარქიულ რიგს ქმნის.”

უეჭველია, რომ ყველა თოფ-მენეჯერი – ინფორმაციონალური მუშაკებია, მაგრამ მათი პროგრამისტების, ბუღალტრების და ჟურნალისტების, რომლებიც ასევე მუშაობენ სიმბოლოებთან, ერთ რიგში დაყენება დიდი შეცდომა იქნება. გლობალური კაპიტალიზმის პიკზე ინფორმაციონალური მუშაკები ნამდვილად იმყოფებიან, მაგრამ ისინი აქ უმეტესწილად პრივილეგირებული წარმოშობის, პრივილიგირებული განათლების და შეუფასებელი უპირატესობის – მემკვიდრეობით მიღებული სიმდიდრის წყალობით. საქმე ისაა, რომ გლობალიზაციის შედეგად კაპიტალისტურმა კლასმა მრავალფეროვნება თუ მრავალსახეობა შეიძინა. მაგრამ ამავე დროს მესაკუთრეთა ჯგუფების დისპროპორციული გავლენის ყველა ნიშანი არსებობს, რაც ასევე თვითწამოების მაღალ უნარებსა და შესაძლებლობებზე მეტყველებს.

ინფორმაციონალური კაპიტალიზმის წყაროები

ახლა მე მინდა დავუბრუნდე “ინფორმაციონალური ეპოქის” უფრო კონცეპტუალურ მხარებს. კასტელსი განასხვავებს განვითარების ინფორმაციულ წესს და წარმოების კაპიტალისტურ წესს. წარმოების კაპიტალისტური წესი მოდის მარქსისტული ტრადიციიდან და დაკავშირებულია საბაზრო ეკონომიკასთან, მოგების მიზნით წარმოებასთან, კერძო საკუთრებასთან და ა. შ. მაგრამ განვითარების წესი მოცემული სიმდიდრის დონის შესაბამის წარმოების საშუალებებთანაა მიმართებაში. ინდუსტრიალიზმი განვითარების ერთი საშუალება იყო, ახლა კი ჩვენ საქმე გვაქვს “სოციოტექნიკურ პარადიგმასთან”, განვითარების ინფორმაციონალურ წესთან, რომელიც სიმდიდრის შექმნისა და დაგროვების ახალ გზად გვევლინება. კასტელსის თანახმად განვითარების ინფორმაციონალური წესი გულისხმობს, რომ “ცოდნით ცოდნაზე ზემოქმედება თავად ხდება მწარმოებლურობის ნაყოფიერების მთავარი წყარო.” როგორც უკვე აღვნიშნეთ, კასტელსი გულისხმობს, რომ კაპიტალიზმის კრიზისისა და ინფორმაციონალური რევოლუციის ისტორიულმა დამთხვევამ წარმოშვა თანამედროვე ინფორმაციული კაპიტალიზმი.

ახლა ცოტა ვიფიქროთ კონცეპტუალურ აპარატზე, რომელიც აქ იყო გამოყენებული. მიიჩნევა რომ რომ ცვლილება შეიძლება განვიხილოთ ორ ცალკეულ დერძთან: წარმოების წესსა და განვითარების წესთან მიმართებაში, როცა პირველი უზრუნველყოფს სიმდიდრეს და ხოლო მეორე მის ორგანიზებას. აქ შესაძლებელია გავიხსენოთ დანიელ ბელის შრომა. როგორც ცნობილია, ბელმა შექმნა პოსტინდუსტრიული საზოგადოების კონცეფცია, რომელსაც მოგვიანებით უწოდეს ინფორმაციული. კასტელსი გამოხატავს მადლიერებას თავისი წინაპრის, როგორც “ინფორმაციონალიზმის მამის” მიმართ. მიუხედავად ამისა იგი ამტკიცებს, რომ უფრო რადიკალურ ინტელექტუალურ ტრადიციებს ემყარება, ვიდრე დანიელ ბელი. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მათ შორის საერთო უფრო მეტია, ვიდრე ეს ერთი თვალის გადავლევით ჩანს.

ამ კონტექსტში კარგია გავიხსენოთ დანიელ ბელის თეორიული წანამძღვრები, რადგან ისინი ძალიან ახლოა კასტელსის პოზიციასთან. ასევე ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს, რომ ბელის თეორია გამომდინარეობს მარქსიზმიდან, რომელიც კასტელსისთვისაც საწყის წერტილს წარმოადგენდა. წიგნში “*the coming of post-industrial society*” “ინფორმაციული საუკუნის” შესახებ თეზისი აგებულია ბელის დებულებაზე, რომ წარმოების ტექნიკა და ტექნოლოგია უფრო მნიშვნელოვან ფაქტორებად იქცნენ, ვიდრე რომელიმე განსაზღვრული სოციალური სისტემა, რომელიც მათგან წარმოიშვა. ანუ თუ მარქსისტები ამტკიცებენ, ფუნდამენტალური ცვლილებები მოხდა, როცა მონათფლობელობა შეცვალა ფეოდალიზმმა, ხოლო ფეოდალიზმი – კაპიტალიზმმა, ბელი ამტკიცებს, რომ ცვლილება ხდებოდა სასოფლო-სამეურნეოდან ინდუსტრიული საკენ და აქედან პოსტინდუსტრიული საკენ გადასვლისას, რომლის უმაღლესი საფეხურია ინფორმაციონალური საზოგადოება. ბელის კვაზიმარქსისტული ტერმინოლოგიით, “საწარმოო ძალები (ტექნოლოგია) ცვლის სოციალურ ურთიერთობებს (საკუთრებას) როგორც საზოგადოების მთავარ ღერძს.”

აქ ბელი მარქსის წინააღმდეგ მ. ვებერის კოზირებს იყენებს. “წარმოებითი ურთიერთობები” და მისი დამახასიათებელი კლასობრივი ბრძოლა ნაკლებად მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე ეფექტურობა, რომელიც ტექნოლოგიურ ინოვაციებში მჟღავნდება. ბელი ამოდის ტექნოლოგიური დეტერმინიზმის პრინციპებიდან, რამდენადაც მისი აზრით სწორედ ეს დევს სოციალური და პოლიტიკური

ცხოვრების საფუძველში. ამერიკული სოციოლოგიის ვებერისეული ტრადიციის შესაბამისად ბელი მიდის დასკვნამდე, რომ სერიოზული ისტორიული ძვრები ხდებოდა წინანდუსტრიული საზოგადოების ინდუსტრიული შეცვლის და მოგვიანებით პოსტინდუსტრიული საზოგადოებით შეცვლის პროცესში, ამასთან ყოველი ფაზა ხასიათდებოდა ტექნიკური გაუმჯობესებით, რაც იწვევდა მწარმოებლურობის (ნაყოფიერების) სერიოზულ ზრდას.

ეს არის არგუმენტაციის იგივე ტიპი, რომელსაც ჩვენ კასტელსთან ვხვდებით. თუმცა ანალიტიკური დაყოფა რომელსაც ის აკეთებს წარმოების წესსა და განვითარების ინფორმაციულ წესს შორის, საშუალებას აძლევს მას ინფორმაციული კაპიტალიზმი უწოდოს იმ პერიოდს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, მაგრამ სრულიად ნათელია, ცვლილების რეალური მამოძრავებელი გახდა “ტექნოლოგიური რევოლუცია, რომელიც აგებულია ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე (რომლებიც) საზოგადოების მატერიალური საფუძვლების დაჩქარებული ტემპით ტრანსფორმირებას ახდენენ”. კასტელსი მუდმივად ავითარებს აზრს, რომ “ინფორმაციულ - ტექნოლოგიური რევოლუცია” ხდება ფუნდამენტი, რომელზედაც იგება ქსელური საზოგადოება. ეს ნიშნავს, რომ კასტელსმა უკუაგდო თავისი რადიკალიზმი, და ისევე ინარჩუნებს თავის ტექნოკრატიულ შეხედულებებს საზოგადოებაზე, როგორც დანიელ ბელი და “ინფორმაციული ერის” სხვა თეორეტიკოსები. თუ, როგორც იგულისხმება ჩვენ შევდივართ ინფორმაციულ საზოგადოებაში, თუნდაც მისი გავლენის ყოველგვარი დაკონკრეტების გარეშე, კასტელსს მაინც მოუხდება უპასუხოს ბრალდებას იმის შესახებ, რომ მიუხედავად ტერმინოლოგიებში ზოგი განსხვავებისა, ის აფასებს ცვლილებებს, როგორც იერარქიული ფაზებით განვითარებას, რაც კარგად არის ცნობილი იმათთვის, ვინც იცნობს პოსტინდუსტრიულ თეორიებს: რთულია დავინახოთ განსხვავება ინდუსტრიულიდან პოსტინდუსტრიულზე და ინდუსტრიალიზმიდან ინფორმაციონალურზე გადასვლას შორის. ნებიმიერ შემთხვევაში აქედან გამომდინარეობს, რომ განსაზღვრული ტექნოლოგიური ბაზა გამოდის როგორც წანამდღვარი და განსაზღვრავს მთელ პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებას.

გარდა ამისა, ეს არ არის მხოლოდ პოლიტიკური არჩევანის შეზღუდვის საკითხი, (თუმცა ეს, რასაკვირველია, ასეა), არამედ პოზიციაც, რომელიც ეწინააღმდეგება ტექნოლოგიური ცვლილებების სოციოლოგიური კვლევების უმრავლესობას ეწინააღმდეგება, განსაკუთრებით იმათ, რომლებიც ამტკიცებს, რომ მცდარია აღვიქვათ ტექნოლოგია როგორც ავტონომიური ასოციალური ფენომენი, რომელიც გადამწყვეტ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. აქ კასტელსი სერიოზულად განსხვავდება თანამედროვე სოციოლოგიური მეცნიერებისაგან, რომელიც მიუხედავად ავტორების და სკოლების სხვადასხვა პოზიციებისა, უარყოფს ცვლილებების მიმართ ტექნოლოგიურ მიდგომას და უპირატესობას ანიჭებს შეისწავლოს თუ როგორ ერთვება სოციალურ ურთიერთობებში ტექნოლოგიური ინოვაციები.

ეპოქათა ცვლა

კარგი იქნება აქ შევჩერდეთ კასტელსის მოსაზრებაზე, რომ ინფორმაციული კაპიტალიზმი ეპოქათა ცვლას მოასწავებს. რამდენადაც კაპიტალიზმი არ თმობს პოზიციებს, გასაგებია, რომ კასტელსი დარწმუნებულია, რომ ჩვენ შევედით “ინფორმაციულ ეპოქაში”. მე უკვე შევეწინააღმდეგე ტექნოლოგიურ დეტერმინიზმს, რომელიც კასტელსის მიერ ამ ცვლილებების ახსნის საფუძველში დევს. როგორ შეიძლება მოვახდინოთ ეპოქათა ცვლის იდენტიფიცირება? აქ მე ეჭვის ქვეშ ვაყენებ თავად ინფორმაციის კასტელსისეულ კონცეფციას და ვცდები დავამტკიცო, რომ ის ეკლექტური და ბუნდოვანია, მიუხედავად იმისა, რომ ეპოქათა ცვლის მისეულ აღწერაში ძირითადი ადგილი უკავია.

სრულიად გასაგებია, რომ ეპოქალური ძვრების პირდაპირი იდენტიფიცირება შეუძლებელია განვითარებაში ძირეული ცვლილებებით. მაგალითად, ომებს და ეპიდემიებს თან სდევს შიმშილი და რელიგიური კრიზისები, მაგრამ იმისათვის რომ რომ ისინი განვიხილოთ როგორც ეპოქათა ცვლის ნიშნები, აუცილებელია მოვამჯივროთ ისინი ინტერპრეტაციის ჩარჩოში. მე მინდა ხაზი გავუსვა, რომ ეს არ ნიშნავს ამა თუ იმ მოვლენის ან პროცესის მნიშვნელობის უარყოფას, არამედ მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ ანალოგიურ სიტუაციებში გაექვე ინტერპრეტაციას ძალიან რთულია. ამასთან ეს არ გულისხმობს, რომ ყველას თავისი წარმოდგენა აქვს ეპოქალურ ძვრებზე. მოკლედ მე კეთილგანწყობილი ვარ ისტორიული ეპოქების შესახებ შრომების მიმართ, დარწმუნებული ვარ მათ საუძვლიანობაში, მაგრამ ვუშვებ, რომ ეპოქათა ცვლილება თავისთავად ნათელია, მიუხედავად იმისა არგუმენტები ემყარება პოლიტიკურ ტენდენციებს, ეკონომიკურ პროცესებს, თუ ტექნოლოგიურ ინოვაციებს.

მარტინ ოლბროუ თავის საინტერესო კლევაში “გლობალური ეპოქა” ხაზს უსვამს, რომ ყოველთვის არსებობს სერიოზული ცვლილებების იდენტიფიკაციის ალტერნატიული საშუალებები. ის გამოყოფს სამ ისტორიულ ეპოქას: გლობალური ეპოქა, რომელშიც ჩვენ შევედით, არის ბევრი ფაქტორის შედეგი, მაგრამ პირველ რიგში ის ხასიათდება იმით, რომ ძირითადი ათვლის წერტილი ეკონომიკაში, პოლიტიკაში, განათლებაში, ეკოლოგიაში არის მთლიანად დედამიწა. მარქსისტები რა თქმა უნდა იპოვიან სხვა განმასხვავებელ ნიშნებს, მათი დაყოფა სხვაგვარი იქნება, მაგ. მონათმფლობელობა, ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი. დანიელ ბელი სხვა ინდიკატორებს იყენებს: პრეინდუსტრიული, ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული ეპოქები. თუმცა კასტელსი ნაკლებ ყურადღებას უთმობს ამ თემას, ნათელია, რომ მისთვის ინფორმაციულ საოზგადოებაში შესვლა ნიშნავს ისტორიულ განხეთქილებას იმ ყველაფერთან რაც იყო წინათ. კასტელსი თვლის, რომ მნიშვნელოვანი როლი ამ ტრანსფორმაციაში შეასრულა ინფორმაციონალურმა განვითარებამ. ამას შეიძლება დავეთანხმოთ, მაგრამ შეიძლება დავსვათ კითხვა, რას გულისხმობს ის ინფორმაციაში, როცა აღწერს ახალ ერას. თავის ტრილოგიაში ის ეყრდნობა რამდენიმე განსხვავებულ კონცეფციას: ქსელური საოზგადოების ძირითადი მახასიათებელია ინფორმაციის ნაკადები, შრომითი პროცესების ავტომატიზაციისათვის _ ელექტრონული მოწყობილობები, ინფორმაციული შრომისათვის კომუნიკაციური და ანალიტიკური ჩვევები. შემდეგ ის ამტკიცებს, რომ ინფორმაციონალიზმი - ეს არის “ცოდნის ზემოქმედება ცოდნაზე, როგორც მწარმოებლურობის ძირითადი წყაროსი”. მოგვიანებით ის ამბობს, რომ ინფორმაციონალური არის საოზგადოება, რომელშიც ინფორმაციის გენერირება, დამუშავება და გადაცემა ხდება მწარმოებლურობისა და ძალაუფლების ძირითადი წყარო. გასაგებია, რომ ინფორმაციის ეს კონცეფციები ერთს და იმავეს არ ნიშნავს. მაგ. ცოდნის ზემოქმედება ცოდნაზე რთულია მოვათავსოთ ინფორმაციული ნაკადების კატეგორიაში, ისევე როგორც საწამო დიზაინერმა შეიძლება შექმნას კრეატიული ძალისხმევით პროდუქტის დამატებითი ღირებულება, თუმცა ამისათვის მას ნაკლებად სჭირდება ინფორმაციული ქსელები. არაერთმნიშვნელოვანია ასევე ქსელის განსაზღვრება, რამდენადაც ის შეიძლება შედგებოდეს ორი ადამიანისაგან, რომლებიც ტელეფონზე საუბრობენ, ან გადასცემენ ელექტრონული ინფორმაციის დიდ მოცულობებს.

კარგი იქნებოდა გვეკითხა კასტელსისათვის, თუ რომელი განსაზღვრებაა ყველაზე მისაღები ახალი ეპოქის აწერისათვის. მე უკვე აღვნიშნე, რომ ის უბრუნდება ტექნოლოგიებს, განსაკუთრებით იკტ-ს, რომლებიც განსაზღვრავენ წარმოების ინფორმაციონალურ საშუალებებს. თუმცა ეს ბოლომდე არ შეესაბამება მის მოსაზრებას ინფორმაციული შრომის ცენტრალური როლის შესახებ. რეალურად, დეფინიციების ფართო სპექტრი, ალბათ იმიტომ რომ თავად ფაქტი ინფორმაციის მოცულობის და აქტორებს შორის ინფორმაციის მიმოქცევის გაზრდისა, არის ის რაც განსაზღვრავს ახალ ეპოქას.

მიუხედავად ამისა დეფინიციების დაახლოება მაინც არ არის საკმარისი, რამდენადაც მაინც წამოიჭრება მთავარი კითხვა: რომელი ინფორმაცია არის ახალი ეპოქის მაიდენტიფიცირებელი. კასტელსი პირდაპირ არ პასუხობს ამ კითხვაზე, მაგრამ ჩავთვალოთ, რომ ნებისმიერი, ეს კი არ იმუშავებს, რამდენადაც ჩვენ უნდა განვასხვავოთ უფრო მნიშვნელოვანი ინფორმაცია ნაკლებად მნიშვნელოვანისაგან. მასში უკეთესად გავერკვევით, თუ ჩვენ დავფიქრდები ინფორმაციის ალტერნატიულ კონცეფციებზე. დესმონდ ბერნარის და ნიკო სტერის შრომებზე დაყრდნობით, , შეიძლება ისტორია დავყოთ ეპოქებად თეორიული ცოდნის როლის შესაბამისად, რომელიც ჩვენ შეიძლება განვსაზღვროთ როგორც აბსტრაქტული, განზოგადებას დაქვემდებარებული ინფორმაცია, რომელიც კოდიფიცირებულია სხვადასხვა ტიპის ტექსტებში.

ბერნარი ისტორიას იმის შესაბამისად ყოფს პერიოდებად, თუ როგორ გამოიყენებოდა თეორიული ცოდნა. XVII-XVIII საუკუნეებში, მეცნიერული რევოლუციის პერიოდი, ხასიათდებოდა თეორიულ ცოდნაში წარმატებებით, რასაც ძალიან დიდი პრაქტიკული შედეგები არ ჰქონდა (ეს იყო კოპერნიკის, კეპლერის, გალილეის, ნიუტონის და სხვათა ეპოქა). მეორე პერიოდი – ინდუსტრიული რევოლუცია, ის მოიცავს XVIII საუკუნის მეორე ნახევარს და XIX საუკუნეს და ხასიათდება მნიშვნელოვანი პრაქტიკული ცვლილებებით, მაგრამ ეს განახორცილეს ადამიანებმა, რომლებიც ნაკლებად ფლობდნენ თეორიულ ცოდნას. მესამე, ეს არის მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციის ეპოქა, (XX საუკუნე), როცა თეორიული ცოდნა მჭიდროდ უკავშირდება პრაქტიკულ მოღვაწეობას. ამის მაგალითები მრავლადაა, ავიაციიდან და კოსმონავტიკიდან დაწყებული, რადარებით, პლასტმასით და ქსოვილებით დამთავრებული, და ყველაგან თეორიული ცოდნა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტექნოლოგიების შექმნაში.

მე არ ვაპირებ დავარწმუნო მკითხველი, რომ თეორიული ცოდნა არის ნიშანი, რომლის მიხედვითაც ისტორია იყოფა ეპოქებად (თუმცა როგორც მოსაზრება საინტერესოდ მეჩვენება). წარმოვიდგინოთ ალტერნატიული დაყოფა, მე უბრალოდ მინდა დავაყენო საკითხი კასტელსისეული “ინფორმაციონალური ეპოქის” გამოსადეგობაზე, სადაც თეორიული ცოდნა არ ფიგურირებს, თუმცა ფაქტია, რომ ის მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამედროვე სამყაროში. გარდა ამისა ალტერნატიული კონცეფცია საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, რომ თუ რამდენად ბუნდოვანია ინფორმაციის კასტელსისეული დეფინიცია.

რეზიუმე

არასასიამოვნო იქნებოდა კასტელსისადმი ამ წიგნის კასტელსისადმი მიძღვნილი თავის ასეთ ნოტაზე დამთავრება. მისი ტრილოგია – ეს ძალიან დიდი შრომაა, რომელმაც დამსახურებულად ჩააყენა ავტორი ინფორმაციონალური ეპოქის წამყვან მკვლევართა რიგებში. ის ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ ინფორმაციული ნაკადები და ქსელები დღეს ცენტრალურ ადგილს იკავებენ. თუმცა მის შრომაში არის პრობლემური ადგილები, რომლებიც არსებით თემებს ეხება: კლასობრივი უთანასწორობის მნიშვნელობის არასათანადოდ შეფასება, იმის გაურკვევლობა, თუ რას გულისხმობს ის ინფორმაციაში, ასევე ტექნოლოგიური დეტერმინიზმი, რაც დევს მისი თეზისის საფუძველში. ინფორმაციის არცერთი ანალიტიკოსი არ დაზარალებდა, თუ ის ის დაიწყებს კასტელსის შრომით, მაგრამ ამით ინფორმაციული ერის ადექვატურად აღწერის მცდელობის დასრულება, არ შეიძლება.

**მ. კასტელსი – ინფორმაციული ერა: ეკონომიკა, საზოგადოება და კულტურა (რუსულ ენაზე) მოსკოვი,
2000 წ
თავი 5**

**რეალური ვირტუალობის კულტურა: კომუნიკაციის ელექტრონულ საშუალებათა ინტეგრაცია,
მასობრივი აუდიტორიის დასასრული და ინტერაქტიულ ქსელთა წარმოშობა
შესავალი**

ქრისტეს გაჩენამდე დაახლოებით 700 წლით ადრე საბერძნეთში ადგილი ჰქონდა გადამწყვეტ გამოგონებას - ანბანს. ეს კონცეპტუალური ტექნოლოგია, კლასიკური პერიოდის ისეთი წამყვანი სპეციალისტის მტკიცებით, როგორც ჰეველოკია, იქცა დასავლური ფილოსოფიისა და მეცნიერების განვითარების საფუძვლად იმ სახით, როგორითაც ჩვენ მათ დღეს ვიცნობთ. მან შესაძლებელი გახადა ენასა და ზეპირ სიტყვიერებას შორის არსებული დისტანციის გადალახვა, იმით, რომ მოახერხა ნათქვამის მთქმელისაგან გამოყოფა და შესაძლებელი გახადა კონცეპტუალური დისკურსის არსებობა. ეს ისტორიული მოვლენა მომზადდა ზეპირი ტრადიციისა და კომუნიკაციის არაანბანური ფორმის სამი ათასწლეულის ევოლუციის შედეგად. ჰეველოკის სიტყვებით, ბერძნულმა საზოგადოებამ მიაღწია აზროვნების ახალ - “ანბანური აზროვნების” ფორმას, რამაც გამოიწვია ადამიანთა კომუნიკაციაში თვისებრივი ცვლილებები. თუმცა, წერა-კითხვის ფართო გავრცელება გაცილებით გვიან დაიწყო, საბეჭდი მანქანისა და ქალაქის გამოგონებისა და გავრცელების შემდეგ. მიუხედავად ამისა, სწორედ ანბანმა შექმნა დასავლეთში მენტალური ინფრასტრუქტურა კუმულატიური, ცოდნაზე დამყარებული კომუნიკაციისთვის.

მაგრამ ახალმა ანბანურმა წესრიგმა, შესაძლებელი გახადა რა რაციონალური აზროვნება, დააშორა წერითი ურთიერთობა სიმბოლოებისა და აღქმების აუდიოვიზუალური სისტემისაგან, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია ადამიანის აზროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის. იმ მნიშვნელოვანი საყრდენისათვის, რომელიც კაცობრიობამ მიიღო წერითი დისკურსის სახით, ხარკის გადახდა გახდა საჭირო: ექსპლიციტურად და იმპლიციტურად სოციალური იერარქია აღიმართა წერით კულტურასა და აუდიოვიზუალურ გამოხატვას შორის. ხელოვნების დარგებში, რომელთაც საქმე აქვთ ემოციის პირად სფეროსთან და ლიტურგიის საზოგადოებრივ სამყაროსთან, ბგერათა და გამოსახულებათა სამყარომ უკანა პლანზე გადაიწია. მაგრამ, XXI-ში აუდიოვიზუალურმა კულტურამ ისტორიული რევანში აიღო, თავდაპირველად ფილმებსა და რადიოში, შემდეგ კი ტელევიზიაში, გადალახა რა წერითი კომუნიკაციის გავლენა ადამიანთა უმრავლესობის გულსა და სულეში. და მართლაც, ტელევიზიის მისამართით ინტელექტუალთა საყვედურის მიღმა, რომლებიც დღემდე ბატონობენ მასობრივი ინფორმაციის ელექტრონული საშუალებების სოციალურ კრიტიკაში, იმალება განსხვავება კეთილშობილ ანბანურ და გრძნობიერ, არარეფლექტურ კომუნიკაციას შორის.

არანაკლები ისტორიული მასშტაბის ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია მოხდა 2700 წლის შემდეგ. ის

ხორცს ისხამს ინტერაქტიულ საინფორმაციო ქსელებში კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებათა ინტეგრაციაში. სხაგვარად, ფორმირდება სუპერტექსტი და მეტაენა, რომელიც პირველად ისტორიაში ერთი და იგივე სისტემაში აერთიანებს ადამიანური კომუნიკაციის წერით, ზეპირ და აუდიოვიზუალურ საშუალებებს. ადამიანის გონის განსხვავებული განზომილებები ერთიანდება ახალ ურთიერთქმედებაში, რომელსაც ადგილი აქვს ტვინის ნახევარსფეროებს, მანქანებსა და სოციალურ კონტექსტებს შორის. მიუხედავად მეცნიერულ-ფანტასტიკური იდეოლოგიისა და კომერციული რეკლამისა, რომელიც თან ახლავს ე.წ. სუპერჰაივეის (Superhighway) წარმოშობას, მისი მნიშვნელობის უგულვებელყოფის საფუძველი არ არსებობს. პოტენციური ინტეგრაცია ტექსტის, გამოსახულებისა და ბგერის ერთი და იგივე სისტემაში, რომლებიც ერთმანეთზე ზემოქმედებენ მრავალი წერტილიდან, კონკრეტულ ადგილას (რეალური დროის რეჟიმში ან დაგვიანებით), გლობალურ ქსელში და ღია და იაფი ხელმისაწვდომობის პირობებში, ფუნდამენტურად ცვლის კომუნიკაციის ხასიათს. კომუნიკაცია კი განსაზღვრავს კულტურის ფორმირებას, რამდენადაც, როგორც პოსტმენი წერს, “ჩვენ ვხედავთ... რეალობას არა ისეთს, როგორც ის არის, არამედ ისეთს, როგორც დანახვის საშუალებასაც ჩვენ გვაძლევს ჩვენი ენები. ჩვენი ენები კი წარმოადგენენ ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. ჩვენი მკს (მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები) – ჩვენი მეტაფორებია. ჩვენი მეტაფორები ქმნიან ჩვენი კულტურის შინაარსს”. რამდენადაც კულტურა შემოდის და გადაიცემა კომუნიკაციის გზით, თავად კულტურები, ანუ რწმენებისა და კოდების ისტორიულად შექმნილი სისტემები, ახალი ტექნოლოგიური სისტემის ზეგავლენით განიცდის ფუნდამენტურ სახეცვლილებას – და რაც დრო გადის, მით უფრო მეტად. ამ წიგნის დაწერის მომენტისათვის ამ სისტემას ჯერაც არ დაუკავებია სრულად თავისი ადგილი და უახლოეს მომავალში იგი უსაზღვროდ განვითარდება როგორც დროში, ასევე გეოგრაფიულ სივრცეში. ცხადია, რომ იგი განიცდობს და მოიცავს საქმიანობის დომინანტურ სფეროებსა და მთელი პლანეტის მოსახლეობის წამყვან სეგმენტებს. მეტიც, ის უკვე წარმოდგენილი მკს-ის ახალი სისტემის, სწრაფად ცვალებადი სატელეკომუნიკაციო სისტემის, ინტერნეტის ირგვლივ ჩამოყალიბებული ურთიერთქმედების ქსელის, ადამიანთა წარმოდგენის, პოლიტიკის ცალკეულ ფრაგმენტებსა და ელემენტებში. ელექტრონული კომუნიკაციის ახალი სისტემის წარმოშობა ხასიათდება მისი გლობალური მასშტაბით, მასობრივი კომუნიკაციის ყველა საშუალების ინტეგრირებით და მისი პოტენციური ინტერაქტიულობა უკვე ცვლის კულტურას და შეცვლის მას უკუქცევის გარეშე. მაგრამ აქ ჩნდება ამგვარი ცვლილებების ნამდვილი პირობების, თვისებებისა და ეფექტის პრობლემა. ისმის კითხვა, ამ საკითხებით დაინტერესებისას, რომელთა უმრავლესობის დამუშავება ჯერ კიდევ ემბრიონალურ მდგომარეობაშია, შეგვიძლია კი ჩვენ შევაფასოთ მათი პოტენციური გავლენა ისე, რომ არ ჩავვარდეთ ფუტუროლოგიის უკიდურესობაში, რისგანაც გაქცევას ცდილობს ჩვენი წიგნი. იმავდროულად, ახალი ელექტრონული კომუნიკაციური სისტემის პირობებში არსებული კულტურის ტრანსფორმაციის ანალიზის გარეშე მრავლისმომცველი ინფორმაციული საზოგადოების ანალიზი ფუნდამენტური დეფექტის მატარებელი იქნება. საბედნიეროდ, იმის მიუხედავად, რომ სახეზეა ტექნოლოგიური არაერთფეროვნება, ისტორიაში ვხედავთ სოციალური მთლიანობის მრავალ შემთხვევას, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ტენდენციები გავაანალიზოთ იმ მოვლენათა დაკვირვების საფუძველზე, რომლებმაც მოამზადეს საფუძველი ახალი სისტემის ფორმირებისთვის უკანასკნელი ორი ათასწლეულის მანძილზე. და მართლაც, ახალი საკომუნიკაციო სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი – მკს, სტრუქტურირებული ტელევიზიის ირგვლივ – შესწავლილია დეტალურად. მათი განვითარება გლობალიზაციისა და დეცენტრალიზაციის მიმართულებით 1960-იან წლებში იწინასწარმეტყველა მარშალ მაკლუენმა, დიდმა წინასწარმეტყველმა, რომელმაც

მიუხედავად ჰიპერბოლებისადმი განსაკუთრებული მიდრეკილებებისა, გაარევილიყო აზროვნება კომუნიკაციის სფეროში. ამ თავში მე შევეხები მკს-ის ფორმირებას და მათ მიმართებას კულტურასთან და სოციალურ ქცევასთან. შემდეგ მე შევაფასებ მათ ტრანსფორმაციას 1980-იან წლებში, რაც დაკავშირებული იყო დეცენტრალიზებული და დივერსიფიცირებული “ახალი მკს”-ის წარმოშობასთან, რამაც მოამზადა 1990-იან წლებში მულტიმედიის სისტემის ფორმირება. შემდეგ მე შევეხები კომუნიკაციის სხვა სისტემას, რომელიც ორგანიზებულია ინტერნეტისა და ვირტუალური საზოგადოებების ახალი ტიპების სპონტანურ წარმოშობასთან დაკავშირებული კომპიუტერული ქსელების ირგვლივ. მართლია, ეს შედარებით ახალი მოვლენაა, მაგრამ უკვე არსებობს საკმაო რაოდენობით ემპირიული დაკვირვების მასალა, რომლებიც საფრანგეთსა და აშშ-ში გაკეთდა, რათა გონიერ საფუძველზე მომხდარიყო ჰიპოთეზების ჩამოყალიბება. დაბოლოს, მე შევეცდები ერთმანეთს დავეუკავშირო ის, რაც ჩვენ ვიცით ორივე სისტემის შესახებ, რათა ვიფიქროთ კომუნიკაციის პროცესსა და კულტურის თვითგამოხატვის, მათი სამომავლო შერწყმისა და გავლენის სოციალურ ასპექტებზე. მე ვამტკიცებ, რომ ახალი კომუნიკაციური სისტემის ძლიერი ზემოქმედებით, რომელიც გაშუალებულია სოციალური ინტერესებით, ხელისუფლების პოლიტიკითა და ბიზნეს-სტრატეგიებით, იბადება ახალი კულტურა: *რეალური ვირტუალობის კულტურა*, რომლის შინაარსი, დინამიკა და მნიშვნელობა იქნება გაანალიზებული ამ თავში.

“გუტენბერგის გალაქტიკიდან” “მაკლუენის გალაქტიკამდე”: მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა კულტურის წარმოშობა

მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან სამი ათწლეულის მანძილზე ტელევიზიის გავრცელებამ შექმნა ახალი გალაქტიკა – “კომუნიკაციის გალაქტიკა” მაკლუენისეული ტერმინოლოგიით. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სხვა სახის მკს გაქრა, უბრალოდ ისინი რესტრუქტურირებული და რეორგანიზებულ იქნა სისტემაში, რომლის გულსაც ელექტრონულ-სხივური მილი (ყურმილი), ხოლო სახეს სატელევიზიო ეკრანი წარმოადგენს. რადიომ დაკარგა ცენტრალური როლი, მაგრამ მოიგო ყოვლისმომცველი გავრცელებისა და მოქნილობის თვალსაზრისით, იმით, რომ შეძლო გადაცემათა თემები და მეთოდები მიესადაგებინა ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრებისათვის. ფილმებიც იმგვარად ტრანსფორმირდა, რომ შესაბამისობაში ყოფილიყო სატელევიზიო აუდიტორიასთან (ხელისუფლების მიერ სუბსიდირებული კულტურული პროგრამებისა და სპეციალური ეფექტის მქონე შოუების გამოკლებით, რომლებიც დიდ ეკრანს საჭიროებენ). გაზეთები და ჟურნალები სპეციალიზირებული გახდა, უფრო ჩაუღრმავდა საკუთარ შინაარსს და ორიენტირი მიზნობრივ აუდიტორიებზე აიღო, იმავდროულად ზრუნავს სტრატეგიული ინფორმაცია მიაწოდოს კომუნიკაციის დომინანტ საშუალებას – ტელევიზიას. რაც შეეხება წიგნებს, ისინი წიგნებად დარჩნენ, თუმცა ბევრ მათგანში იგრძნობოდა ავტორთა გაუცნობიერებელი სურვილი ისინი სატელევიზიო სცენარებად ექციათ; ბესტსელერების სია მალე შეივსო სათაურებით, რომლებიც ეხმიანებოდა სატელევიზიო პერსონაჟებს ან ტელევიზიაში პოპულარულ თემებს.

მიზეზი, რის გამოც ტელევიზია იქცა კომუნიკაციის ძირითად ფორმად, და დღემდე რჩება მეცნიერთა და კრიტიკოსთა მძაფრი კამათის თემად. სარწმუნო ახსნად შეიძლება მოგვევლინოს უ. რასელ ნეიმანის ჰიპოთეზა, რომლის ჩემბურის პერეფრაზი ასეთია: ტელევიზიის წარმატება არის ზარმაცი აუდიტორიის ბაზისური ინსტინქტის შედეგი[317]. არსებული მონაცემების პირობებში ეს იდეა მისაღებად ჟღერს. თავად ნეიმანი ასე ამბობს: “განათლებისა და რეკლამის ზეგავლენის კვლევის ბაზისური შედეგი, რაც გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, თუ გვინდა გავიგოთ დასწავლის დაბალი ეფექტურობის ბუნება პოლიტიკასთან და კულტურასთან მიმართებაში, უბრალოდ იმაში

მდგომარეობს, რომ ადამიანები ირჩევენ ნაკლები წინააღმდეგობის გზებს”. ნეიმანი საკუთარ ინტერპრეტაციაში ეყრდნობა ჰერბერტ საიმონისა და ენტონი დაუნსის მიერ შემუშავებულ ფართო ფსიქოლოგიურ თეორიებს, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ინფორმაციის აღქმასა და დამუშავებაში გაწეულ ფსიქოლოგიურ დანახარჯებს. მე მომხრე ვარ ამგვარი ქცევის საფუძველი დავინახო არა ადამიანის ბუნებაში, არამედ შინაურული მყუდროების მიმზიდველობაში, რომელიც ასე სჭირდება ადამიანს რამდენიმე დამქანცველი და დამაბული სამუშაო დღის შემდეგ და საზოგადოებაში პიროვნული და კულტურული ჩართულობის ალტერნატივების არასაკმარისი რაოდენობით. მიუხედავად ამისა, ჩვენს საზოგადოებებში არსებული ცხოვრების სოციალურ პირობებს, იგულისხმება მინიმალური ძალისხმევა, რაც თავის მხრივ, აკავშირებს მათ სატელევიზიო კომუნიკაციასთან, შეეძლოთ აეხსნათ ტელევიზიის, როგორც კომუნიკაციური საშუალების გავრცელების სისწრაფე და სივრცე. მაგალითად, მკს-ის კვლევების თანახმად, ადამიანთა მხოლოდ მცირე ნაწილი ირჩევს წინასწარ პროგრამას, რომლის ყურებაც მათ სურთ. როგორც წესი, პირველი გადაწყვეტილებაა – უყურო ტელევიზორს, შემდეგ კი პროგრამებს რთავ მანამ სანამ არ შეარჩევ ყველაზე მომხიბვლელს (მისაღებს), ან, რაც ძალზედ ხშირად ხდება, ნაკლებად მოსაწყენს.

სისტემა, რომელშიც დომინირებს ტელევიზია, შეიძლება დავახასიათოთ როგორც მასობრივი ინფორმაციის სისტემა. ერთი და იგივე ინფორმაცია რამდენიმე გადამცემით მიეწოდება მილიონობით ტელემაყურებელს. ამგვარად, შეტყობინებათა შინაარსი და ფორმა დაიყვანება ნაკლებად საერთო მნიშვნელამდე. კერძო ტელევიზიის პირობებში, და აშშ-ში, სადაც ტელევიზია დაიბადა, ის უმრავლესობაშია, აუდიტორიის ნაკლებად ზოგადი ნიშნული განისაზღვრება საბაზრო ექსპერტების შეფასებით. მსოფლიოს უმეტეს ნაწილში, სადაც სახელისუფლებო ტელევიზიები ბატონობდა (უკიდურეს შემთხვევაში 1980-იანი წლის დასაწყისამდე მაინც), სტანდარტად ითვლებოდა. თუმცაღა რეიტინგი თანმიმდევრულად იზრდებოდა. ორივე შემთხვევაში აუდიტორია ითვლებოდა ერთფეროვნად, ან ითვლებოდა, რომ შეიძლებოდა იგი ასეთად ექციათ. მასობრივი კულტურის ცნება, რომელიც მასობრივი საზოგადოებისაგან გაჩნდა, იყო ინფორმაციის საშუალებათა სისტემის პირდაპირი ასახვა, იმის შედეგი, რომ ახალი ელექტრონული საკომუნიკაციო ტექნოლოგია კონტროლირდება ხელისუფლებისა და მსხვილი კორპორაციების ოლიგოპოლიების მიერ.

რა იყო ტელევიზიაში პრინციპულად ახალი? სიახლე მდგომარეობდა არა მის ცენტრალიზაციაში ან მის, როგორც პროპაგანდის იარაღის პოტენციალში. ბოლოს და ბოლოს, ჯერ კიდევ ჰიტლერმა დაგვანახა, როგორ შეიძლება წარმოადგენდეს რადიო ცალმხრივი პროპაგანდის ეფექტურობის სწრაფად ზრდის მძლავრ იარაღს. მაგრამ ტელევიზია, პირველ რიგში, წარმოადგენდა გუტენბერგის გალაქტიკის – კომუნიკაციის სისტემის, რომელშიც დომინირებდა ტიპოგრაფიული აზროვნება და ფონეტიკური ანბანი – ბატონობის დასასრულს. თავისი ყველა კრიტიკოსისათვის მაკლუნმა იპოვა ბაზისური გამოთქმა და განაცხადა, რომ “საშუალება არის შეტყობინება (ინფორმაცია)”.

“სატელევიზიო გამოსახულების რეჟიმს არაფერი აქვს საერთო ფილმთან ან ფოტოგრაფიასთან, იმის გამოკლებით, რომ ის ასევე გვთავაზობს არავერბალურ სახეს ან ფორმის მდგომარეობას. მაყურებელი, როცა ის უყურებს ტელევიზორს, თითქოს წარმოადგენს ეკრანს. ის იბომბება შუქის იმპულსებით, რომლებსაც ჯეიმს ჯოისი “მსუბუქი კავალერიის ბრიგადის შემოტევას” უწოდებს.. სატელევიზიო გამოსახულება ეს ჯერაც არ არის კინოკადრი. მაგრამ ის ასევე არ არის ფოტოგრაფია, არამედ არის საგანთა უწყვეტად ფორმირებადი კონტური, რომელიც იხატება სკანირებული სხივებით. შედეგად, პლასტიკური კონტური მიიღება არა გაშუქებით, არამედ დასხივებით. ამგვარად ფორმირებული გამოსახულება ლობს უფრო სკულპტურის ან ხატის თვისებებს, ვიდრე სურათისას. სატელევიზიო გამოსახულება მაყურებელს უგზავნის სამ მილიონამდე სხივს წამში. მათგან იგი აღიქვამს სულ

რამდენიმე ათეულს, რომელთაგანაც იქმნება გამოსახულება”.

მაკლუენის აზრით, იმის გამო, რომ გამოსახულება არ არის ძალიან მკაფიო, მაყურებელმა უნდა შეავსოს გამოსახულების ხარვეზები, და ამით უნდა გაზარდოს ემოციური ჩართულობის ხარისხი (რასაც ავტორი, რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, ახასიათებს, როგორც “მშვიდ საშუალებას”). ეს არ ეწინააღმდეგება ნაკლები ძალისხმევის ჰიპოთეზას, რამდენადაც ტელევიზია მიმართავს ასოციაციურ/ლირიულ აზროვნებას, ისე, რომ არ უხმობს ფსიქოლოგიურ ძალისხმევას ინფორმაციის მიღებისა და ანალიზისთვის, რაზეც საუბრობს ჰერბერტ საიმონის თეორია. აი, რატომ თვლის ნეილ პოსტმენი, წამყვანი ავტორიტეტი მასობრივი საშუალებების სფეროში, რომ ეს არის მიზეზი, რომლის გამოც ტელევიზია წარმოადგენს ისტორიული კავშირის გაწყვეტას “ტიპოგრაფიულ აზროვნებასთან”. მაშინ როცა ბეჭდური სიტყვა ხელს უწყობს სისტემატიურ თხრობას, ტელევიზია უკეთ არის შეგუებული არაიძულებით საუბარს. მისი ეს სიტყვები ხაზს უსვამს ამ განსხვავებას:

“ბეჭდვით სიტყვას აქვს ძლიერი მისწრაფება ახსნისაკენ; ის მოითხოვს კონცეპტუალურად, დედუქციურად და თანმიმდევრულად აზროვნების დახვეწილ უნარს, მიზეზისა და შედეგის მაღალ შეფასებას, წინააღმდეგობათა არდაშვებას, მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის მაღალ უნარს, მოთმინებას შენელებული რეაქციის მიმართ”.

ტელევიზიაში კი “გართობა წარმოადგენს მაყურებელთან ურთიერთობის მთელ სისტემას. ამასთან, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა და რა თვალსაზრისით აისახება; ყველგან და ყველას მიერ მიღებულია, რომ ყველაფერი რაც ეკრანზე ხდება არის ჩვენი გართობისა და სიამოვნებისთვის”. ტელევიზიის როგორც კაცობრიობის უნივერსალური გამაერთიანებლის მაკლუენისეული რწმენიდან დაწყებული და ჯერი მანდერას ლუდისტური განწყობების და მასობრივი კულტურის ზოგიერთ სხვა კრიტიკოსებამდე ანალიზის სოციალურ-პოლიტიკურ შედეგებში მთელი უთანხმოების მიუხედავად, დიაგნოზები ერთმანეთს ემთხვევა ორ ძირითად პოზიციაში: განვითარების რამდენიმე წელიწადში ტელევიზია იქცა ჩვენი საზოგადოებების კულტურულ ეპიცენტრად; ხოლო კომუნიკაციის სატელევიზიო უნარი არის სრულიად ახალი უნარი, რომელიც ხასიათდება თავისი მაცდუნებელი თვისებით, რეალობის სენსორული იმიტაციით და მინიმალური ფსიქოლოგიური ძალისხმევით ალქმის სიმსუბუქით.

უკანასკნელი სამი ათასწლეულის მანძილზე სწორედ ტელევიზიის წყალობით მთელ მსოფლიოში მოხდა კომუნიკაციური აფეთქება. აშშ-ში, ტელევიზიაზე ყველაზე მეტად ორიენტირებულ ქვეყანაში, 1980-იანი წლების ბოლოს ტელევიზია ერთ არხზე ერთი წუთის განმავლობაში მაყურებელს აწვდიდა 3600 გამოსახულებას. ნილსენის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით ამერიკაში სახლში ტელევიზორი ჩართულია დაახ. 7საათს დღის განმავლობაში, ხოლო სატელევიზიო პროგრამათა ნახვის დრო ყოველდღიურად შეადგენს 4,5 საათს ერთ სრულწლოვან ადამიანზე. ამას უნდა დაემატოს რადიო, რომელიც ერთ წუთში 100 სიტყვას გადასცემს და რომელსაც დღეში საშუალოდ ორ საათს უსმენენ (ძირითადად) ავტომობილში). საშუალო ყოველდღიური გაზეთი მოიცავს 150 000 სიტყვას, და დრო, რომელიც ყოველდღიურად იხარჯება გაზეთის კითხვაზე, შეადგენს 18-დან 49წუთამდე, ხოლო პოპულარულ ჟურნალთა დათვალიერებაზე იხარჯება 6-დან 30წთ-მდე, დაბოლოს, წიგნის კითხვაში, სასკოლო ლიტერატურის ჩათვლით, იხარჯება დაახ. 18 წუთი დღეში. მკს-ის ამგვარ თავდასხმა ატარებს კუმულატიურ ხასიათს. ზოგიერთი კვლევის შედეგების თანახმად, აშშ-ს იმ სახლებში სადაც საკაბელო ტელევიზია აქვთ, ეროვნულ ქსელურ პროგრამებს უფრო უყურებენ, ვიდრე სახლებში საკაბელო ტელევიზიის გარეშე. საშუალოდ, სრულწლოვანი საშუალო ამერიკელი ყოველდღიურად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უთმობს 6,43 საათს. ეს ციფრი შეიძლება შევადაროთ სხვა მონაცემებს, რომელთა თანახმადაც ყოველდღიურად ადამიანზე მოდის 14

წუთი ოჯახში პირადი ურთიერთობებისათვის (თუმცადა, ზუსტი თვალსაზრისით ეს მონაცემები არ შეიძლება ერთმანეთს შევადაროთ). იაპონიაში 1992წ. ყოველკვირეული დრო, დახარჯული სატელევიზიო პროგრამებზე, ერთ ოჯახზე შეადგენდა 8სთ-სა და 17წთ-ს, რაც 25წთ-ით მეტია, ვიდრე 1980 წელს. სხვა ქვეყნები, როგორც ჩანს არ არიან მკს-ით მოწოდებული ინფორმაციის ასეთი აქტიური მომხმარებელი: მაგალითად, 1980-იანი წლების ბოლოს საფრანგეთის მოსახლეობის უფროსი თაობა ტელეპროგრამების ყურებაზე ხარჯავდა ყოველდღიურად დაახ. 3სთ-ს. დღემდე ქვეყნის დომინანტი მოდელები მთელს მსოფლიოში ცხადყოფენ, რომ ურბანიზებულ საზოგადოებებში სატელევიზიო პროგრამების ყურება წარმოადგენს მეორე კატეგორიის საქმიანობას სამსახურის შემდეგ და ძირითად საქმიანობას ადამიანის სახლში ყოფნისას. ჩვენს კულტურაში მკს-ის როლის სწორად გაგებისათვის მითითებულ დაკვირვებაში გარკვეული დაზუსტებები უნდა შევიტანოთ: რადიოპროგრამების მოსმენა და ტელეპროგრამების ნახვა სრულიად არ გამორიცხავს სხვა საქმიანობებით დაკავებას. ჩვეულებრივ, ისინი ერწყმიან სახლში გაწეულ საქმეებთან, საერთო ტრაპეზებთან, სოციალურ ურთიერთქმედებებთან. ეს არის თითქმის მუდმივად ჩვენი ცხოვრების თანმდევი ფონი. ჩვენ ვცხოვრობთ მასთან და მისით. მაკლუენი მასობრივი ინფორმაციის ტექნოლოგიებს განიხილავდა ნედლეულის ან ბუნებრივი რესურსის მსგავსად. უფრო ზუსტად, მკს, განსაკუთრებით ტელევიზია და რადიო, იქცა აუდიოვიზუალურ გარემოდ, რომელთანაც ჩვენ მუდმივად და ავტომატურად ვურთიერთობთ. ძალიან ხშირად ტელევიზია უპირველესად ნიშნავს სახლში სხვა ადამიანთა “ყოფნას” – ძვირფასი თვისება საზოგადოებაში, სადაც სულ უფრო მეტი ადამიანი ცხოვრობს მარტოობაში (1990-იან წლებში ამერიკული საოჯახო მეურნეობის 25% შედგებოდა ერთი ადამიანისაგან). მართალია, სხვა საზოგადოებებში სიტუაცია ასეთი ექსტრემალური არ არის, მაგრამ საოჯახო მეურნეობის ზომის შემცირების ტენდენცია ევროპაში მსგავს ხასიათს ატარებს.

ჩანდა, თითქოს ეს ყოვლისმომცველი არსებობა ქვეცნობიერზე მოქმედი ბგერებისა და გამოსახულებებისა დრამატულად იმოქმედებდა სოციალურ ქცევაზე. მაგრამ არსებული კვლევები მიუთითებენ საპირისპირო დასკვნებზე. ლიტერატურის ანალიზზე დაყრდნობით ვ. რასელ ნეიმანი მივიდა შემდეგ დასკვნამდე:

“ზუთი ათწლეულის მანძილზე სისტემატიურად წარმოებული სოციალური კვლევების შედეგები ცხადყოფენ, რომ მკს-ის აუდიტორია, რომელიც მოიცავს როგორც ახალგაზრდებს, ასევე სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიას, არ არის უსუსური და მკს სულაც არ არის ყოვლისშემძლე. მკს გავლენის ნშეზღუდული და გაპირობებული შედეგების განვითარებადი თეორია გვეხმარება გავიაზროთ მორალური პანიკის ისტორიული ციკლი, რომელიც მკს-ის გარშემო ატყდა”.

გარდა ამისა, ცხადია, რომ ყველა მცდელობას შევაჩეროთ სარეკლამო ცნობათა ნაკადი, რომელსაც მკს-ით ვიღებთ, აქვს შეზღუდული შედეგი. დრეპერის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ საშუალო ამერიკელს უჩვენებენ დაახ. 1600 სარეკლამო რგოლსყოველდღიურად, ადამიანები რეაგირებენ (და არა აუცილებლად პოზიტიურად) მხოლოდ 12 მათგანზე. და მართლაც, მკს-ით გადაცემული რეკლამის შედეგებთან დაკავშირებული მასალების შესწავლის შემდეგ მაკგარი მივიდა დასკვნამდე, რომ არ არსებობს რეალურ ქცევაზე რეკლამის ზემოქმედების მყარი დადასტურება; ეს არის საკმაოდ ირონიული დასკვნა ინდუსტრიისათვის, რომელიც რეკლამაზე ყოველწლიურად 50 მილიარდ დოლარს ხარჯავს. თუ ასეა, მაშინ რატომღა მიმართავენ ფირმები რეკლამას კვლავ და კვლავ? პირველ რიგში, ისინი ამ დანახარჯებს აკისრებენ მომხმარებელს: ჟურნალ *The Economist*-ის თანახმად, “უფასო ტელემარკეტინგობა” თითოეულ ამერიკულ ოჯახს უჯდება 30\$ თვეში. მაგრამ ამდენად მნიშვნელოვან კითხვაზე არსებითი პასუხი საჭიროებს თავდაპირველად იმ მექანიზმების ანალიზს, რომელთა დახმარებითაც ტელევიზია და სხვა მკს ზეგავლენას ახდენენ ქცევაზე.

არსებითი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ამ მომენტისათვის მკვლევარნი წარმოადგენენ ერთმიმართულებიან კომუნიკაციურ სისტემას; ამიტომაც, კომუნიკაციის რეალური პროცესი, როგორც ინფორმაციის ინტერპრეტაციისას გამცემი და მიმღები მხარეების ურთიერთქმედება, არ არსებობს. უმბერტო ეკო თავის ნოვატორულ მოხსენებაში (1977), რომლის სათაურია “ახდენს თუ არა აუდიტორია ცუდ ზეგავლენას ტელევიზიაზე?”, უფრო მეტი შორსმჭვრეტელობით მკვლევარნი შემოქმედების ეფექტის პერსპექტივად შეაფასა როგორც უმნიშვნელო. ის წერს:

“არსებობს, სოციოკულტურალური თავისებურებების შესაბამისად, კოდების ან უფრო კომპლექსური ინტერპრეტაციის წესთა მრავალფეროვნება. შეტყობინება არის სანიშნე ფორმა, რომლის შევსებაც შეიძლება სხვადასხვა შინაარსით... ჩნდება ეჭვი, რომ გამგზავნი ახდენს ტელევიზიულ სახის ორგანიზებას საკუთარი კოდების ბაზაზე, რომლებიც ემთხვევა გაბატონებული იდეოლოგიის კოდებს, მაშინ როცა ადრესატები საკუთარი კულტურული კოდების შესაბამისად ავსებენ ამ სახეებს განსხვავებული საზრისებით”.

ამ ანალიზიდან გამომდინარეობს შემდეგი:

“ჩვენ ვიცით ერთი: არ არსებობს “მასობრივი კულტურა” იმ აზრით, რომელსაც გვაწვდიან მასობრივი კომუნიკაციის აპოკალიპტიკური კრიტიკოსები, იმდენად რამდენადაც ეს მოდელი კონკურენციას უწევს სხვა მოდელებს (რომლებიც შედეგად ისტორიული შრეების, კლასობრივი კულტურისაგან, მაღალი კულტურის ასპექტებისაგან, რომლებიც განათლების გზით გადაიცემა და ა.შ.)”.

მაშინ როცა მკვლევარნი ისტორიკოსები და ემპირიული მკვლევრები აღმოაჩინეს ამ გამონათქვამში სრულიად ჯანსაღ აზრს, ის, თუ მას სერიოზულად მივუდგებით, როგორც ამას მე ვაკეთებ, ანგრევს კრიტიკული სოციალური თეორიის ერთ ფუნდამენტურ ასპექტს მარკუზედან ჰაბერმასამდე. ინტელექტუალური ისტორიის ერთ-ერთ ირონიულ მხარეს წარმოადგენს ის, რომ სწორედ ის მოაზროვნეები, რომლებიც ქადაგებენ სოციალურ ცვლილებებს, ხშირად უყურებენ ადამიანებს, როგორც იდეოლოგიური მანიპულირების პასიურ ობიექტებს, ფაქტობრივად გამორიცხავენ რანებისმიერ სოციალურ მოძრაობასა და სოციალურ ცვლილებას, გარდა იმ მოვლენებისა, რომლებიც ხორციელდება განსაკუთრებულის, უნიკალურის ნიშნით და რომელიც ჩნდება სოციალური სისტემის მიღმა. თუ ადამიანები, საკუთარი ქცევის ორგანიზებისა და გადაწყვეტილების მიღებისას, სარგებლობენ გარკვეული ავტონომიურობით, მაშინ მკვლევარნი - ით გაგზავნილი ცნობები უნდა ურთიერთქმედებდნენ მიმღებებთან. ამგვარად, მასობრივი ინფორმაციის ცნება ეხება ტექნოლოგიურ სისტემას, და არა კულტურის ფორმას – მასობრივი კულტურის თემას. და მართლაც, ზოგიერთი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი ცხადყოფს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზია წუთში გადასცემს 3600 გამოსახულებას, ტვინი ცნობიერად რეაგირებს გადაცემული მილიონიდან მხოლოდ ერთ სენსორულ სტიმულზე.

მაგრამ მითითება ადამიანური აზრისა და ინდივიდუალური კულტურული სისტემის ავტონომიაზე, რომლებიც ავსებენ მიღებულ შეტყობინებებს რეალური შინაარსით არ გულისხმობს მკვლევარნი ნეიტრალურობას ან მათი შემოქმედების უმნიშვნელობას. ემპირიული კვლევები ცხადყოფენ, რომ მკვლევარნი არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ ცვლადებს, რომლებიც ახდენენ ქცევის ფორმირებას. მათი ცნობები, ექსპლიციტურნი ან ქვეცნობიერებაზე მოქმედნი, გადამუშავდება ინდივიდების მიერ, რომლებიც ჩართულნი არიან სპეციფიკურ სოციალურ პირობებში, და სახეს უცვლიან შეტყობინების ნაგულისხმევ ეფექტს. მაგრამ, მკვლევარნი, განსაკუთრებით აუდიოვიზუალური, ნამდვილად წარმოადგენენ ჩვენს კულტურაში კომუნიკაციური პროცესების ძირითად მასალას. ჩვენ ვცხოვრობთ მკვლევარნი-გარემოში, და სწორედ მათგან მოდის ჩვენი სიმბოლური სტიმულების უმრავლესობა. მეტიც, როგორც სესილია ტიჩი აცხადებს თავის წიგნში “ელექტრონული კერა”, მკვლევარნი – ეს არის კულტურა, რომელშიც

საგნები და სიმბოლოები მიმართებაშია ტელევიზიასთან, სახლის ავეჯის ფორმიდან სასაუბრო თემის არჩევამდე. ტელევიზიის რეალური ძალაუფლება, როგორც ამას ამტკიცებდნენ ეკო და პოსტმენი იმაში მდგომარეობს, რომ ის ამზადებს სცენას ყველა პროცესისათვის, ინფორმაცია, რომლის შესახებაც საზოგადოებას მთლიანად უნდა მიეწოდოს, პოლიტიკიდან ბიზნესამდე, სპორტიდან ხელოვნებამდე. ტელევიზია ახდენს სოციალური კომუნიკაციის ენის სტრუქტურირებას. თუ კომპანიები, მიუხედავად ყიდვა - გაყიდვის პროცესში რეკლამის ზემოქმედებაზე საფუძვლიანი ეჭვისა, მაინც აგრძელებენ მილიარდების დახარჯვას მათზე, ეს კი შეიძლება იმიტომ ხდებოდეს, რომ უარის თქმა ცნობილი მარკის სატელევიზიო რეკლამაზე რეკლამის დამკვეთათვის შეიძლება ნიშნავდეს საკუთარი დამარცხების აღიარებას იმ კონკურენტებთან, რომლებიც კვლავ აგრძელებენ საკუთარი პროდუქციის რეკლამირებას. მართალია, ტელევიზიის ზეგავლენა პოლიტიკურ არჩევნებზე ერთობ მრავალფეროვანია, პოლიტიკოსებს და პოლიტიკას, რომელთაც არ მიუწვდებათ ხელი ტელევიზიაზე განვითარებულ საზოგადოებებში, აქვთ ძალიან მცირე შანსი მიიღონ მოსახლეობის მხარდაჭერა, რამდენადაც ადამიანები ინფორმაციას იღებენ მკს-ით, სადაც ტელევიზიას წამყვანი ადგილი უჭირავს [322]. ტელევიზიის სოციალური გავლენა ატარებს ბინარულ ხასიათს: ყოფნა თუ არყოფნა. რადგანაც შეტყობინება მოხვდა ტელევიზიაში, ის შეიძლება შეიცვალოს, ტრანსფორმირდეს, დამახინჯდეს კიდევ. მაგრამ მკს-ის ირგვლივ ორგანიზებულ საზოგადოებაში შეტყობინებათა არსებობა მათ საზღვრებს გარეთ შეზღუდულია პიროვნული ურთიერთობის ქსელებით და ქრება კოლექტიური ცნობიერებიდან. მაგრამ შეტყობინების ტელევიზიაში მოხვედრის ფასი არის არა უბრალოდ ფული ან ძალაუფლება. შეტყობინება ხდება მულტისემანტიკური ტექსტის ნაწილი, რომლის სინტაქსიც არის ერთობ ბუნდოვანი. ინფორმაცია და გართობა, განათლება და პროპაგანდა, რელაქსაცია და ჰიპნოზი - ყველაფერი ერთმანეთს ერწყმის და იბინდება ტელევიზიის ენაში. რამდენადაც აღქმის კონტექსტი კონტროლირდება და ნიშნის მიმღები კარგად გრძნობს თავს, ყველა ცნობა აბსორბირდება სახლის მყუდრო ან კვაზიშინაურული სიტუაციის (მაგალითად, სპორტ - ბარები, სადაც ადამიანები ერთად მიდიან სპორტული პროგრამების საყურებლად, დარჩა რამდენიმედან ერთ - ერთ რეალურ გაფართოებულ ოჯახად) სახეში.

შეტყობინებათა ამ ნორმალიზაციას, სადაც რეალური ომის სასტიკი სახეები აღიქმება თითქმის როგორც მხატვრული ფილმის კადრები, აქვს ერთი ფუნდამენტური ეფექტი: მთელი შინაარსის მოყვანა სახეთა ნაკრებში, რომელიც ყველა ადამიანს გააჩნია. ამრიგად, წარმოადგენს რა ჩვენი ცხოვრების სიმბოლურ პლასტს, მკს ზეგავლენას ახდენენ ცნობიერებაზე და ქცევაზე ისევე, როგორც რეალური გამოცდილება ახდენს ზეგავლენას სიზმრებზე, აწვდის რა ნედლ მასალას, რომელზეც ჩვენი ტვინი მუშაობს. როგორც ჩანს, ვიზუალურ ნიშანთა სამყარო (ინფორმაცია/გართობა, მიწოდებული ტელევიზიით) უბრუნებს ჩვენს ცნობიერებას არჩევანის ძალაუფლებას, გამოსახულებისა და ბგერების რეკომბინირების უნარს, რომლებიც ჩვენ შევქმენით ჩვენი კოლექტიური პრაქტიკების ან ინდივიდუალური უპირატესობების გზით. ეს არის უკუკავშირების სისტემა მრუდე სარკეებს შორის: მკს არის ჩვენი კულტურის გამოხატვა, ხოლო ჩვენი კულტურა ძირითადად მუშაობს იმ მასალებით, რომელსაც აწვდის მკს. ამ ფუნდამენტურ აზრში მკს-ის სისტემამ ხორცი შეასხა ბევრ თვისებას, რომელზეც წერდა მაკლუენი 1960-იანი წლების დასაწყისში, _ ის იქცა “მაკლუენის გალაქტიკად”. მაგრამ იმ ფაქტმა, რომ აუდიტორია _ არ არის პასიური ობიექტი, არამედ წარმოადგენს ინტერაქტიულ სუბიექტს, გახსნა გზები აუდიტორიის დიფერენციაციისაკენ და იმ მომენტიდან, როცა ტექნოლოგიებმა, კორპორაციებმა და ინსტიტუტებმა ნება დართეს ამ ნაბიჯების გადასადგმელად, გზა გაუხსნა მკს-ის შემდგომ ტრანსფორმაციებს სემანტიკის, “სამსახური

დაკვეთით” და ინდივიდუალიზაციის მიმართულებით.

მასობრივი ინფორმაციის ახალი საშუალებები და მასობრივი აუდიტორიის დივერსიფიკაცია

1980-იანი წლების განმავლობაში ახალმა ტექნოლოგიებმა გარდაქმნეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სამყარო. გაზეთები იწერება, გამოიცემა და იბეჭდება გარკვეულ მანძილზე, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ ერთდროულად გამოიცეს ერთი და იგივე გაზეთის გამოშვება, რომლებიც კარგად ერწყის რამდენიმე მსხვილი რეგიონის მოთხოვნებს (მაგ, Le Figaro რამდენიმე ფრანგულ ქალაქში, New York Times-ი პარალელურ გამოცემებში აშშ-ს დასავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროზე, International Herald Tribune-ი რამდენიმე ადგილას სამ კონტინენტზე და ა.შ). ზეპორტატიულმა რადიომიმღებებმა და მაგნიტოფონებმა შესაძლებელი გახადა არჩევით მუსიკალური აუდიო-ატმოსფეროს შექმნა, ამასთანავე ადამიანები, განსაკუთრებით მოზარდები, შეძლებენ გაეცნენ (განცალკევდნენ) გარე სამყაროს ხმოვანი კედლებით. რადიო სულ უფრო მეტად სპეციალდება შემოაქვს რა თემატური და სუბთემატური მაუწყებლობა (მაგ, 24 საათიანი მსუბუქი მუსიკა ან სადგური, რომლებიც რამდენიმე თვის მანძილზე გადასცემს მხოლოდ ერთ მომღერალს ან პოპ-ჯგუფს, მანამ სანამ არ ჩნდება ახალი ჰიტი). რადიოში ორგანიზებული თოქ-შოუები მთლიანად იკავებენ იმ ადამიანთა დროს გზაში, რომელთაც აქვთ მოქნილი სამუშაო დღე და სამსახურში მიდიან ქალაქგარეთ მდებარე საცხოვრებელი ადგილებიდან და ბრუნდებიან უკან. კასეტის ვიდეომაგნიტოფონებმა დაიპყრეს მთელი სამყარო, იქცნენ რა მოსაწყენი ოფიციალური ტელევიზიების ძირითად ალტერნატივად განვითარებად ქვეყნებში. მართალია, მომხმარებელთა ტექნიკური დახელოვნებისა და სწრაფი კომერციალიზაციის ნაკლებობის გამო (იგულისხმება კასეტების ქირით გატანა) ვიდეოკასეტების მრავალჯერადი გამოყენების პოტენციალი სრულად არ იხარჯება, მაგრამ მისმა გავრცელებამ მაინც უფრო მოქნილი გახადა ვიზუალურ საშუალებთა გამოყენება. კინოფილმები გადარჩა ვიდეოკასეტების სახით. მუსიკალური ვიდეო, რაც შეადგენს 25%-ზე მეტს ვიდეოკასეტების მთელს წარმოებაში, იქცა ახალ კულტურად, რომელიც ახდენს ხატოვანი აზროვნების ფორმირებას ახალგაზრდა თაობაში და უკვე შეცვალა მუსიკალური ინდუსტრია. სატელევიზიო პროგრამების ჩაწერისა და შემდეგ ნახვის შესაძლებლობამ შეცვალა სატელევიზიო აუდიტორიის ჩვევები, რამაც გაზარდა აუდიტორიის სწრაფვა არჩევითობისაკენ, რითაც წინ აღუდგა მცირედი წინააღმდეგობის იმ გზებს, რომლებზეც ზემოთ მოგახსენეთ. ვიდეოკასეტების საფუძველზე გადაცემათა ნებისმიერი დივერსიფიკაცია მომავალში გაფართოვდება, რადგანაც აუდიტორია არჩევანს აჩერებს მეორე ნაბიჯზე ჯერ წერს რა გადაცემებს და შემდეგ კი შლის სეგმენტებად.

ადამიანები იწერენ საკუთარ ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს, არდადეგებიდან საოჯახო დღესასწაულებამდე, ვიდეოკასეტებმა დაჩაგრეს საოჯახო ფოტოალბომი. მიუხედავად გამოსახულების თვითშემოქმედებითი წარმოების შეზღუდვებისა, მან რეალურად მოახდინა სახეთე ერთმიმართულებიანი ნაკადის მოდიფიცირება და ცხოვრებისეული მოვლენებისა და ეკრანის რეინტეგრაცია. ბევრ რეგიონში, ანდალუსიიდან სამხრეთ ინდოეთამდე, ადგილობრივმა კომუნალურმა ვიდეოტექნოლოგიამ შესაძლებლობა მისცა რუდიმენტარულ ადგილობრივ მაუწყებლობას გაფურჩქნულიყო, სადაც ხდება ვიდეოფილმების გავრცელების შერევა ადგილობრივი მოვლენებისა და განცხადებების ქრონიკასთან, თან ისე, რომ იშვიათად გამოვიდეს მაუწყებლობის ოფიციალური რეგულირების ჩარჩოებიდან.

მაგრამ ყველაზე გადამწყვეტი იყო სატელევიზიო არხების რიცხვის გაზრდა, რაც მიდიოდა მათ მზარდ დივერსიფიკაციამდე. საკაბელო ტელევიზიის განვითარება, რაც 1990-იან წლებში დაჩქარდა

ბოჭკოვანი ოპტიკით და ციფრული ტექნოლოგიებით პირდაპირ თანამგზავრის მეშვეობით მაუწყებლობის წარმოების განვითარებასთან ერთად წარმოუდგენლად გაზარდა გადაცემათა სპექტრი და შეზღუდა ხელისუფლების სტრუქტურაკომუნიკაციის სახელმწიფო კონტროლის თვალსაზრისით საერთოდ და კონკრეტულად ტელევიზიისა. ამას მოჰყვა საოცარი გაზარდა საკაბელო ტელეპროგრამების რაოდენობისა აშშ-ში და თანამგზავრული ტელევიზიის პროგრამებისა ევროპაში, აზიასა და ლათინურ ამერიკაში. მალე მოხდა ახალი ქსელების ფორმირება, რომლებმაც გამოიწვიეს უკვე შექმნილი ქსელები და ევროპული სახელმწიფოების მთავრობებმა დაკარგეს კონტროლი ტელევიზიის უმეტეს ნაწილზე. აშშ-ში 1980-იან წლებში დამოუკიდებელ სატელევიზიო სადგურთა რიცხვი გაიზარდა 62-დან 330-მდე. მსხვილ მეტროპოლისებში საკაბელო სისტემები 60-მდე არხს ითვლის, რომლებიც აერთიანებენ ქსელურ ტელევიზიებს, დამოუკიდებელ სადგურებს, საკაბელო ქსელებს, მეტწილად სპეციალიზირებულ და ფასიან ტელევიზიებს. ევროკავშირის ქვეყნებში სატელევიზიო ქსელების რიცხვი გაიზარდა 40-დან 1980 წ. 150-მდე 1990-იანი წლების შუა რიცხვებისთვის, ამ ქსელების მესამედის მუშაობა ხორციელდება თანამგზავრის საშუალებით. იაპონიაში სახელმწიფო ქსელი **NHK** ფლობს ორ დამოუკიდებელ ქსელს და ორ სპეციალიზირებულ სათანამგზავრო მომსახურებას, გარდა ამისა, არსებობს ხუთი კომერციული ქსელი. 1980 წლიდან 1990-იანი წლების შუა რიცხვებისთვის გაჩნდა 300-მდე სადგური, რომელიც მაუწყებლობდა თანამგზავრის საშუალებით.

გაეროს მონაცემებით, 1992 წელს მსოფლიოში ფიქსირდებოდა მილიარდზე მეტი ტელევიზორი (35% ევროპაში, 32% აზიაში, 20% ჩრდილოეთ ამერიკაში, 8% ლათინურ ამერიკაში, 4% შუა აზიაში და 1% აფრიკაში). ელოდნენ, რომ 2000 წლისათვის ტელევიზორის მფლობელთა რაოდენობა გაიზარდებოდა 5%-ით წელიწადში, პირველ რიგში აზიის ხარჯზე.

ტელეპროგრამების მიწოდებათა ასეთი სწრაფი ზრდის გავლენა აუდიტორიაზე იყო ღრმა ყველა თვალსაზრისით. აშშ-ში, სადაც 1980 წელს სამი ძირითადი ქსელი ახდენდა აუდიტორიის 90% პრაიმ-ტაიმის კონტროლს, 1990 წელს მათი წილი შემცირდა 65%-მდე და ეს ტენდენციები სულ უფრო ჩქარდებოდა: 1995 წელს მათ წილს შეადგინა 60%-ზე ცოტათი მეტი. CNN-მა გაამყარა თავისი მდგომარეობა როგორც ინფორმაციის ძირითადმა გლობალურმა მიმწოდებელმა მთელს მსოფლიოში, საგანგებო სიტუაციებში პოლიტიკოსები და ჟურნალისტები თვალს ადევნებენ CNN-ის პროგრამებს დღე-ღამის განმავლობაში. 1995 წელს ანალოგიური გლობალური არხის ემბრიონმა ესპანურ ენაზე, Telenoticias, ამოქმედდა ესპანური, ესპანურ-ამერიკული და ლათინოამერიკული სატელევიზიო კომპანიების კონსორციუმის მიერ. თანამგზავრიდან პირდაპირი მაუწყებლობა ფართოდ შეიჭრა აზიის ბაზარზე, ჰონგკონგიდან ის ვრცელდება აზიის წყნარი ოკეანის მთელს სანაპიროზე. Hubbard Communications და Hughes Corporation - მა 1994 წელს გაუშვეს პირდაპირ თანამგზავრიდან მაუწყებლობის ორი კონკურენტული სისტემა, რომლების ყიდდნენ "a la carte"-ს თითქმის ნებისმიერ პროგრამას, ისე, რომ გადასცემენ მას სადაც გნებავთ და საითაც გნებავთ აშშ-ს, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონისა და ლათინური ამერიკის ფარგლებში. ჩინურ ერთობებს აშშ-ში შეუძლიათ ყოველდღიურად უყურონ ახალ ამბებს ჰონგკონგიდან, მაშინ როცა ჩინელებს ჩინეთში შესაძლებლობა მიეცათ ამერიკული "საპნის ოპერის" ნახვისა (Falcon Crest-მა შეაგროვა 450 მილიონი მაყურებელი ჩინეთში). ამგვარად, როგორც ფრანსუაზა საბზა წერდა 1985 წელს მკს-ის ახალი ტენდენციების ერთ-ერთ საუკეთესო და პირველ შეფასებაში:

"საერთო ჯამში ახალი მკს მოიცავს სეგმენტირებულ, დიფერენცირებულ აუდიტორიას, რომელიც, არის რა უზარმაზარი რაოდენობის თვალსაზრისით, არ არის უფრო მასობრივი მიღებული პროგრამების ერთდროულობისა და ერთსახოვნების თვალსაზრისით. მასობრივი ინფორმაციის

ახალი საშუალებები არიან მასობრივი ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, როცა იგულისხმება ის, რომ შეტყობინებათა შეზღუდული რაოდენობა მიეწოდება ერთგვაროვან მასობრივ აუდიტორიას. ცნობათა და წყაროთა სიმრავლის გამო აუდიტორიის მისწრაფება დამოუკიდებლად აირჩიოს პროგრამები იზრდება. აუდიტორია, რომლისთვისაც არის გამიზნული პროგრამა, ისწრაფვის ცნობის არჩევისაკენ და თან აღრმავებს თავის სეგმენტაციას და ამდიდრებს ინდივიდუალურ მიმართებას ინფორმაციის გამგზავნასა და მიმღებს შორის".

იუიჩი იტო, აანალიზებს რა მკს-ის მოხმარების ევოლუციას იაპონიაში, ასევე ასკვნის, რომ სახეზეა ევოლუცია მასობრივი საზოგადოებიდან "სეგმენტირებულ საზოგადოებამდე" (ბუნში შაკაი) - ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შედეგი, რომლებიც მიმართულია დივერსიფიცირებულ, სპეციალიზირებულ ინფორმაციაზე იმგვარად, რომ აუდიტორია იქცევა სულ უფრო სეგმენტირებულად იდეოლოგიებით, ღირებულებებით, გემოვნებით და ცხოვრების სტილით.

ამრიგად, საშუალებათა მრავალფეროვნებისა და უდიტორიაზე ორიენტაციის შესაძლებლობების გათვალისწინებით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მკს-ის ახალ სისტემაში ცნობა არის საშუალება, ანუ, ცნობათა თავისებურებები ახდენენ საშუალებათა თავისებურებების ფორმირებას (325). მაგალითად, თუ მოზარდთა მუსიკალური გარემოს გაჯდენთა არის ცნობა (და საკმაოდ ექსპლიციტური), მაშინ მუსიკალური ტელევიზია დაიწყებს საკუთარ აგებას მოცემული აუდიტორიის ენისა და რიტუალების შესაბამისად არა მხოლოდ შინაარსის თვალსაზრისით, არამედ სამაუწყებლო სადგური მთელს ორგანიზაციაში, ტექნოლოგიასა და წარმოების/მაუწყებლობის დიზაინში. ან, ვთქვათ, სადღეღამისო მსოფლიო საინფორმაციო სამსახური მოითხოვს სპეციფიკურ ორგანიზაციებს, პროგრამირებასა და მაუწყებლობას, მაგალითად, ამინდის პროგნოზს გლობალური და კონტინენტალური მასშტაბით. სწორედ ამაში მდგომარეობს ტელევიზიის აწმყო და მომავალი: დეცენტრალიზაცია, დივერსიფიკაცია და საგნობრივი მუშაობა კონკრეტულ შეკვეთაზე. მაკლუნისეული ენის უფრო ფართო ჩარჩოებში, საშუალებათა ცნობა (რომელიც ჯერაც მუშაობს როგორც ასეთი-ახდენს განსხვავებული ცნობისთვის განსხვავებული საშუალებების ფორმირებას.

თუმცა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოხატვისა და ცნობათა დივერსიფიკაცია არ ნიშნავს ტელევიზიაზე კონტროლის დაკარგვას მსხვილი კორპორაციებისა და მთავრობის მხრიდან. სინამდვილეში, უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე შეიმჩნეოდა საწინააღმდეგო ტენდენცია. მაშინ როდესაც ცდილობდნენ ღრმა ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ბაზრის წილის წაგლეჯას, და ხდებოდა მეგაჯგუფებისა და სტრატეგიული კავშირების ფორმირება, ინვესტიციები კომუნიკაციის სფეროში დიდი ნაკადით მიედინებოდა. 1980-1995წწ. აშშ-ს სამ ძირითად სატელევიზიო ქსელში მოხდა მფლობელთა შეცვლა, ორ მათგანში კი - ორჯერ: 1995წ. Disney - ს და ABC-ის გაერთიანება იყო შემობრუნება ტელევიზიის ინტეგრაციისა ახლად წარმოქმნად გაერთიანებულ მულტიმედიაბიზნესში. TF1, წამყვანი ფრანგული არხი, იქნა პრივატიზირებული. ბერლუსკონიმ ხელში ჩაიგდო კონტროლი ყველა კერძო სატელევიზიო სადგურზე იტალიაში იმით, რომ გააერთიანა ისინი სამ მსხვილ ქსელში. სამი კერძო ქსელის განვითარებით, Anten-3-ის ჩათვლით, კერძო ტელევიზია, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო ძლიერი ფინანსური ჯგუფების კონტროლის ქვეშ გაიფურჩქნა ესპანეთში და წარმატებით შეიჭრა დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში. რუსეთის ტელევიზია გახდა მრავალფეროვანი, ჩართო რა კერძო დამოუკიდებელი სატელევიზიო არხები. ლათინოამერიკული ტელევიზია რამდენიმე მთავარი მოთამაშის ირგვლივ კონცენტრაციის პროცესს განიცდის. აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი იქცა ძალზედ მძაფრი კონკურენციის ასპარეზად ახალი სატელევიზიო დისიდენტებისთვის, ისეთებისთვის, როგორებიცაა შტარ - მერდოკის არხი, და "ძველი

სატელევიზიო მგლებისთვის", ისეთებისთვის, როგორებიცაა ახალი, გლობალური BBC, რომელმაც გამოწვევა ესროლა CNN-ს. იაპონიაში სამთავრობო NHK ჩათრეულია კონკურენციაში კერძო ქსელებთან (Fuji TV, NTV, TBS, TV Asashi და TV Tokyo), ასევე, საკაბელო და თანამგზავრულ მაუწყებლობასთან. 1993-1995წწ. პროგრამების მომზადებასა და დაკაბადონებაზე მთელს მსოფლიოში დაიხარჯა 80 მილიარდი დოლარი და ხარჯები იზრდებოდა 10% სიჩქარით წელიწადში. ელოდებოდნენ, რომ 1994 და 1997 წლებს შორის გაუშვებდნენ 70-მდე ახალ საკომუნიკაციო თანამგზავრს, მათ უმრავლესობას - ტელევიზიისთვის.

ბიზნესში მთელი ამ კონკურენციისა და კონცენტრაციის უშუალო შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ მაშინ როცა აუდიტორია სეგმენტირებასა და დივერსიფიკაციას განიცდის, ტელევიზია უფრო კომერციული, ვიდრე ოდესმე, და გლობალურ დონეზე სულ უფრო ოლიგოპოლისტური ხდება. თუ განვიხილავთ პოპულარული პროგრამების უმრავლესობის ძირითად სეგმენტურ ფორმულებს მთლიანობაში, აღმოჩნდება, რომ პროგრამათა უმრავლესობის ფაქტობრივი შინაარსი დიდად როდი განსხვავდება ერთი ქსელიდან მეორემდე. მიუხედავად ამისა, ის ფაქტი, რომ ყველა ადამიანი ერთსა და იმავე დროს არ უყურებს ერთი და იგივეს, და რომ ყოველ კულტურას და სოციალურ ჯგუფს აქვს განსაკუთრებული დამოკიდებულება მკს-თან, წარმოადგენს ფუნდამენტურ განსხვავებას vis-a-vis სტანდარტიზირებული მკს-ის ძველი სისტემისა. გარდა ამისა, "სრფინგის" (ერთდროულად რამდენიმე პროგრამისთვის თვალყურისდევნება) ფართოდ გავრცელებული პრაქტიკას შემოაქვს ცხოვრებაში აუდიტორიის მიერ საკუთარი ვიზუალური მოზაიკის შექმნა. მართალია, მკს ნამდვილად იქცა გლობალურად ურთიერთდაკავშირებულად, ხოლო პროგრამები და ქსელები ცირკულირდება გლობალურ ქსელში, მაგრამ ჩვენ მაინც ვცხოვრობთ არა გლობალურ სოფელში, არამედ შეკვეთით აშენებულ კოტეჯებში, რომლებიც იწარმოება გლობალურად, მაგრამ ნაწილდება ლოკალურად (327).

მიუხედავად კონტროლის პირობებისა კორპორაციებისა და ინსტიტუტების მხრიდან მკს-ის დივერსიფიკაციამ მაინც ვერ გარდაქმნა მათი მაუწყებლობის ერთმიმართულებიანი ლოგიკა და შესაძლებელი ვერ გახადა ჭეშმარიტი უკუკავშირის დადგენა, გამონაკლისად რჩება მხოლოდ ბაზრის რეაქციის ყველაზე პრიმიტიული ფორმის დადგენა. მართალია, აუდიტორია იღებდა სულ უფრო მრავალფეროვან ინფორმაციას, რომელთაგან თითოეულ ადამიანს შეეძლო სამყაროს საკუთარი მოდელის კონსტრუირება, მაგრამ "მაკლუენის გალაქტიკა" იყო ერთმიმართულებიანი კომუნიკაციის, და არა ურთიერთქმედების სამყარო. ის იყო - და კვლავაც რჩება- მასობრივ წარმოებად, სადაც სიმბოლოების სფეროში ბატონობს ინდუსტრიული ლოგიკა. მიუხედავად მაკლუენის გენიისა, მან მაინც ვერ შეძლო ინფორმაციული ეპოქის კულტურის გამოხატვა. ინფორმაციის დამუშავება საკმაოდ სცილდება ერთმიმართულებიანი კომუნიკაციის ფარგლებს. ეკრანიდან გასათავისუფლებლად ტელევიზიას დასჭირდა კომპიუტერი. მაგრამ ტელევიზიის გაერთიანებას კომპიუტერთან, რასაც უდიდესი შედეგები მოჰყვება საზოგადოებაში საერთოდ, დასჭირდა ბევრი შემოვლითი ნაბიჯი, რამდენადაც კომპიუტერებს, სანამ დაიწყებდნენ საუბარს ტელევიზიასთან, უნდა ესწავლათ საუბარი ერთმანეთში. მხოლოდ მაშინ შეძლო აუდიტორიამ საკუთარი სიტყვის თქმა.

კომუნიკაცია კომპიუტერთ, ინსტიტუციონალური კონტროლი, სოციალური ქსელები და ვირტუალური ერთობები

ისტორია აღნიშნავს, რომ ორი მსხვილი ექსპერიმენტი იმ სფეროში, რომელსაც იტიელ დე სოლა პული "თავისუფლების ტექნოლოგიებს" უწოდებს, იყო ინიცირებული სახელმწიფოს მიერ:

ფრანგილი Minitel - როგორც საფრანგეთისა ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლის საშუალება, და ამერიკული ARPANET, ინტერნეტის წინამორბედი, - როგორც თავდაცვის სტრატეგიის საშუალება, რომლებიც შესაძლებლობას მისცემდა კომუნიკაციურ ქსელებს გადარჩენილიყვნენ ატომური თავდასხმისას. საკუთარი საზოგადოებების კულტურასა და ინსტიტუტებში ფესვების გადგმით, ეს ექსპერიმენტები დიდად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ლეო შეერი მათ ლოგიკას ყოველ სისტემაში მახასიათებელთა სინთეტურ თვალსაზრისში დაუპირისპირდა:

"ორივე ექსპერიმენტში გახმაურებული იყო "ინფორმაციული სუპერჰაიუეის" შექმნის მიზანი, მაგრამ მათი განსხვავებებიდან შეიძლება ბევრი რამ ვისწავლოთ. პირველ რიგში, ინტერნეტი აკავშირებს კომპიუტერებს, მაშინ როცა Minitel TRANSPA-ს გავლით აკავშირებს სერვერულ კვანძებს, რომლებშიც შეიძლება ინფორმაციის მოძიება ტერმინალის საშუალებით მცირე მეხსიერებით. ინტერნეტი - ამერიკული ინიციატივა პლანეტის მასშტაბით, ინიცირებული სამხედროების მიერ და ხორცშესხმული კომპიუტერული კომპანიების მიერ ამერიკის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით. ამ წამოწყების მიზანი იყო მომხმარებელთა და საბანკო მონაცემთა მსოფლიო კლუბის შექმნა. Minitel - ფრანგული სისტემაა, რომელმაც დღემდე (1994) ვერ შეძლო ეროვნული საზღვრებიდან გამოსვლა სხვა ქვეყნების მიერ შემოღებული შეზღუდვების გამო. ეს არის რამდენიმე მნიშვნელოვანი ტექნოკრატის თამამი წარმოსახვის პროდუქტი, რომლებიც ცდილობდნენ დაეძლიათ ფრანგული ელექტრონული წარმოების სისუსტე. ინტერნეტის მხარესაა კომპიუტერული ფანატების ადგილობრივი ქსელების თვითნებური ტოპოლოგია. Minitel - ის მხარესაა სატელეფონო ცნობარების მოწესრიგებული სტრუქტურა. ინტერნეტი - არაკონტროლირებადი მომსახურების ანარქიული სატარიფო სისტემა. Minitel - სისტემა, რომელიც შესაძლებელ ხდის ერთიანი ტარიფის დადგენასა და ხარჯების გამჭვირვალე განაწილებას. ერთ მხარესაა - ფესვების დაკარგვა და გენერალიზირებული ქსელების ფანტასტიკა, რომელიც ახდენს სახელმწიფოსა და კულტურის საზღვრების იგნორირებას, მეორე მხარეს კი - საერთო ფესვების ელექტრონული ვერსია".

ამ ორი სისტემის განვითარების შედარებითი ანალიზი მათ სოციალურ და ინსტიტუციონალურ გარემოსთან კავშირში დაგვეხმარება ნათელი მოვფინოთ წარმოქმნადი ინტერაქტიული საკომუნიკაციო სისტემის მახასიათებლებს.

Minitel - ის ისტორია: *l'etat et l'amour*

TELETEL არის ქსელი, რომელიც კვებავს Minitel-ის ტერმინალებს, ვიდეოტექსტ-სისტემა, რომელიც შეიქმნა 1978წ. ფრანგული სატელეფონო კომპანიის მიერ და ბაზარში გავრცელდა 1984წ. ლოკალური ექსპერიმენტების ჩატარებიდან რამდენიმე წლის შემდეგ. მსოფლიოში ამგვარი სისტემებიდან პირველი და უმსხვილესია და მიუხედავად თავისი პრიმიტიული ტექნოლოგიებისა, ნაკლებად შეიცვალა 15 წლის მანძილზე, მაგრამ ფართო აღიარება ჰპოვა საფრანგეთის ოჯახებში და საოცრად გაიზარდა. 1990-იანი წლების შუა რიცხვებისთვის ის 23 000 მომსახურებას სთავაზობდა მომხმარებელს და 7 მილიარდი ფრანგული ფრანკის ოდენობით თანხას აგზავნიდა 6,5 მილიონ ტერმინალზე. ამ სისტემით სარგებლობდა ყოველი მეოთხე ფრანგული ოჯახი და ზრდასრული მოსახლეობის მესამედი.

წარმატება მით უფრო განსაცვიფრებელია ანალოგიურ სისტემათა წარუმატებლობასთან შედარებით, ისეთებისა, როგორებიცაა PRESTEL ბრიტანეთსა და გერმანიაში, CAPTAIN იაპონიაში და ამგვარი ქსელების მოკრძალებული წარმატება აშშ-ში. ფრანგებმა მიაღწიეს წარმატებას, მიუხედავად საკმაოდ არასრულყოფილი ტექნოლოგიებისა; 1990-იანი წლების დასაწყისამდე გადაცემა გადიოდა 1200

ბოდის სიჩქარით, მაშინ როცა ტიპიური კომპიუტერული საინფორმაციო სამსახურები აშშ-ში მუშაობდნენ 9600 ბოდის სიჩქარით. Minitel-ის წარმატება აიხსნება ორი ფუნდამენტური მიზეზით. პირველი იმაში მდგომარეობს, რომ საფრანგეთის მთავრობა მხარს უჭერდა ექსპერიმენტს, როგორც "საზოგადოების ინფორმატიზაციის" ელემენტს, ამოცანებს, რომლებიც დადგენილ იქნა ნორა-მინკის ანგარიშში, რომელიც მომზადდა 1978 წ. პრემიერ-მინისტრის მოთხოვნით. საშუალო მოქალაქისთვის Minitel იყო ხელმისაწვდომი და საიმედო. და მაინც, ადამიანები საჭიროებდნენ დამატებით სტიმულირებას, და სწორედ ამაშია Minitel-ის ყველაზე საინტერესო ნაწილი.

სამთავრობო მხარდაჭერა საფრანგეთის სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით იყო ნათლად დემონსტრირებული პროგრამის გაშვებისას: ყველა ოჯახს ეძლეოდა შესაძლებლობა უფასოდ მიეღო Minitel-ის ტერმინალი ჩვეულებრივი სატელეფონო ცნობარის სანაცვლოდ. მეტიც, სატელეფონო კომპანია ახდენდა პროგრამათა სუბსიდირებას მანამ, სანამ 1995 წ. სისტემა პირველად არ იქცა ხარჯდაფარვად. ეს იყო მომხმარებელთა სტიმულირების საშუალება ტელეკომუნიკაციის სფეროში, ახალი ბაზრის შექმნისა წარუმატებელი ფრანგული ელექტრონული წარმოებისა და პირველ რიგში, ფირმებისა და მოსახლეობის მიერ კომუნიკაციის ახალი საშუალებების გაცნობა. თუმცა, საფრანგეთის სატელეფონო კომპანიის ყველაზე გონიერი სტრატეგია იმაში მდგომარეობდა, რომ კომპანიამ ფართოდ გახსნა სისტემა კერძო კომპანიებისთვის, რომლებიც საინფორმაციო მომსახურებას სთავაზობდნენ და, პირველ რიგში, ფრანგული გაზეთებისთვის, რომლებიც მალევე იქცნენ Minitel-ის დამცველებად და პოპულარიზატორებად.

მაგრამ არსებობდა Minitel-ის ფართოდ გავრცელების მეორე მიზეზიც: ფრანგებმა სისტემა მიიღეს, როგორც საკუთარი პიროვნული გამოხატვის საშუალება. Minitel-ის მიერ შეთავაზებული პირველი მომსახურება იყო ისეთივე, როგორც ტრადიციულ სატელეფონო სისტემაში: სატელეფონო ცნობარები, ამინდის პროგნოზი, სატრანსპორტო ინფორმაცია და ბილეთების შეკვეთა, კონცერტებზე დასასწრები ბილეთების წინასწარი შეძენა და ა.შ. იმის მიხედვით, თუ როგორ ვითარდებოდა სისტემა და მომხმარებელი, ათასობით ფირმამ, რომელიც მომსახურებას სთავაზობდა, დაიწყო რეკლამების, პროდუქციის, საბანკო ოპერაციებისა და სხვადასხვა საქმიანი მომსახურების შეთავაზება Minitel-ის საშუალებით. მაგრამ განვითარების საწყის ეტაპზე Minitel-ის სოციალური ზემოქმედება იყო შეზღუდული. ყველა ზარის 40%-ზე მეტი შემოჰქონდა სატელეფონო ცნობათა სამსახურს, Minitel-ის შემოსავლების 36% 1988წ. მოდიოდა მომხმარებელთა 2%-ზე - საქმიან საწარმოებზე. სისტემამ ბევრი მიიღო ჩატ-ლაინების (chat - lines) ან messageries შემოდებით, რომელთა უმრავლესობაც სწრაფად სპეციალიზირდებოდა სექსუალურ მომსახურებაზე ან სექსთან დაკავშირებულ ჭორაობაზე ("ვარდისფერი ხაზები"), 1990 წლისათვის ისინი შეადგენდნენ ზარების დაახლოებით ნახევარს. ზოგიერთი მომსახურება წარმოადგენდა უბრალოდ პორნოგრაფიულ საუბრებს ახალი ელექტრონული კავშირების საშუალებით, "სექსი ტელეფონით" მომსახურების მსგავსად, რაც ფართოდაა გავრცელებული სხვა საზოგადოებებში. ძირითადი განსხვავება მდგომარეობდა ახალ სისტემაში ამგვარი მომსახურების ხელმისაწვდომობაში და მათ მასობრივ რეკლამირებაში საზოგადოებრივ ადგილებში. მაგრამ Minitel-ის ეროტიული გამოყენების უმრავლესობა ინიცირებული იყო თავად მომხმარებელთა მიერ ჩატ-ლაინების საშუალებით. თუმცა, წარმოიშვა არა საერთო სექსუალური ბაზარი, არამედ დემოკრატიზირებული სექსუალური ფანტაზია. ყველაზე ხშირად (ავტორი, როგორც მონაწილის დაკვირვებით) საუბრები ამ ხაზის საშუალებით ეფუძნებოდა განსხვავებული ასაკის, სქესისა და გარეგნული მახასიათებლების როლთა იმპროვიზაციას, ასე, რომ Minitel იქცა სექსუალური და პირადი ფანტაზიების გემად უფრო მეტად, ვიდრე იმ ბარის შემცველად, სადაც შეიძლება პარტნიორის გამოჭერა. Minitel-ის ინტიმური გამოყენებით ასეთმა

გატაცებამ უზრუნველყო სისტემის სწრაფი გავრცელება საფრენგეთის მოსახლეობაში, მიუხედავად თვალთმაქცი პურიტანების დიდი პროტესტისა. 1990-იანი წლების დასაწყისში Minitel-ის ეროტიული გამოყენება შემცირდა: მოდა გაუფერულდა, ტექნოლოგიის რუდიმენტულმა თვისებამ კი შეზღუდა მისი სექსუალური მიმზიდველობა. ჩატ-ხაზები უკვე მთელი მოცულობის 10%-ს შეადგენდა. როცა სისტემამ სრულად გაიდა ფესვები, 1990-იან წლებში ყველაზე სწრაფად გაიზარდა მომსახურება, შემუშავებული ფირმების მიერ შიდა მომსახურებისთვის. ყველაზე მეტად გაიზარდა მომსახურება მაღალი დამატებითი ღირებულებით, მაგალითად, იურიდიულმა მომსახურებამ გადააჭარბა მოცულობის 30%-ს. მაგრამ იმისათვის რათა საფრანგეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მიაჯაჭვა სისტემისათვის, მას დასჭირდა შემოვლითი გზა ადამიანთა სულებზე გავლით და მაღალი საკომუნიკაციო საჭიროებების ნაწილობრივი დაკმაყოფილება, უკიდურეს შემთხვევაში, დროებით მაინც.

როცა 1990-იან წლებში Minitel ხაზს უსვამდა საკუთარ როლს მომსახურების მიწოდებაში, ცხადი გახდა სისტემაში ჩაშენებული საკომუნიკაციო შეზღუდვების არსებობა. ის ეყრდნობოდა უკვე მოძველებულ ვიდეო- და ტრანსმისიურ ტექნოლოგიას, სრული რეკონსტრუქცია კი ბოლოს მოუღებდა სისტემის მიზიდულობას, როგორც კავშირის უფასო საშუალებას. გარდა ამისა, სისტემა ეფუძნებოდა არა პერსონალურ კომპიუტერებს, არამედ პრიმიტიულ ტერმინალებს, არსებითად ზღუდავდა რა ინფორმაციის დამუშავების ავტონომიურ უნარს. ინსტიტუციონალურად, მისი არქიტექტურა, ორგანიზებული სერვერული ქსელების იერარქიის ირგვლივ, ჰორიზონტალური კომუნიკაციის სუსტი შესაძლებლობით, აღმოჩნდა ძალზედ მოუქნელი კულტურულად ისე მაღალგანვითარებული საზოგადოებისთვის, როგორც ფრანგული საზოგადოებაა, მაშინ როცა კომუნიკაციის ახალი საშუალებები ხელმისაწვდომი აღმოჩნდა Minitel-ის ფარგლებს გარეთაც. ფრანგული სისტემის მიერ მიღებული ცხადი გადაწყვეტილება იყო ოპციონი ინტერნეტზე შეერთებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, Minitel გაითიშა ბიუროკრატიულ საინფორმაციო სამსახურად, საქმიანი მომსახურების ქსელურ სისტემად და ინტერნეტის უზარმაზარ საკომუნიკაციო სისტემაში მოსახვედრ ფასიან ქსელად.

ინტერნეტის თანავარსკვლავედი

1990-იან წლებში ინტერნეტის ქსელი იქცა გლობალური კომპიუტერული კომუნიკაციის მთავარ ღერძად, ის თანდათანობით აკავშირებს ერთმანეთთან ქსელთა უმრავლესობას. 1990-იანი წლების შუა რიცხვებისთვის ის აკავშირებდა 44 000 კომპიუტერულ ქსელს და 3,2 მილიონამდე ჰოსტ-კომპიუტერს მთელ მსოფლიოში, ჰყავდა დაახლოებით 25 მილიონი მომხმარებელი და სწრაფად ვრცელდებოდა. 1995წ. აგვისტოში აშშ-ში Nielsen Media Research-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა 24 მილიონს შეადგენდა, 36 მილიონს კი ხელი მიუწვდებოდა მასზე. თუმცაღა მეორე კვლევა, ჩატარებული იმავე წლის ნოემბერ-დეკემბერში Emerging Technology Research Group-ის მიერ ინტერნეტის რეგულარულად მომხმარებელ ამერიკელთა რიცხად დასახელებულია მხოლოდ 9,5 მილიონი, რომელთაგან ორი მესამედი სისტემით სარგებლობს კვირაში მხოლოდ ერთხელ. მაგრამ, პროგნოზის თანახმად, მომხმარებელთა რაოდენობა გაორმაგდება ყოველ წელს. მართალია, ზოგადად დიდი უთანხმოება სუფევს ინტერნეტ-მომხმარებელთა რაოდენობასთან დაკავშირებით ამჟამად, მაგრამ, საერთო წარმოდგენით, სახეზეა პოტენციურად ფეთქებადი განვითარების დასაწყისი: XXI საუკუნის დასაწყისისთვის ელოდებიან ასობით მილიონ მომხმარებელს. ექსპერტები თვლიან, რომ ტექნიკურად ინტერნეტი ოდესმე

შესძლებს დააკავშიროს 600 მილიონამდე კომპიუტერული ქსელი. ეს ციფრები უნდა შევადაროთ განვითარების ადრეულ სტადიასთან: 1973წ. ქსელში იყო 25 კომპიუტერი; 1970-იან წლებში - მხოლოდ 256 კომპიუტერი; 1980-იანის დასაწყისში, არსებითი ზრდის პერიოდის შემდეგ, საქმე იზღუდებოდა დაახ. 25 ქსელით რამდენიმე ასეული საბაზო კომპიუტერით და რამდენიმე ათასი მომხმარებლით. ინტერნეტის განვითარების ისტორია და სხვა საკომუნიკაციო ქსელების გაერთიანება **ქსელში** იძლევა მნიშვნელოვან მასალას ამ **ქსელის** ტექნიკური, ორგანიზაციული და კულტურული თავისებურებების გასაგებად, ხსნის რა გზას მათი სოციალური ზემოქმედების შესაფასებლად.

არსებითად, ჩვენ წინაშეა უნიკალური შერწყმა სამხედრო სტრატეგიისა, დიდი მეცნიერებისა და კონტრკულტურული ინოვაციებისა. ინტერნეტი დაიბადა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ნოვატორულ კვლევით ინსტიტუტში: Advanced Research Projects Agency აშშ-ს თავდაცვის სამინისტროში (DARPA). როდესაც 1950-იანი წლების ბოლოს პირველი თანამგზავრის გაშვებამ ააღელვა ამერიკული სამხედრო-ტექნოლოგიური ისტებლიშმენტი, DARPA-მ წამოაყენა რიგი თამამი ინიციატივებისა, ზოგიერთმა მათგანმა შეცვალა ტექნოლოგიის ისტორია და ჭეშმარიტად გვამცნეს საინფორმაციო ეპოქის დადგომა. ერთ-ერთი ინიციატივა, რომელიც ავითარებდა პოლ ბეირანის იდეას Rand Corporation-იდან, მდგომარეობდა საკომუნიკაციო სისტემის პროექტირებაში, რომელსაც ვერაფერს ავნებდა ბირთვული დარტყმა. ავტომატიური გადამრთველის მქონე საკომუნიკაციო ტექნოლოგიაზე დაფუძნებულმა სისტემამ ქსელი აქცია ჯგუფური და საკონტროლო ქსელებისაგან დამოუკიდებლად ისე, რომ ერთჯერადი ცნობები პოულობენ საკუთარ გზებს ქსელში იმით, რომ თავს იყრიან მნიშვნელად ცნობებში მის ნებისმიერ წერტილში.

მოგვიანებით, როდესაც ციფრულმა ტექნოლოგიამ შესაძლებელი გახადა ყველა ტიპის ცნობის პაკეტირება, ხმის, გამოსახულებისა და მონაცემების ჩათვლით, წარმოიქმნა ქსელი, რომელსაც შეეძლო ყველა სახის სიმბოლოს გადაცემა საკონტროლო ცენტრების გამოყენების გარეშე. უნივერსალურმა ციფრულმა ენამ და საკომუნიკაციო სისტემის წმინდა ქსელურმა ლოგიკამ შექმნა ტექნოლოგიური პირობები გლობალური ჰორიზონტალური კომუნიკაციისთვის. გარდა ამისა, ამ ქსელური ტექნოლოგიის არქიტექტურა იმგვარია, რომ ძალზედ რთულია მასზე ცენზურის გავრცელება ან მისი კონტროლირება. ქსელის კონტროლის ერთადერთი საშუალებაა დარჩე მის ფარგლებს მიღმა, ხოლო როცა ქსელი იქცევა ყოვლისმომცველად და მთელს მსოფლიოს აწვდის ყველა ტიპის ინფორმაციას, არავის ძალუძს ამის გაკეთება.

პირველი ასეთი ქსელი, სახელწოდებით ARPANET (საკუთარი სპონსორის აბრევიატურის მიხედვით), ხაზზე გამოვიდა 1969წ. ის გაიხსნა კვლევითი ცენტრებისათვის, რომლებიც თანამშრომლობდნენ აშშ-ს თავდაცვის სამინისტროსთან, თუმცა მეცნიერები მას იყენებდნენ სრულიად განსხვავებული საკომუნიკაციო მიზნებისათვის. დადგა მომენტი, როდესაც რთული აღმოჩნდა თავდაცვითი კვლევების გამოყოფა მეცნიერული კომუნიკაციისა და პირადი საუბრებისაგან. მაშინ, ქსელის გამოყენების ნება დართეს ყველა დისციპლინის მეცნიერს, და 1983წ. ქსელი დაიშალა ნაწილებად: ARPANET, რომელიც ემსახურებოდა სამეცნიერო კვლევებს და MILNET, რომელიც უშუალოდ სამხედრო გამოყენებაზე იყო ორიენტირებული. ამასთანავე, ეროვნული სამეცნიერო ფონდი ჩაერთო ახალი სამეცნიერო ქსელის - CSNET-ის შექმნის პროცესში და IBM-თან თანამშრომლობით კიდევ ერთი ქსელის - BITNET- შექმნაში სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერების სპეციალისტებისთვის. მაგრამ ყველა ეს ქსელი ARPANET -ს იყენებდა, როგორც საკომუნიკაციო სისტემას. ქსელთა ქსელმა, ფორმირებულმა 1980-იან წლებში, მიიღო სახელწოდება ARPANET, შემდეგ კი უბრალოდ ინტერნეტი. ის მუშაობდა ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფარგლებში და ძველებურად ფინანსდებოდა აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს მიერ.

იმისათვის რათა ქსელს შეძლებოდა კომუნიკაციის ფანტასტიური ზრდის შენარჩუნება, აუცილებელი იყო გადაცემთა ტექნოლოგიის გამდიდრება. 1970-იან წლებში ARPANET იყენებდა გადაცემის ხაზებს 56 000 ბიტით წამში, 1987წ. ქსელური ხაზები გადასცემდნენ 1,5 მილიონ ბიტს წამში. 1992წ. NSFNET, მთავარი ინტერნეტ ქსელი, ოპერირებდა სიჩქარით 45 მილიონი ბიტი წამში, რაც შეესაბამება ტექსტის 5000 გვერდს. 1995წ. პროტოტიპების სტადიაზე იმყოფებოდა გიგაბიტური ტექნოლოგია სიმძლავრით, რომელიც შესაძლებელს ხდიდა აშშ-ს კონგრესის მთელი ბიბლიოთეკის გადაცემას ერთ წუთში.

მაგრამ გადაცემის სისწრაფე არ არის საკმარისი იმისათვის, რათა დამყარდეს მსოფლიო საკომუნიკაციო ქსელი. კომპიუტერებს უნდა შეეძლოთ ურთიერთობა ერთმანეთთან. ეს წინარობა გადაილახა UNIX-ის ოპერატიული სისტემის შექმნით, რომელიც ერთმანეთში ურთიერთობის საშუალებას აძლევდა კომპიუტერებს. სისტემა შემუშავდა ჯერ კიდევ 1969წ. Bell Laboratories-ში, მაგრამ ფართოდ გამოიყენება მხოლოდ 1983წ. შემდეგ, როცა მკვლევრებმა ბერკლიში (კვლავ ARPA-ს დაფინანსებული) მოახერხეს TCP/IP პროტოკოლის ადაპტირება UNIX-თან, რამაც საშუალება მისცა კომპიუტერებს ინტერნეტის ქსელში საოცარი სიჩქარით მოგზაურ მონაცემთა პაკეტის არა მხოლოდ გადაცემის, არამედ კოდირებისა და დეკოდირების საშუალებაც. რამდენადაც UNIX-ის ახალი ვერსია ფინანსირდებოდა სახელმწიფოს მიერ, პროგრამული უზრუნველყოფის ფასში შეყვანილი იყო მხოლოდ მისი გავრცელების ხარჯები. დაიბადა დიდი მასშტაბის მქონე ქსელი, ადგილობრივი და რეგიონალური ქსელები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ და დაიწყეს გავრცელება ყველგან, სადაც არსებობდა კომპიუტერი და ხაზი, უზრუნველყოფილი მოდემებით - შედარებით იაფი დამატებითი მოწყობილობებით.

ინტერნეტის განვითარების მიღმა იდგა სამეცნიერო, ინსტიტუციონალური და პერსონალური ქსელები, რომელსაც მოიცავდა თავდაცვის სამინისტრო, ეროვნული სამეცნიერო ფონდი, მსხვილი საუნივერსიტეტო კვლევითი ცენტრები და სპეციალიზირებული "ტექნოლოგიური ბუნკერები", ისეთები, როგორებიცაა მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის Lincoln Laboratory, Stanford Research Institute (SRI), Palo Alto Research Corporation (დაფინანსებული Xerox-ის მიერ), Bell Laboratories, Rand Corporation, (ბოლტი, ბერანევი და ნიუმენი) - კვლევითი ფირმა, სადაც გამოიგონეს TCP/IP პროტოკოლი და ა.შ. 1950-1970-იანი წლების პერიოდის ძირითადი მონაწილეები, ისეთები, როგორებიც არიან ჯ. ს. რ. ლიკლაიდერი, დუგლას ენგელბარტი, რობერტ ტეილორი, ივენ საზერლენდი, ლოურენს რობერტსი, რობერტ კანი, ალან კეი, რობერტ თომასი და სხვები, თავისუფლად მოძრაობდნენ ამ ინსტიტუტებს შორის, ქმნიდნენ რა ქსელურ გარემოს ინოვაციებისთვის, სადაც დინამიკა და მიზნები მეტწილად ავტონომიური გახდა, გამოეყო რა სამხედრო სტრატეგიის სპეციფიკურ მიზნებს ან სუპერკომპიუტერულ კავშირებს. ეს ადამიანები იქცნენ ტექნოლოგიის ჯვაროსნებად, დარწმუნებულები, რომ ცვლიდნენ სამყაროს. და ეს ასეც იყო.

თუმცა ეს ისტორიის მხოლოდ ერთი მხარეა. პენტაგონისა და "დიდი მეცნიერების" ცდების პარალელურად, შეექმნათ უნივერსალური კომპიუტერული ქსელი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა საზოგადოებისთვის "დასაშვები ნორმების" ფარგლებში, აშშ-ში გაჩნდა და გავრცელება დაიწყო კომპიუტერულმა კონტრკულტურამ, რომელიც ხშირად ასოცირდებოდა 1960-იანი წლების საზოგადოებრივი მოძრაობების გადმონაშთებთან მათ ყველაზე ლიბერტარიანულ და უტოპიურ ვარიანტში. სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტი - მოდემი იყო ერთ-ერთი ტექნოლოგიური გარღვევათაგანი, რომელიც მოახდინეს ამ კონტრკულტურის პიონერებმა, რომელთაც თავიდან, მანამ სანამ ამ ტერმინმა შეიძინა სასტიკი მნიშვნელობა, უწოდებდნენ ჰაკერებს. მოდემი გამოიგონა ორმა ჩიკაგოელმა სტუდენტმა 1978წ. უორდ კრისტენსენმა და რენდი სიუესმა მაშინ, როცა მათ სცადეს

ეპოვით ერთმანეთისათვის მიკროკომპიუტერული პროგრამის ტელეფონით გადაცემის სისტემა, რათა თავი დაეღწიათ ხანგრძლივი მოგზაურობისათვის ჩიკაგოს ზამთარში. 1979წ. მათ გაავრცელეს იქსმოდემ-პროტოკოლი (XModem protocol), რომელიც კომპიუტერებს აძლევდა საშუალებას გადაეცა ფაილები პირდაპირ, ჰოსტ-სისტემის გვერდის ავლით.

რამდენადაც სტუდენტების მიზანს წარმოადგენდა საკომუნიკაციო შესაძლებლობების მაქსიმალურად ფართოდ გავრცელება, ტექნოლოგიას ისინი უფასოდ ავრცელებდნენ. კომპიუტერულმა ქსელებმა, რომლებიც გაირიცხნენ ARPANET-ისგან (რეზერვირებულნი ადრეულ სტადიაზე საუნივერსიტეტო მეცნიერული ცენტრებისათვის), იპოვეს ერთმანეთთან ურთიერთობის ხერხი დამოუკიდებლად. 1979წ. დიუკისა და ჩრდ. კაროლინის უნივერსიტეტების სამმა სტუდენტმა, რომლებიც არ იყვნენ ჩართულნი ARPANET-ში, შექმნა UNIX-ის მოდიფიცირებული ვერსია, რამაც შესაძლებელი გახადა კომპიუტერების ერთმანეთთან დაკავშირება ჩვეულებრივი სატელეფონო ხაზებით. ამას ისინი იყენებდნენ როგორც ფორუმს on-line-Usenet კომპიუტერული დისკუსიისათვის, რომელიც სწრაფად იქცა ელექტრონული კონფერენციების ერთ-ერთ უმსხვილეს სისტემად. Usenet News - ის გამომგონებლები უფასოდ ავრცელებდნენ საკუთარ პროგრამულ უზრუნველყოფას "წერილებში", რომლებიც ცირკულირდებოდა UNIX - ის მომხმარებელ კონფერენციის მონაწილეთა გარშემო.

ბედის ირონიით, ტექნოლოგიისადმი ამგვარიმა მიდგომამ წარმოშვა ანალოგიური ევექტი ჰორიზონტალური ქსელების მშენებლობაში, რაც სამხედროების მიერ იყო შთაგონებული: ამან ტექნოლოგიური საშუალებები ხელმისაწვდომი გახადა ნებისმიერი ადამიანისათვის, რომელსაც გააჩნდა ტექნიკური ცოდნა და ინსტრუმენტი - პერსონალური კომპიუტერი. წარმოებაში დაიწყო საოცარი ზრდა. სიმძლავრეები მატულობდა და, იმავდროულად, იკლებდა ფასები. პერსონალური კომპიუტერების მოზღვავებამ და კავშირის სისტემის სიმძლავრემ დააჩქარა Bulletin Board System (BBS), განცხადებათა ელექტრონული დაფების განვითარება ჯერ აშშ-ში, შემდეგ კი მთელს მსოფლიოში. პეკინში ტიანანმინის მოედანზე 1989წ. მომხდარ მოვლენათა გამო გამართული ელექტრონული პროტესტი, მართული ჩინელი სტუდენტების მიერ, რომლებიც იმყოფებოდნენ ჩინეთს გარეთ, ახალი საკომუნიკაციო მოწყობილობის პოტენციალის ერთ-ერთ საუკეთესო გამოვლინებად იქცა. აშშ-ს არ სჭირდებოდა რთული საკომუნიკაციო ქსელები, საკმარისი იყო კომპიუტერები, მოდემები და სატელეფონო ხაზებიც. ასე იქცნენ ისინი განცხადებათა ელექტრონულ დაფებად ნებისმიერი ინტერესის მქონე ადამიანისთვის, ქმნიდნენ რა იმას, რასაც ჰაუარდ რეინგოლდმა უწოდა "ვირტუალური თანასაზოგადოებები (ერთობები)".

დღეს მსოფლიოში ათასობით ამგვარი მიკროქსელი მუშაობს და მოიცავს ადამიანური კომუნიკაციის მთელ სპექტრს - პოლიტიკიდან და რელიგიიდან დაწყებული სექსითა და მეცნიერებით დამთავრებული. 1990-იანი წლების შუა რიცხვებისთვის მათი უმრავლესობა ასევე იყო დაკავშირებული ინტერნეტთან, მაგრამ მათ შეინარჩუნეს საკუთარი იდენტობა და ქვეყნის საკუთარი წესები მოჰყავთ მოქმედებაში ცხოვრებაში. ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წესს წარმოადგენდა (და დღესაც არის) ფარული კომერციული ინტერესების BBS-ში შეღწევის თავიდან აცილება. თუმცა, კომერციული BBS-ის ან ქსელების შექმნა, რომლებიც ორიენტირებულია ბიზნესზე, ითვლება კანონიერად, არაკანონიერად კი მიიჩნევენ სხვა მიზნებისათვის შექმნილ კიბერსივრცეში შეღწევა. ინტერვენტების წინააღმდეგ სანქციები არის სრულიად დამღუპველი: ათასობით მტრული ცნობა "წვავს" ცუდ ელექტრონულ მოქალაქეს. როდესაც ბრალი განსაკუთრებით სერიოზულია, უზარმაზარი ფაილები იტვირთება დამნაშავე სისტემაში, რაც აჩერებს მას და ჩვეულებრივ ახდენს ჰოსტ-კომპიუტერის ქსელიდან დამრღვევის გამორიცხვას. "ქვევით" სტიქიურად გაჩენილმა ამ

ელექტრონულმა კულტურამ სამუდამოდ გამოარჩია თავის პუბლიკაციად ქსელის ევოლუცია და გამოყენება. მართალია, მისი მეტად გმირული ტონი და კონტრკულტურული იდეოლოგიები ფერკმრთალებმა გლობალური ქსელების ზრდასთან ერთად, მაგრამ ტექნოლოგიურმა მახასიათებლებმა და სოციალურმა კოდებმა, შემუშავებულმა ქსელების პირველადი თავისუფალი გამოყენებისას, დაადგინეს მისი გამოყენების საზღვრები.

1990-იან წლებში ბიზნეს სამყარომ გააცნობიერა ინტერნეტის ექსტრაორდინალური პოტენციალი. ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გადაწყვიტა ქსელის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ოპერაციის პრივატიზება გადასცა რა ისინი მსხვილი კორპორაციების (ATT, MCI-IBM და ა.შ.) ჩვეულებრივ კონსორციუმებს. ინტერნეტის კომერციალიზაცია მიმდინარეობდა სწრაფი ტემპებით: თუ 1991 წლის ბოლოსათვის იყო 9000-მდე კომერციული დომენი (ან სუბქსელი), 1994 წლის ბოლოსათვის ის გაიზარდა 21 700-მდე. შეიქმნა რამდენიმე კომპიუტერული ქსელი კომერციული მომსახურებით, რომლებიც მომსახურებას სთავაზობდნენ ორგანიზებული ქსელის საფუძველზე შესაბამისი ფასებით. თუმცა, ქსელის სიმძლავრე ისეთია, რომ კომუნიკაციური პროცესის დიდი ნაწილი იყო და არის მეტწილად სპონტანური, არაორგანიზებული და დივერსიფიცირებული მიზნებით და წევრობით. ფაქტობრივად, ქსელის გამოყენების გაფართოების თვალსაზრისით კომერციული და სამთავრობო დაინტერესება ერთმანეთს ემთხვევა: რაც მეტია მონაწილეთა და შეტყობინებათა დივერსიფიკაცია, მით მეტია კრიტიკული მასა ქსელში და მით მეტია მოგება. ქსელში განსხვავებული ინტერესებისა და კულტურების მშვიდობიანმა თანაარსებობამ მიიღო "მსოფლიო აბლაბუდას" სახე - World Wide Web (WWW), ქსელთა მოქნილი ქსელისა ინტერნეტის ფარგლებში, სადაც ინსტიტუტები, საწარმოები, ასოციაციები და ინდივიდები იქმნიან საკუთარ საიტებს, რომელთა საფუძველზეც ყველას, ვისაც ხელი მიუწვდება, შეუძლია შექმნას საკუთარი "საშინაო გვერდი", გაკეთებული ნებისმიერი ტექსტისა და გამოსახულების კოლაჟისაგან. პროგრამული უზრუნველყოფის დახმარებით, რომელიც პირველად შეიქმნა Mosaic-ში (პროგრამა "Web-browser", გამოიგონეს 1992წ. National Center for Supercomputing Applications-ის თანამშრომლებმა ილინოისეში), "აბლაბუდა" იძლევა ქსელში სხვადასხვა ინტერესებისა და პროექტების თავმოყრის საშუალებას, რითაც აჩერებს ინტერნეტის ძვირადღირებულ (დროის მიხედვით) ქაოტურ ზრდას WWW-ს გაჩენამდე. ამ თავმოყრის საფუძველზე ინდივიდებმა და ორგანიზაციებმა მიიღეს შესაძლებლობა მნიშვნელოვნად ემოქმედათ ინდივიდუალიზირებული ინტერაქტიული კომუნიკაციების მართლაც "მსოფლიო აბლაბუდაზე". ამგვარი მრავალმხრივი და დივერსიფიცირებული მონაწილეობის გამო ფასის გადახდა არის საჭირო იმით, რომ სპონტანურ, არაფორმალურ კომუნიკაციებს ეძლევათ შესაძლებლობა გავრცელდნენ ფორმალიზებულლებთან ერთად. კიბერსივრცის კომერციალიზაცია უფრო ახლო იქნება აღმოსავლეთის დიდი ქალაქების მოვაჭრე პირთა გამოცდილებასთან, რაც სათავეს იღებს ცოცხალ საქალაქო კულტურაში, ვიდრე ამერიკის მახლობლელი ქალაქების სუპერმარკეტებისთვის.

ქსელის ორივე წყაროს – სამხედრო-სამეცნიერო ისტებლიშმენტსა და პერსონალური კომპიუტერების კონტრკულტურას – გააჩნდა საერთო წარმოშობა – ამერიკულ უნივერსიტეტთა სამყარო. ARPANET-ის პირველი კვანძი დააყენეს 1969წ. ლოს-ანჯელესში კალიფორნიის უნივერსიტეტში, ექვსი სხვა კვანძი კი დაემატა 1970-1971წწ-ში კალიფორნიის უნივერსიტეტში სანტა-ბარბარაში, სტენფორდში, იუტას უნივერსიტეტში, BBN, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში ჰარვარდში. აქედან ისინი გავრცელდნენ, პირველ რიგში, აკადემიურ ერთობებზე ისე, რომ არ მოიცავდნენ დიდი ელექტრონული კორპორაციების შიდა ქსელებს. ქსელის უნივერსიტეტიდან წარმოშობა იყო და არის გადამწყვეტი ელექტრონული კომუნიკაციების განვითარებისა და გავრცელებისა მთელს მსოფლიოში. აშშ-ს საკომუნიკაციო სისტემის

კომპიუტერულ სისტემაში უნივერსიტეტის პედაგოგებისა და სტუდენტების ფართომასშტაბიან ჩართვას ადგილი ჰქონდა 1990-იანი წლების დასაწყისში. სულ რამდენიმე წლის შემდეგ ანალოგიური პროცესს ადგილი ჰქონდა დანარჩენ მსოფლიოში. 1990-იან წლებში ესპანეთში "ინტერნეტშიკების" მსხვილი ჯგუფი მოვიდა Universidad Complutense de Madrid უნივერსიტეტიდან და კატალონიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტიდან. როგორც ჩანს, მსგავსი ისტორია მეორდება მთელს მსოფლიოში. საუნივერსიტეტო ბაზა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ უნივერსიტეტებს აქვთ ყველაზე მეტი პოტენციალი კომუნიკაციის კომპიუტერული სისტემის ნოუ-ჰაუსა და წესების გავრცელებისა. სინამდვილეში, სოციალური იზოლაციის საწინააღმდეგოდ, რასაც გულისხმობს "სპილოს ძვლის კომპის" სახე, უნივერსიტეტები აღმოჩნდა სოციალური ინოვაციების გავრცელების მთავარი აგენტი, რამეთუ ახალგაზრდების თაობები მოდიან სწორედ იქედან, ეცნობიან და ეჩვევიან რა აზროვნების, მართვის, მოქმედებისა და კომუნიკაციის ახალ საშუალებებს. რადგანაც 1990-იანი წლების განმავლობაში კომუნიკაციის კომპიუტერული სისტემა მოიცავს საუნივერსიტეტო სისტემას საერთაშორისო მასშტაბით, უნივერსიტეტის აღზრდილები, რომლებიც სათავეში ჩაუდგებიან კომპანიებსა და დაწესებულებებს XXI საუკუნის დასაწყისში კომუნიკაციის ახალი საშუალებების აზრსა და მნიშვნელობას (message) შეიტანენ საზოგადოების განვითარების ძირითად ნაწილში.

ინტერნეტისა და მონათესავე ქსელების ფორმირებისა და გავრცელების პროცესმა ჩვენი საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის განმავლობაში სამუდამოდ მოახერხა კომუნიკაციის ახალი საშუალების სტრუქტურის ფორმირება – ქსელის არქიტექტურაში, მომხმარებელთა კულტურაში, კომუნიკაციის ფაქტობრივ სტრუქტურებში. ქსელის არქიტექტურა დარჩება ტექნოლოგიურად ღია, ხელს შეუწყობს რა ფართო საზოგადოებრივ ხელმისაწვდომობას და სერიოზულ წინააღმდეგობას შეუქმნის სამთავრობო თუ კომერციული შეზღუდვების შემოტანას, თუმცა, როგორც მე ქვემოთ გიჩვენებთ, სოციალური უთანასწორობა მძლავრად იჩენს თავს ამ სფეროშიც. ეს ღიაობა არის შედეგი, ერთი მხრივ, პირველადი პროექტისა, რომელიც აიგო ნაწილობრივ ზევით მითითებული სამხედრო-სტრატეგიული მოტივებით, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ მეცნიერებს, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სამხედრო კვლევითი პროგრამებით, სურდათ შეექმნათ ახალი სისტემა, რათა მოეხდინათ როგორც საკუთარი გამომგონებლობის, ასევე საკუთარი უტოპიური სწრაფების დემონსტრირება. თუმცა, სისტემის ღიაობა გამომდინარეობს ასევე ინოვაციის მუდმივი პროცესისა და თავისუფალი ხელმისაწვდომობისაგან, რაც ამოქმედდა პირველი ჰაკერებისა და ქსელში მუშაობის მოყვარულთა მიერ, რომელთა რაოდენობა დღემდეც ათასობითაა.

ქსელის კომუნიკაბელურობის გაუმჯობესების ეს მუდმივი მრავალმხრივი მცდელობები არის შესანიშნავი მაგალითი იმისა, თუ როგორ მიჰყავს ქსელზე გასვლით თანამშრომლობის ტექნოლოგიურ პროდუქტიულობას თავად ქსელის გამდიდრებასთან. გარდა ამისა, ქსელის ღია არქიტექტურა უკდურესად ართულებს მისი მოჭარბებული ინტერვენციის პირობებში მისი საიდუმლოების შენარჩუნების უზრუნველყოფას. 1995 წლის იანვარში ცუტომი შიმომურამ, სან-დიეგოს უშიშროების სუპერკომპიუტერული ცენტრის ექსპერტმა აღმოაჩინა, რომ ჰაკერებმა შეაღწიეს მის გარანტირებულად დაცულ ფაილებში და გადატვირთეს ისინი როჩესტერის უნივერსიტეტის კომპიუტერებში; რამდენიმე ადგილას სხვა დაცული ფაილებიც ასევე იქნა ამგვარი შემოტევის მსხვერპლი, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ ინტერნეტის ქსელში უშიშროების ეკრანი აბსოლუტურად არაეფექტურია კვალიფიციური შემოჭრის წინააღმდეგ. შიმომურამ შური იძია როგორც პროფესიონალმა. მან დაიწყო ჰაკერის კავლის ძებნა და, გამოიყენა რა რამდენიმე ელექტრონული საშუალება, რამდენიმე კვირის შემდეგ FBI-ს მიუთითა საცხოვრებელ კომპლექსზე, სადაც აგენტებმა დააპატიმრეს ლეგენდარული ქსელური პირატი კევინ მიტნიკი. მაგრამ, ამ ფართოდ

რეკლამირებულმა გამარჯვებამ კიდევ უფრო მეტად გაუსვა ხაზი ქსელში ინფორმაციის დაცვის სირთულეს. არჩევანის წინაშე აღმოჩნდნენ – დაეხურათ ინტერნეტი იმ სახით, რა სახითაც იგი არსებობს, თუ მოეძებნათ სხვა საკომუნიკაციო ქსელები კომერციული ინტერესებისათვის, რაც საჭიროებდა გადაცემული ინფორმაციის დაცვას. რამდენადაც ინტერნეტის, მის თანამედროვე ფორმაში, დახურვა თითქმის შეუძლებელი იქნება (სწორედ DARPA-ს მეცნიერთა გენიის წყალობით), ჩემი ჰიპოთეზა იმაში მდგომარეობს, რომ კომერციული გამოყენებისათვის, რაც საჭიროებს საკრედიტო ბარათებისა და საბანკო ანგარიშების ნომრებს, ნელა, მაგრამ სწორად აიგება ახალი ცალკე ქსელები, მაშინ როცა ინტერნეტი გავრცელდება როგორც ელექტრონული გლობალური ფორუმი თავისი მცირე, მაგრამ გარდაუვალი ფსიქოლოგიური გადახრებით.

პირველი თაობის მომხმარებელთა კულტურა თავისი უტოპიური, კომუნალური, ლიბერტიანული წყალქვეშა დინებებით ახდენდა ქსელის ფორმირებას ორი საწინააღმდეგო მიმართულებით. ერთი მხრივ, ის იყო მიმართული მიწოდების შეზღუდვაზე, მიაწოდა რა იგი კომპიუტერული ფანატების მხოლოდ უმცირესობას, ადამიანთა ერთადერთ ჯგუფს, რომელთაც შეეძლოთ და მზად იყვნენ დრო და ენერჯია დაეხარჯათ კიბერსივრცეში ცხოვრებაზე. ამ ეპოქიდან დარჩა "პიონერთა სული/გონი", მისი მატარებლები ეჭვის თვალით უყურებენ ქსელის კომერციალიზაციას და შეშფოთებით იმას, თუ როგორ მოაქვს კაცობრიობისათვის საზოგადო, ყველა ადამიანისათვის ხელმისაწვდომი კომუნიკაციის შესახებ ოცნების რეალიზაციას შეზღუდვები და უბედურებები, როგორ ხდება ეს. მაგრამ, იმის გამო, რომ კომპიუტერული პირველების ჰეროიზმი უკან იხევს ახლების შეუჩერებელი შემოტევის ფონზე, ქსელის კონტრკულტურული წარმოშობისაგან რჩება არაფორმალურობა და კომუნიკაციათა, იდეათა დამოუკიდებლობა, რაც გვამცნობს იმის შესახებ, რომ ბევრი ემარება მრავალს, მაგრამ თითოეულს აქვს საკუთარი ხმა და ელოდება პერსონალურ პასუხს. კომპიუტერული კომუნიკაციის მულტიპერსონალიზაცია ერთგვარად ასახავს იმ დაძაბულობას, რომელიც გაჩნდა 1960-იან წლებში "ჩემს კულტურასა" (me culture) - და თითოეული ინდივიდის კომუნალურ ილუზიებს შორის.¹ როგორც ბიზნესის სამყაროში ცნობილი ჟურნალის Wired-ის, რომელიც შეიქმნა როგორც კონტრკულტურული რუპორი და 1990-იანი წლების შუისათვის ინტერნეტული კულტურისა და ცოდნის ერთ-ერთ უველაზე სერიოზულ გამომხატველად იქცა, წარმატება ცხადჰყოფს, რომ ქსელის კონტრკულტურულ წარმოშობასა და 1990-იანი ინტერნეტის მომხმარებელთა ძირითად მასას შორის უფრო მეტია საერთო, ვიდრე ამას ჩვეულებრივ კომუნიკაციის ექსპერტები აღიარებენ.

ამრიგად, მიუხედავად ინტერნეტისა და მასში შემავალი ყველა სისტემის რეგულირების, პრივატიზირებისა და კომერციალიზაციის ყველა მცდელობისა, კომპიუტერული კომუნიკაციის ქსელები, როგორც ინტერნეტში, ასევე მის ფარგლებს მიღმაც, ხასიათდება საოცრად ფართო გავრცელებით, მრავალმხრივი დეცენტრალიზაციითა და მოქნილობით. რეინგოლდი ამბობს, რომ ისინი ფართოვდება მიკროორგანიზმის კოლონიების მსგავსად. ცხადია, ისინი მოახდენენ კომერციული ინტერესების ასახვას, შეიტანენ რა მსხვილი სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების ლოგიკას კომუნიკაციის მთელს სფეროში. მაგრამ, მკს-ისაგან განსხვავებით "მაკლუენის გალაქტიკაში", მათში კულტურულად და ტექნოლოგიურად ჩადებულია ინტერაქტიულობისა და ინდივიდუალიზაციის თვისებები. მაგრამ. იძლევა კი ეს პოტენციური კომუნიკაციის ახალ სტრუქტურებს? რა კულტურული ატრიბუტები წარმოიქმნება ელექტრონული ზემოქმედების პროცესში? მივმართოთ ამ თემის კვლევის მოკრძალებულ ემპირიულ მონაცემებს:

ინტერაქტიული საზოგადოება

კომპიუტერული კომუნიკაცია - საკმაოდ ახალი მოვლენაა და მის მიერ მოცულ ადამიანთა რაოდენობა ამ წიგნის დაწერის მომენტისათვის (1995წ.) ძალზედ ვიწრო საიმიოდ, რომ ის ქცეულიყო მკაცრი და ზუსტი კვლევების ობიექტად. ხშირად მოყვანილი მაგალითების უმრავლესობა ატარებს კერძო ჩვენების ხასიათს, ხოლო ყველაზე სანდო წყაროს ხშირად ჟურნალისტების ცნობები წარმოადგენენ. გარდა ამისა, ტექნოლოგია იმდენად სწრაფად იცვლება, ხოლო კომპიუტერული კომუნიკაცია ვრცელდება ისეთი ტემპებით, რომ არსებულ 1980-იანი წლების კვლევათა უმრავლესობა ნაკლებად შეიძლება მივუყენოთ 1990-იანი წლების სოციალურ ტრენდებს, ანუ, სწორედ იმ ისტორიულ მომენტებს, როდესაც ახალი კომუნიკაციური კულტურა იღებს გარკვეულ ფორმას. თუმცაღა, ახალი კომუნიკაციური პროცესების სოციალური შედეგების განხილვა არსებული მონაცემების ბაზაზე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით იქნება სასარგებლო, მიუხედავად მეტ-ნაკლებად ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგებისა. მე დავეყრდნობი სოციალურ მეცნიერებათა სფეროდან ნამუშევართა შეზღუდული რაოდენობის განხილვას, რომლებიც ეხება კომპიუტერულ კომუნიკაციას, რათა შემოგთავაზოთ ზოგიერთი წინასწარი მიმართულება საზოგადოებასა და კომუნიკაციას შორის ურთიერთობის ინტერპრეტაციისა კომპიუტერული ინტერაქტიული ტექნოლოგიის პირობებში. უპირველესყოვლისა, კომპიუტერული კომუნიკაცია არ არის კომუნიკაციის საზოგადო საშუალება და არც იქნება ამდაგვარი უახლოეს მომავალში. მართალია, მისი გამოყენება ფართოვდება ფენომენალური ტემპებით, მაგრამ ის, განსხვავებით ტელევიზიისა და სხვა მკს-ისაგან ჯერ კიდევ დიდხანს ვერ შეძლებს მთელი კაცობრიობის მოცვას. ცხადია, 1994წ. ამერიკულ ოჯახთა მესამედზე მეტი ფლობდა პერსონალურ კომპიუტერებს და PC-ს გაყიდვის მასშტაბებით გადაასწრო ტელევიზორებს. დასავლეთ ევროპამ 1990-იანი წლების შუა რიცხვებისათვის ასევე გადაიტანა კომპიუტერული ბუმი, მაგრამ ოჯახებში პერსონალური კომპიუტერები იყო ნაკლები (20% ოჯახზე ნაკლები, თუ გამოვრიცხავთ ვიდეოტექსტერმინალებს). იაპონია საგრძნობლად ჩამორჩებოდა სახლის კომპიუტერების მოწყობილობის უზრუნველყოფითა და კომპიუტერების გამოყენებით არასამუშაო დროს. დანარჩენი მსოფლიო (სინგაპურის გამოკლებით), მიუხედავად კომპიუტერის ყველგან სწრაფი გავრცელების ტემპებისა, აფრიკის გარდა, ჯერ კიდევ სრულიად სხვა კომუნიკაციურ საუკუნეში ცხოვრობდა, მიუხედავად მობილური ტელეფონებისა და პეიჯერებისა, რომლებიც დაულალავად ბზუოდნენ აზიის წყნარი ოკეანის მთელს სანაპიროზე. ექვგარეშეა, რომ ეს ყველაფერი შეიცვლება დროთა განმავლობაში, მაგრამ ინტერაქტიული კომუნიკაციის გავრცელების ტემპები ჯერ კიდევ დიდხანს ვერ გაუწევს კონკურენციას ტელევიზიის ტემპებს.

შემდეგი თემა, რომელზეც მე გადავალ შემდეგ ნაწილში იმაში მდგომარეობს, რომ ინტერაქტიული კომუნიკაციის გამოყენება მულტიმედია სისტემებში სავარაუდოდ იქცევა ხელმისაწვდომად ძალზედ გამარტივებული ვერსიით მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ბევრ ქვეყანაში. მაგრამ კომპიუტერული კომუნიკაცია როგორც ასეთი დარჩება მეტად განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის შედარებით განვითარებული ნაწილის კუთვნილებად, რაც ათეულობით მილიონს შეადგენს, მაგრამ გლობალური მასშტაბით მაინც ელიტად რჩება. როგორც ზევით აღინიშნა, ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობაზე დაობენ გამოცდილი ექსპერტები იმის საფუძველზე, რომ ინტერნეტში ჩართვა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის ფაქტობრივ გამოყენებას, ერთ კავშირზე მოდის ათზე ნაკლები მომხმარებელი - ნამრავლი, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება შეფასებისას. და

თვით ფაქტობრივ მომხმარებლებშიც კი მხოლოდ უმცირესობა მოიხმარს ქსელს აქტიურად. BBS-ის ამერიკელ მომხმარებელთა კვლევამ, რომელიც 1993წ. გამოქვეყნდა აჩვენა, რომ მათგან მხოლოდ 18% ავლენდა აქტიურობას ყოველკვირეულად, გამოძახებათა საშუალო რაოდენობა შეადგენდა 50-ს კვირაში ერთ BBS-ზე; ოპერაციათა 38% დაკავშირებული იყო სისტემის შევსებასთან (were uploads of the system) და "დაფის" შინაარსის 66% ეძღვნებოდა კომპიუტერულ საქმეებს. როგორც იყო მოსალოდნელი, პერსონალური კომპიუტერის მფლობელთა კვლევამ აჩვენა, რომ ისინი იყვნენ მატერიალურად უზრუნველყოფილნი საშუალოზე მეტად, დაკავებულნი მთელი კვირა და მარტოხელები, ნაკლებად - პენსიაზე მყოფნი ან ისინი, ვინც საქმეს ჩამოშორდა. მათი უმრავლესობა (ისევე როგორც BBS-ის მომხმარებელნი) - მამაკაცები არიან. რაც შეეხება ინტერნეტის მომხმარებლებს, კვლევამ, რომელიც ჩატარდა აშშ-ს ეროვნულ შერჩევაზე, აჩვენა, რომ მომხმარებელთა 67% არის მამაკაცი და მათ ნახევარზე მეტი მიეკუთვნება 18-34 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას. მათი საოჯახო შემოსავალი არის 50-75 ათასი დოლარი; საქმიანობებს შორის ყველაზე ხშირია განათლების, ვაჭრობისა და საინჟინრო პროფესიათა სფეროები. სხვა კვლევამ (ასევე აშშ-ში, 1995წ.) ასევე აჩვენა, რომ მომხმარებელთა 65% არის შეძლებული მამაკაცი (საშუალო საოჯახო შემოსავალი 62 000 დოლ.), თუმცა ისინი უფრო ასაკოვანნი არიან, ვიდრე ეს მითითებულია სხვა კვლევებში (საშუალო ასაკი - 36 წელი). ამრიგად, კომპიუტერული კომუნიკაცია თავის გზას იწყებს როგორც კომუნიკაციის საშუალება განათლებისათვის და როგორც ყველაზე შეძლებული და განათლებული ქვეყნების მოსახლეობის განვითარებადი სეგმენტი ყველაზე ხშირად დიდ, ყველაზე მაღალგანვითარებულ მეტროპოლისებში.

ცხადია, რომ უახლოეს მომავალში კომპიუტერული კომუნიკაციის გამოყენება გაიზრდება, განსაკუთრებით განათლების სისტემის დახმარებით, და მოიცავს ინდუსტრიული სამყაროს მოსახლეობის არსებით ნაწილს; ის აღარ იქნება მხოლოდ ელიტარული ფენომენი, მიუხედავად იმისა, რომ მოიცავს იმაზე ცოტა ადამიანს, ვიდრე მკს. თუმცაღა ის ფაქტი, რომ ის ვრცელდება თანმიმდევრული ტალღებით, კულტურული ელიტებით დაწყებული, იმას ნიშნავს, რომ ის მოახდენს კომუნიკაციური ჩვევების ფორმირებას პირველი ტალღის მომხმარებელთა ჩვევებზე გასვლით.

კომპიუტერული კომუნიკაცია სულ უფრო მეტად იღებს კრიტიკულ მნიშვნელობას მომავალი კულტურის ფორმირების საქმეში. ელიტები, რომლებმაც მისცეს მას ფორმა, მიიღებენ სტრუქტურულ უპირატესობას ახლა წარმოქმნად საზოგადოებაში. ამგვარად, თუმცა კომპიუტერებმა ნამდვილად მოახდინეს კომუნიკაციის პროცესის რევოლუციონიზაცია, ხოლო მისი დახმარებით - სრულიად კულტურისა, მაგრამ ეს რევოლუცია ვრცელდება კონცენტრული წრეებით, იწყება რა განათლებისა და სიმდიდრის მაღალ დონეზე, მაგრამ სავარაუდოდ მაინც ვერ ახერხებს გაუნათლებელი მასებისა და ღარიბი ქვეყნების მოცვას.

მაგრამ, რეგულარულ მომხმარებელთა ჯგუფში კომპიუტერული კომუნიკაცია, როგორც ჩანს, ხელს უწყობს შეუზღუდავ კომუნიკაციას, ხოლო კომპანიის შიდა ქსელებში ახდენს დაბალ დონეზე მუშაკთა მონაწილეობის სტიმულირებას. ქალები და მოსახლეობის სხვა დათრგუნული ჯგუფები ასევე, როგორც ჩანს, შეძლებენ გამოხატონ საკუთარი თავი უფრო ღიად ელექტრონული სისტემის დაცვის ქვეშ, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ჯერ-ჯერობით ქალები შეადგენენ მომხმარებელთა უმცირესობას. როგორც ჩანს, ხელისუფლების სიმბოლოებმა, რომლებიც ჩადებულია კომუნიკაციის მეთოდში, რომლებიც შეესაბამება პირად კონტაქტებს, ჯერაც ვერ იპოვეს საკუთარი ენა ახალ კომპიუტერულ კომუნიკაციაში. ისტორიული სიახლისა და ტრადიციულად დაქვემდებარებულ ჯგუფთა, ისეთების, როგორებიც არიან ქალები, ძალაუფლების ზრდის მიზეზით კომპიუტერული კომუნიკაცია იძლევა ტრადიციული თამაშის ხელისუფლების ირგვლივ შემობრუნების

შესაძლებლობას კომუნიკაციურ პროცესში.

მომხმარებლიდან მოხმარებაზე ანალიზის ფოკუსის გადატანისას ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ კომპიუტერულ კომუნიკაციათა უმრავლესობა ხორციელდება სამსახურში ან სამსახურთან დაკავშირებულ სიტუაციაში. მე მე-3 და მე-4 თავებში განვიხილე კომპიუტერების კრიტიკული მნიშვნელობა ქსელური ორგანიზაციების ახალი ფორმებისათვის და ქსელში მომუშავე ადამიანთა შრომის სპეციფიკური პირობებისათვის. კულტურულ ზეგავლენათა ანალიზის კონტექსტში უნდა განვიხილოთ სიმბოლური იზომორფიზმი შრომის პროცესში, სახლის სამუშაოში და გართობის კომუნიკაციის ახალ სტრუქტურაში. არის კი კომპიუტერთან დამოკიდებულება საკმარისად სპეციფიკური, რათა დაკავშირდეთ სამსახური, სახლი და გართობა სიმბოლოთა დამუშავების ერთ სისტემაში. თუ, პირიქით, კონტექსტი განსაზღვრავს აღქმას და საშუალებათა გამოყენებას ჩვენ ხელთ არა გვაქვს ამ პრობლემის სერიოზული კვლევა, მაგრამ პენი გურსტეინის ზოგიერთი წინასწარი დაკვირვება საკუთარი დისერტაციისთვის ცხადყოფს, რომ მართალია ადამიანები, რომლებიც სარგებლობენ კომპიუტერით სახლში, როგორც ჩანს კმაყოფილნი არიან საკუთარი დამოუკიდებლობით დროისა და სივრცის მართვის თვალსაზრისით, მაგრამ მათ არ მოსწონთ მკაფიო საზღვრების არარსებობა სამსახურსა და დასვენებას, ოჯახსა და ბიზნესს, პიროვნებასა და ფუნქციას შორის. ჰიპოთეზის სახით, რომელიც ღირს რომ დავიმახსოვროთ, ვიტყვით, რომ გამოცდილებათა განსხვავებული სფეროების შერწყმა ერთსა და იმავე საშუალებაში მეტ-ნაკლებად ჩრდილში აქცევს ამ სფეროთა ინსტიტუციონალურ განსხვავებებს და ახდენს ქცევათა კოდების აღრევას.

პროფესიულ მოვალეობათა შესრულების გარდა, კომპიუტერული კომუნიკაცია უკვე მოიცავს სოციალური აქტივობის მთელს სფეროს. მაშინ როცა საშუალო მომხმარებლები დიდად არ სწყალობდნენ წინასწარ საბანკო ოპერაციებს (მანამ სანამ ისინი არ აიძულეს ჩართულიყვნენ მათი საკუთარი ნების გარეშე), ხოლო ტელემადაზიები დამოკიდებულნი არიან მულტიმედიაში ვირტუალური რეალობის გაფურჩქვნაზე, პერსონალური კომუნიკაციების საოცარი განვითარება ხორციელდება ელ-ფოსტის საშუალებით, e-mail-ი არის კომპიუტერული კომუნიკაციის ყველაზე ხშირი გამოყენების ობიექტი სამუსაო ადგილის მიღმა. რეალურად, მისი ფართო გავრცელება ანაცვლებს არა პიროვნულ კომუნიკაციებს, არამედ სატელეფონო საუბრებს, რადგანაც ავტომოპასუხებმა და სამაგნიტოფონო ხმებმა მომსახურების სფეროში ბარიერი აღმართეს კომუნიკაციისთვის, რამაც e-mail-ი აქცია შერჩეულ დროს უშუალო ურთიერთობების საუკეთესო ალტერნატივად. კომპიუტერული სექსი - არის მოხმარების მეორე ყველაზე გავრცელებული სფერო კომპიუტერული კომუნიკაციისა, და ის სწრაფად ვრცელდება. მართალია, სახეზეა კომპიუტერიზებული სექსუალური სტიმულების კომერციული ბაზრების გავრცელება, რაც სულ უფრო მეტად არის დაკავშირებული ვირტუალური რეალობის ტექნოლოგიებთან, მაგრამ კომპიუტერული სექსი ძირითადად შედგება საუბრებისაგან ან სპეციალიზირებული "განცხადებათა დაფებისაგან", ან მაშინ, როცა ადამიანები სპონტანურად ცდილობენ გეექცნენ ჩვეულებრივ საუბრებს. ახალი ქსელების ინტერაქტიულმა ძალამ ეს საქმიანობა აქცია უფრო პოპულარულად კალიფორნიაში 1990-იან წლებში, ვიდრე ფრანგულ minitel-ში 1980-იან წლებში. ემინიათ რა დაავადებისა და აგრესიულობისა პირადი ურთიერთობებისას, ადამიანები ეძებენ ალტერნატივებს საკუთარი სექსუალურობის გამოსახატავად, და ჩვენ კულტურაში სიმბოლური ზესტიმულაცია კომპიუტერულ კომუნიკაციაში ცხადია გზას ხსნის სექსუალური ფანტაზიებისათვის, განსაკუთრებით იმიტომ რომ ზემოქმედება არ არის ვიზუალური და მონაწილის იდენტურობა შეიძლება დაიმალოს.

პოლიტიკა - კომპიუტერული კომუნიკაციის სარგებლობის ასევე მზარდი სფეროა. ერთი მხრივ, ელექტრონული ფოსტა გამოიყენება მიმართული პოლიტიკური პროპაგანდის მასობრივი

გავრცელებისათვის ურთიერთობის შესაძლებლობასთან. ქრისტიანული ფუნდამენტალისტები და "ამერიკული მილიცია" აშშ-ში, საპატისტები მექსიკაში ახალი პოლიტიკური ტექნოლოგიების პიონერები არიან. მეორე მხრივ, დემოკრატია ადგილზე მდიდრდება ექსპერიმენტების გზით პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქეთა ელექტრონული მონაწილეობის სფეროში, ისე, როგორც მაგალიტად, პროგრამაში PEN, რომელიც ორგანიზებული იყო კალიფორნიაში ქალაქ სანტა-მონიკას მიერ. ამ პროგრამაში მოქალაქეები განიხილავენ ადგილობრივ პროგრამებს და ატყობინებენ საკუთარი გრძნობებსა და მოსაზრებებს მუნიციპალიტეტს. ცხარე დებატები უსახლკარობის ირგვლივ (თავად უსახლკაროთა ელექტრონული მონაწილეობით) იქცა ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ შედეგად მოცემული ექსპერიმენტისა 1990-იანი წლების დასაწყისში.

კომპიუტერული კომუნიკაციის ჩვეულებრივი სოციალური ურთიერთობისა და ინსტრუმენტული სარგებლობის მიღმა მკვლევრებმა აღმოაჩინეს ვირტუალურ თანასაზოგადოებათა ფორმირების ფენომენი. რეინგოლდის არგუმენტების შესაბამისად, მათ ქვეშ ჩვეულებრივ გაიგება ინტერაქტიული კომუნიკაციის თვითორგანიზებადი ელექტრონული ქსელი, რომელიც გაერთიანებულია საერთო მიზნებისა და ინტერესების გარშემო, თუმცა ზოგჯერ თვითმიზანი სწორედ რომ კომუნიკაციაა. ამგვარი თანასაზოგადოებები შეიძლება იყოს შედარებით ფორმალური, როგორც კონფერენციების ან "დაფის განცხადებების" სისტემის შემთხვევაშია, ან იყოს სპონტანურად ფორმირებული სოციალური ქსელების მიერ, რომლებიც უერთდება კომპიუტერულ ქსელს, რათა გააგზავნოს და მიიღოს ცნობები დროის შერჩეულ სტრუქტურაში (გადადებულ ან რეალურ დროში). 1990-იანის შუა წლებში მსოფლიოში არსებობდა ათობით ათასი ამგვარი თანასაზოგადოება. მათი უმრავლესობა თავმოყრილი იყო აშშ-ში, მაგრამ სულ უფრო ხშირად გადიოდა გლობალურ დონეზე. ჯერ გაურკვეველია, თუ რამდენ სოციალურ ურთიერთობას აქვს ადგილი რეალურად ამგვარ ელექტრონულ ქსელებში და როგორია ურთიერთობის ამგვარი ფორმის კულტურული ეფექტი. მაგრამ ერთი თვისება უნდა აღინიშნოს: ამგვარი ქსელები, მონაწილეთა აზრით, ეფემერულია. მაშინ როცა მოცემული კონფერენცია ან "განცხადებათა დაფა" შეიძლება დიდხანს ცოცხლობდეს ამ საქმის მოყვარული ერთგული ადამიანების ბირთვის გარშემო, წვლილის დიდი ნაწილი ურთიერთზემოქმედებაში მაინც არის სპორადული, ადამიანთა უმრავლესობა შედის და გადის ქსელიდან მაშინ, როცა მათი ინტერესები იცვლება ან მოლოდინები არის განუხორციელებელი. მე დავაყენებდი ჰიპოთეზას, რომ ამგვარ ვირტუალურ თანასაზოგადოებებში "ცხოვრობს" ორი განსხვავებული პოპულაცია: ელექტრონული სოფლის მცხოვრებთა, "ელექტრონული საზღვრის თავდაპირველი მაცხოვრებლის" მცირე ნაწილი და მოხეტიალე ბრბო, რომლისთვისაც შემთხვევითი მოხვედრა განსხვავებულ ქსელებში თანასწორია კვლევის რამდენიმე, მაგრამ ეფემერული არსებობისა.

რამდენად სპეციფიკურია კომპიუტერული კომუნიკაციის, როგორც ახალი საშუალების ენა? ზოგიერთი ანალიტიკოსისათვის კომპიუტერული კომუნიკაცია, განსაკუთრებით e-mail-ი, წარმოადგენს რევანშს დამწერლობაზე, დაბრუნებას ტიპოგრაფიული აზროვნებისაკენ და კონსტრუირებული რაციონალური დისკურსის აღდგენას. სხვებისათვის, პირიქით, ახალი საშუალების არაფორმალურობა, სპონტანურობა და ანონიმურობა ახდენს ელექტრონული ტექსტით გამოხატული "ორალურობის", ზეპირი სიტყვის ახალი ფორმის სტიმულირებას. თუ ჩვენ შეგვიძლია მივიჩნიოთ არაფორმალური, არაკონსტრუირებული წერა ტექსტისა რეალურ დროში ურთიერთობისას სატელეფონო საუბრის (წერითი ტელეფონი...) ანალოგად, მაშინ შესაძლებელია ვიწინასწარმეტყველოთ ახალი საშუალების წარმოშობა, რომელიც აერთიანებს კომუნიკაციის ფორმებს, რომლებიც მანამდე გადანაწილებული იყო ადამიანური აზროვნების სხვადასხვა

სფეროებზე.

საერთო ჯამში, ვაფასებთ რა კომპიუტერული კომუნიკაციის სოციალურ და კულტურულ ზემოქმედებას, ჩვენ უნდა გვახსოვდეს სოციალურ კვლევათა მასივი, რომელიც ტექნოლოგიათა სოციალურ გამოყენებას ეხება. ასე მაგალითად, კლოდ ფიშერის ნაშრომი ამერიკაში ტელეფონის სოციალური ისტორიის შესახებ 1940 წლამდე აჩვენებს ნებისმიერი მოცემული ტექნოლოგიის მაღალ სოციალურ ელასტიურობას. ჩრდილოეთ კალიფორნიის ერთობებმა, რომლებიც მან შეისწავლა, მიიღეს ტელეფონი, რათა გაემდიდრებინათ სოციალური კომუნიკაციის არსებული ქსელები და განემტკიცებინათ ღრმად გამჯდარი სოციალური ჩვევები. ტელეფონი არა უბრალოდ მიიღეს, არამედ მოახდინეს მისი ადაპტირება. ადამიანები ახდენენ ტექნოლოგიის ფორმირებას, რათა ის შეესაბამებოდეს მათ მოთხოვნებს, როგორც მე ვაჩვენე აუდიტორიის მიერ სატელევიზიო ცნობების კონტექსტუალური და პერსონალური აღქმასთან დაკავშირებით. ამაზევე ნათლად მიუთითებს ფრანგების მიერ Minitel-ის მასობრივი მიღება საკუთარი სექსუალური ფანტაზიების გამოსახატავად. ურთიერთობის ელექტრონული სისტემა ბევრისა მრავალთან, რომელიც წარმოდგენილია კომპიუტერული კომუნიკაციით, გამოიყენებოდა მრავალგვარად და მრავალი მიზნისათვის, მომხმარებლებს შორის სოციალური და კონტექსტუალური ვარიაციების მთელ დიაპაზონში. კომპიუტერული კომუნიკაციის საშუალებებისთვის საერთოა ის, რომ ამაყმად არსებული არამრავალრიცხოვანი კვლევების თანახმად, ისინი არ ცვლიან კომუნიკაციის სხვა საშუალებებს და არ ქმნიან ახალ ქსელებს, არამედ ამყარებენ უკვე არსებულ სოციალურ სტრუქტურებს. ისინი ავსებენ სატელეფონო და სატრანსპორტო კომუნიკაციებს, აფართოებენ სოციალურ ქსელთა მასშტაბს, აძლევენ რა მათ უფლებას იმოქმედონ უფრო აქტიურად და დამოუკიდებლად შერჩეულ დროს. რამდენადაც მისაწვდომობა კომპიუტერული კომუნიკაციისადმი კულტურულად და ეკონომიკურად შეზღუდულია და ასეთად დარჩება კარგა ხანი, მის ყველაზე მნიშვნელოვან კულტურულ ზემოქმედებად პოტენციურად შეიძლება იქცეს კულტურულად დომინანტური სოციალური ქსელების გამყარება და მათი კოსმოპოლიტიზმისა და გლობალიზაციის ზრდა. საქმე იმაში როდია, რომ კომპიუტერული კომუნიკაცია უფრო კოსმოპოლიტურია თავისთავად; როგორც ფიშერმა დაგვანახა, ადრეული სატელეფონო ქსელები ხელსუწყობდნენ ადგილობრივ, და არა საერთაშორისო კავშირებს. ზოგიერთ ვირტუალურ თანასაზოგადოებაში, მაგალითად SFNET-ში, სან-ფრანცისკოს არხის რაიონში მუდმივ მონაწილეთა უმრავლესობა - ადგილობრივი მაცხოვრებლები არიან, და ზოგიერთი მათგანი პერიოდულად აწყობენ სადღესასწაულო საღამოებს, რათა გაამყარონ ელექტრონული მეგობრობა. მაგრამ ელექტრონული ქსელები საერთო ჯამში ამბაფრებენ ახალი პროფესიონალური და მენეჯერული ჯგუფების კოსმოპოლიტიზმს, რომლებიც სიმბოლურად ცხოვრობენ გლობალურ ჩარჩოებში განსხვავებით ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობისაგან. ამრიგად, კომპიუტერული კომუნიკაცია შეიძლება იქცეს კოსმოპოლიტური ელიტის სოციალური სიახლოვის გამყარების საშუალებად, უზრუნველყოფს რა გლობალური კულტურის მატერიალურ მხარდაჭერას - ელექტრონული მისამართიდან (როგორც შნოს ელემენტისა) მოდური ცნობების სწრაფ ცირკულაციამდე.

პირიქით, ყველა ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობისათვის სამუშაო ადგილს მიღმა კომპიუტერული კომუნიკაციის გამოყენება იქნება სულ უფრო გადაჯაჭვული კომუნიკაციის ახალ სამყაროსთან, დაკავშირებული მულტიმედიის წარმოშობასთან.

დიდი შერწყმა: მულტიმედია, როგორც სიმბოლური გარემო

1990-იანი წლების მეორე ნახევარში ინდივიდუალურ შეკვეთებზე ორიენტირებული და გლობალიზებული მკს-ისა და კომპიუტერული კომუნიკაციის შერწყმით დაიწყო ახალი ელექტრონული კომუნიკაციის სისტემის ფორმირება. როგორც ზევით აღინიშნა, ახალი სისტემა ხასიათდება სხვადასვა საშუალებათა ინტეგრაციით და საკუთარი ინტერაქტიული პოტენციალით. მულტიმედია (როგორც ნაადრევად უწოდეს ახალ სისტემას) ვრცელდება ელექტრონული კომუნიკაციის სფეროს ცხოვრების ყველა სფეროზე – სახლიდან სამსახურამდე, სკოლიდან საავადმყოფომდე, გართობიდან მოგზაურობამდე. 1990-იანი წლების შუა რიცხვებისათვის მთელი მსოფლიოს მთავრობები და კომპანიები ჩაერთვნენ დიდ ბრძოლაში, რათა დაეკავებინათ პოზიციები ახალი სისტემის ფორმირებაში, რომელიც განიხილებოდა როგორც ძალაუფლების იარაღი, გიგანტური მოგების პოტენციურ წყაროდ და სუპერთანამედროვეობის სიმბოლოდ. აშშ-ში ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტმა ალბერტ გორმა მოახდინა ინიცირება პროგრამისა “ეროვნული საინფორმაციო/ინფორმაციული ინფრასტრუქტურა” XXI საუკუნეში ამერიკული ლიდერობის შენარჩუნების მიზნით. იაპონიაში სატელეკომუნიკაციო საბჭოს ჰქონდა წინადადება აუცილებელი “რეფორმების შესახებ, რომელიც ქმნიდა ოცდამეერთე საუკუნის ინტელექტუალურ შემოქმედებით საზოგადოებას”; იაპონიაში ფოსტისა და ტელეკომუნიკაციების სამინისტროს დაევალა მულტიმედიის სისტემის შექმნის სტრატეგიის შემუშავება აშშ-დან ქვეყნის ჩამირჩენის დაძლევის მიზნით. საფრანგეთში პრემიერ-მინისტრის დავალებით შექმნილი 1994 წლის ბრძანებულებით მითითებული იყო, რომ Minitel-ისა და წამყვანი ფრანგული ტექნოლოგიების გამოყენების გამოცდილებაზე დაყრდნობით მულტიმედიის შემდეგი ეტაპის შემუშავება, მათი შინაარსის ჰოლივუდზე ნაკლები დამოკიდებულებით, მისცემდა საფრანგეთს პოტენციურ უპირატესობას. ევროპული ტექნოლოგიური პროგრამები, განსაკუთრებით Esprit და Eureka, აფართოებენ ძალისხმევას ტელევიზიის ევროპული სტანდარტის შექმნის მიზნით, რომელსაც ექნება მაღალი შესაძლებლობები, ასევე სატელეკომუნიკაციო პროტოკოლების შემუშავების მიზნით, რომლებსაც შეეძლებათ განსხვავებული სატელეკომუნიკაციო სისტემების ინტეგრირება, სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. 1995 წლის თებერვალში ბრიუსელში მოწვეულ იქნა “დიდი შვიდეულის” სპეციალური თათბირი, რომელიც მიემდგნა ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლის პრობლემებს. და 1995 წლის დასაწყისში ბრაზილიის ახალმა პრეზიდენტმა, ცნობილმა სოციოლოგმა ფერნანდო ენრიკე კარდუზომ გადაწყვიტა, რომ მისი ახალი ადმინისტრაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლი იქნებოდა ბრაზილიის საკომუნიკაციო სისტემის რეკონსტრუქცია მისი “გლობალუ ჰაიუეისთან” შეერთების მიზნით.

მაგრამ ახალი მულტიმედიის სისტემის ფორმირებას ახდენს ბიზნესი, და არა მთავრობები. რეალურად, ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების მასშტაბი არ აძლევს ნებისმიერ მთავრობას უფლებას იმოქმედოს დამოუკიდებლად: მარტო აშშ-სთვის “ინფორმაციული სუპერჰაიუეის” გაშვების ეტაპი ფასდება 400 მილიარდი დოლარით. კერძო კომპანიები მთელი მსოფლიოს მასშტაბით ემზადებიან შეიჭრან ბაზარში, რომელიც შეძლებს XXI საუკუნის პირველ ნახევარში იქცეს ექვივალენტად XXს-ის პირველი ნახევრის შემდეგი კომპლექსისა – “ავტომობილი-საწვავი-რეზინი-ჰაიუეი”. გარდა ამისა, რამდენადაც ფაქტობრივი ტექნოლოგიური ფორმა სისტემისა რჩება გაურკვეველი, ის, ვინც მიიღებს კონტროლს მის პირველ ეტაპზე, მოახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას მის შემდგომ ევოლუციაზე, მიიღებს რა სტრუქტურულ კონკურენტულ უპირატესობას. კომპიუტერების, ტელეკომუნიკაციებისა და მკს-ის ყველა მოდალობაში ტექნოლოგიური შერწყმის წყალობით ხდება გიგანტური გლობალური და რეგიონალური კონსორციუმების ფორმირება და დაშლა. სატელეფონო კომპანიები, საკაბელო ტელესადგურები, სამაუწყებლო ტელევიზიები კონკურირებენ და ერთიანდებიან იმის გამო, რომ

ილტვიან რისკის მინიმიზაციისაკენ ახალ ბაზარზე. კომპიუტერული კომპანიები ჩქარობენ შექმნან “ყუთი”, ელექტრონული სახლის კომუნიკაციის ახალი გალაქტიკისაკენ შეერთების მაგიური საშუალება, უზრუნველყოფენ რა ადამიანებს ადვილად ორიენტირებისა და თავად პროგრამირების საშუალებით “მომხმარებლისათვის მეგობრული” სიტუაციის შექმნით, რომელშიც, როგორც იმედოვნებენ, შეიძლება მიხვიდე იქამდე, რომ კომპიუტერთან უბრალოდ საუბარი იყოს შესაძლებელი. პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებლები – Microsoft-იდან დაწყებული იაპონური ვიდეოთამაშების შემქმნელებით დასრულებული, ისეთები, როგორებიც არიან Nintendo და Sega – ქმნიან ახალ ინტერაქტიულ ნოუ-ჰაუს, რომლებმაც უნდა გააფართოონ და გზა გაუხსნან ფანტაზიებს ელექტრონული გარემოს ვირტუალურ რეალობაში ჩაფლობისას. სატელევიზიო ქსელები, მუსიკალური ფირმები, კინოსტუდიები კვანძებით აკავშირებენ საკუთარ წარმოებას, რათა გააძღონ მთელი სამყარო, დამშეული, როგორც ვარაუდობენ, ინფოგართობებითა და აუდიოვიზუალური პროდუქტებით.

ბიზნესის მხრიდან მულტიმედიასისტემების განვითარების პირველი სტადიების კონტროლი კიდევ დიდხანს მოახდენს გავლენას ახალი ელექტრონული კულტურის თვისებებზე. მიუხედავად გაუთავებელი საუბრებისა ახალი კომუნიკაციური ტექნოლოგიების პოტენციალის შესახებ განათლების, ჯანდაცვის, კულტურის გამდიდრების სფეროში, დომინანტური სტრატეგია მაინც მიმართულია გართობის გიგანტური ელექტრონული სისტემის შემუშავებაზე, რაც ბიზნესის თვალსაზრისით ინვესტიციების ნაკლებ უსაფრთხოებას გულისხმობს. და მართლაც, აღმომჩენთა ქვეყანაში – აშშ-ში გართობის ინდუსტრია მის ყველა ფორმაში 1990-იანი წლების შუა რიცხვებისათვის იყო ყველაზე მზარდი სფერო; მყიდველები წელიწადში 350 მლრდ. დოლარზე მეტს ხარჯავდნენ, ხოლო დასაქმება გაიზარდა 5 მლნ. ადამიანამდე, იზრდებოდა რა 12%-ით ყოველ წელიწადს. იაპონიაში ბაზრის ეროვნულმა კვლევამ 1992წ. რომელიც მიემდგვნა პროდუქციის მიხედვით მულტიმედიისათვის პროგრამული უზრუნველყოფის განაწილებას, აჩვენა, რომ გართობაზე მოდიოდა 85,7% გაყიდვის მთელი ოდენობიდან, მაშინ როცა განათლებაზე მოდიოდა მხოლოდ 5%. ამრიგად, სანამ მთავრობები და ფუტუროლოგები საუბრობენ საუკეთესო ოთახების მოწყობაზე, გარკვეულ მანძილზე ქირურგიულ ოპერაციებზე, Encyclopaedia Britannica-ში სატელევიზიო ცნობარებზე, ახალი სისტემის ფაქტობრივი მშენებლობა მეტწილად ორიენტირებულია “ვიდეოზე შეკვეთით” და ვირტუალური რეალობის თემატურ პარკებზე (theme parks). ამ წიგნის ანალიტიკური სულისკვეთების გამო მე არ დავუპირისპირებ ახალი ტექნოლოგიების კეთილშობილ მიზნებს მათ უშუალო განხორციელებას. მე უბრალოდ მივუთითებ, რომ მათი ფაქტობრივი გამოყენება ახალი სისტემის განვითარების ადრეულ სტადიაზე მნიშვნელოვნად მოახდენს მულტიმედიის მოხმარების, აღქმისა და, საბოლოო ჯამში, სოციალური შედეგების ფორმირებას.

მაგრამ, როგორც ჩანს, ფორმირების პროცესი წავა მოსალოდნელზე უფრო ნელა და წინააღმდეგობრივად. 1994წ. რამდენიმე რეგიონში ჩატარდა რამდენიმე ექსპერიმენტი ინტერაქტიული მულტიმედიასისტემებით: იაპონიაში “მეცნიერების ქალაქში” კანსაიში; ევროპაში (რვა ევროპული სატელეკომუნიკაციო ქსელის კოორდინირებული პროგრამა Assymetrical Digital Subscriber Loop-ის (ADSL) შესამოწმედლად; და აშშ-ს რამდენიმე რაიონში ორლანდოდან ვერმონტამდე და ბრუკლინიდან დენვერამდე. შედეგები არ შეესაბამებოდა მოლოდინებს. გადაუჭრელი რჩება ძალიან ბევრი ტექნოლოგიური პრობლემა, განსაკუთრებით პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის უნარი შესაძლებელი გახადოს ზემოქმედება ძალიან დიდ მასშტაბში, ათასობით სახლისა და კომუნიკაციის ასეულობით წყაროსათვის. მაშინ როცა ფირმები, რომლებიც

უშვებენ “ვიდეოს შეკვეთით” რეკლამას უწევენ საკუთარ განუსაზღვრელ შესაძლებლობებს, შეკვეთების შესრულების ტექნოლოგიური შესაძლებლობა არ წასულა ბევრად შორს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობის დიაპაზონისაგან, რომელსაც გვთავაზობს საკაბელო თუ თანამგზავრული სისტემები ან Minitel-ის მსგავსი Mon-line სერვერები მართალია, აუცილებლად შეიმუშავებენ ადექვატურ ტექნოლოგიას, მაგრამ ამის განვითარების დასაჩქარებელი ინვესტიციები დამოკიდებულია მასობრივი ბაზრის არსებობაზე, რომელიც მატერიალიზებას ვერ შეძლებს მანამ, სანამ ადექვატური ტექნოლოგია არ იქნება ხელმისაწვდომი. აქ პრობლემა იმაში როდია, განვითარდება თუ არა მულტიმედია სისტემა (რა თქმა უნდა განვითარდება), არამედ იმაში, თუ როდის, როგორ და რა პირობებში მოხდება ეს განვითარება სხვადასხვა ქვეყანაში, რადგანაც სისტემის კულტურული მნიშვნელობა დიდად იქნება მოდიფიცირებული ტექნოლოგიური ტრაექტორიის ვადებითა და ფორმით.

გარდა ამისა, გართობაზე განუსაზღვრელი მოთხოვნის შესახებ მოლოდინი ცოტათი გადაჭარბებული უნდა იყოს და მასზე დიდი ზეგავლენა მოახდინა “დასვენების საზოგადოების” იდეოლოგიამ. მართალია, გართობაზე დახარჯული თანხები საკმაოდ მყარი ჩანს ეკონომიკურ დაღმასვლასთან მიმართებაში, მაგრამ შესაძლებლობათა სრულ შესაძლებლობებზე გადასახადი, რომელსაც Mon-line გვთავაზობს, ბევრად აღემატება უახლოეს მომავალში ოჯახური შემოსავლების გაზრდას. დროც ასევე თავისთავად წარმოადგენს შეზღუდულ რესურსს. არსებობს მითითება, რომ აშშ-ში დრო, გატარებული ეკრანის წინ, 1980-იანი წლების მეორე ნახევარში შემცირდა; 1985 წლიდან 1990 წლამდე დრო, რომელიც ეთმობოდა კითხვას, ტელევიზიას და კინოს, შემცირდა 45 საათამდე წლის განმავლობაში; დრო, გატარებული ტელევიზორთან – 4%-ით შემცირდა; დრო, დახარჯული ქსელურ ტელევიზიაზე – 20%-ით. მართალია, დროის ეს შემცირება უფრო უკავშირდება სამუშაო დღის ზრდას (ოჯახებს, სადაც ორივე მეუღლე მუშაობს), ვიდრე ინტერნეტის უკმარისობას, მულტიმედია ბიზნესი ფსონს აკეთებს სხვა ინტერპრეტაციაზე: პროგრამათა საკმაოდ მიმზიდველი შინაარსის არასაკმარისობას. და მართლაც, დარგის ბევრი ექსპერტი თვლის, რომ მულტიმედიის გაფართოებაში რეალური სუსტი წერტილი იმაშია, რომ შინაარსი ვერ ეწევა სისტემის ტექნოლოგიურ ტრანსფორმაციას: შეტყობინება ჩამორჩება საშუალებას. სამაუწყებლო სიმძლავრის მიზანმიმართული გაფართოება ინტერაქტიულ არჩევანთან ერთად ვერ ახერხებს საკუთარი პოტენციალის სრულ რეალიზაციას, თუ არ იარსებებს შინაარსის რეალური არჩევის შესაძლებლობა: Mon-line მისაწვდომობა 50 “განსხვავებული, მაგრამ მსგავსი” ფილმისა სექსითა და ძალადობით არ ამართლებს მაუწყებლობის შესაძლებლობების მიზანმიმართულ გაფართოებას. აი, რატომ არის ჰოლივუდური სტუდიების, კინოკომპანიებისა თუ სატელევიზიო დოკუმენტური არქივების შექმნა აბსოლუტურად აუცილებელი ნებისმიერი გლობალური კონსორციუმისათვის მულტიმედიის სფეროში. მეწარმე-შემქმნელები, როგორც სტივენ სპილბერგი, როგორც ჩანს მიხვდნენ, რომ ახალ სისტემაში შინაარსის პოტენციური მრავალგვარობის წყალობით შეტყობინება არის შეტყობინება: სწორედ იმის შესაძლებლობა, რომ თქვენი პროდუქცია განვასხვავოთ სხვებისაგან, იძლევა ყველაზე დიდ კონკურენტულ პოტენციალს. ამგვარად, ნებისმიერ კონგლომერატს, რომელიც ფლობს საკმარის ფინანსურ რესურსს, შეუძლია ხელი მიუწვდებოდეს მულტიმედიის ტექნოლოგიისაკენ და მზარდი დერეგულაციის კონტექსტში – ხელი მიუწვდებოდეს თითქმის ნებისმიერ ბაზარზე. მაგრამ ნებისმიერი სუბიექტი, ვინც აკონტროლებს ახალ ფილმებს ჰეფრი ბოგარტის მონაწილეობით, ან შეუძლია შექმნას ელექტრონული მერილინ მონრო, ან ახალი “პარკი იურული პერიოდისა” შეძლებს მიიღოს ნებისმიერი საკომუნიკაციო მხარდაჭერა ძალზედ აუცილებელი საქონლისათვის.

მაგრამ სულაც არ არის ფაქტი, რომ დროისა და რესურსების არსებობის პირობებშიც კი ადამიანებს

სურთ სულ უფრო მეტად გაერთონ სულ უფრო დახვეწილი ფორმით – სადისტური ვიდეოთამაშებით დაწყებული უსასრულო სპორტული მატჩებით დამთავრებული. მართალია, ამ პრობლემის შესახებ მონაცემები არც თუ ბევრია, მაგრამ ისინი მიუთითებენ მოთხოვნის უფრო რთულ სტრუქტურაზე. ერთ-ერთი ყველაზე სრული გამოკვლევა, ჩატარებული 1994 წ. ჩარლზ პილერის მიერ აშშ-ში 600 სრულწლოვანიდან ეროვნულ შერჩევაში, გვაჩვენა უფრო ღრმა ინტერესი მიმართული მულტიმედიის გამოყენებისაკენ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის, პოლიტიკური მოდერნიზებისა და განათლებისაკენ, ვიდრე ინტერესი ფილმებისა და ტელეგადაცემების დამატების არჩევის საკუთარი დიაპაზონისათვის. გამოკითხულთა მხოლოდ 28% -ისათვის არის “ვიდეო დაკვეთით” ძალზედ სასურველი, ამასთანავე საინტერესოა ის, რომ ინტერესი გართობისა განსაკუთრებით გამოხატეს ინტერნეტის მომხმარებლებმა. ამასთანავე, მაღალ შეფასებას აძლევდნენ პოლიტიკურ გამოყენებას: 57% გამოთქვამდა სურვილს, მიეღო მონაწილეობა ელექტრონულ მუნიციპალურ არჩევნებში; 46% – გამოეყენებინა ელექტრონული ფოსტა საკანონმდებლო ორგანოში საკუთარ წარმომადგენელთან მიმოწერისათვის; დაახლოებით 50% – ელექტრონული ხმის მიცემისათვის. დამატებით ომსახურებაზე მაღალი მოთხოვნა შეიმჩნეოდა შემდეგ სფეროებში: განათლება და პრაქტიკული სწავლება, ადგილობრივი სკოლების სამუშაოების თაობაზე ინტერაქტიული ინფორმაცია, ცნობარებზე, ცნობარები სახელმწიფო მომსახურებაზე. რესპონდენტები მზად იყვნენ დაეცვათ საკუთარი პოზიცია საკუთარი ჯიბიდან: 34% მზად იყო დამატებით 10 დოლარი გადაეხადა თვეში სწავლებისათვის მანძილზე, მაშინ როცა მხოლოდ 19% იყო მზად გადაეხადა იგივე თანხა გართობის საშუალებების არჩევანის გაფართოებისათვის. მულტიმედია ფორმების მიერ ადგილობრივ ბაზარზე ჩატარებული ექსპერიმენტის თანახმად, რომელიც ეხებოდა დაკვეთით-ვიდეოს სფეროს ასევე აჩვენა, რომ ადამიანები არ არიან მზად არსებითად გაზარდონ საკუთარი გართობის დოზები. 1993-1994წწ.-ში US West/ATT video-ს მიერ ლიტლტონში, კოლორადო, ჩატარებულმა 18-თვიანმა ექსპერიმენტმა ცხადჰყო, რომ ოჯახები სტანდარტული ვიდეოფილმებიდან მართლაც გადაერთნენ “ვიდეოზე დაკვეთით”, მაგრამ ვიდეოფილმების რაოდენობა, რომლებსაც ისინი უყურებენ, არ გაზარდილა, იგი კვლავ შეადგენდა 2,5 ფილმს თვეში, ერთი ფილმის ფასი 3 დოლარი.

საფრანგეთში Minitel-ის მსხვილმასშტაბიან წარმატებასთან შესაბამისად, რომელიც უფრო მომსახურებას სთავაზობდა, ვიდრე გართობას, და ინტერნეტში პირადი კომუნიკაციების სწრაფი გავრცელებით, როგორც ჩანს დაკვირვებები ვარაუდობენ, რომ შეკვეთით დივერსიფიცირებული გართობის წარმოება მასობრივი წესით შეიძლება არც აღმოჩნდეს ცხადი არჩევანი მულტიმედიის მომხმარებლებისათვის, თუმცა ცხადია, რომ ფორმების სტრატეგიული არჩევა, რომლებიც ამ სფეროს აყალიბებენ, სწორედ ასეთია. შედეგად, შეიძლება გაჩნდეს დამაბულობა ინფოგართობებს, სადაც ბატონობს მარკეტინგული “სააზროვნო ბუნკერების” იდეოლოგია, რომლებიც თვლიან, რომ იციან თუ რა სურთ ადამიანებს, და პერსონალური კომუნიკაციისა და ინფორმაციის გამდიდრების მოთხოვნას შორის, რომელიც დიდი ძალისხმევით ცდილობს დამკვიდრდეს კომპიუტერულ საკომუნიკაციო ქსელებში. ასევე შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ეს დამაბულობა შემცირდება განსხვავებული სახის მულტიმედიების სოციალური სტრატეგიკაციით: კრიტიკულად მნიშვნელოვანი თემა, რომელსა მე კვლავ დავუბრუნდები.

მულტიმედიის სიახლის გამო რთულია შეაფასო მისი მნიშვნელობა საზოგადოების კულტურისათვის – შეიძლება მხოლოდ ვაღიაროთ, რომ ახლოვდება მართლაც ფუნდამენტური ცვლილებები. მიხედვად ამისა, ახალი საკომუნიკაციო სისტემის განსხვავებული კომპონენტების თაობაზე გაბნეული ემპირიული მონაცემები და ინფორმირებული კომენტარები იძლევა საფუძველს ზოგიერთი ჰიპოთეზისათვის წარმოქმნადი სოციალური და კულტურული ტენდენციების შესახებ.

ამგვარად, საცხოვრებელი და შრომის პირობების გაუმჯობესების ევროპული ფონდის “სკანირებული” მოხსენების თანახმად ხაზგასმულია ცხოვრების ახალი სტილის ორი კრიტიკულად მნიშვნელოვანი თავისებურება: მისი “სახლცენტრიზმი” და მისი ინდივიდუალიზმი. ერთი მხრივ, ევროპული სახლების გამდიდრებამ ელექტრონული მოწყობილობებით გაზარდა კომფორტი და თვითუზრუნველყოფა, აძლევდა რა ადამიანებს შესაძლებლობას დაკავშირებოდნენ მთელ მსოფლიოს საკუთარ სახლში უსაფრთხო სამალავიდან. საცხოვრებელი ერთეულების ზრდასა და ოჯახების სიდიდის შემცირებასთან ერთად გაიზარდა საცხოვრებელი ფართი ერთ ადამიანზე, რაც სახლს უფრო მყუდროს ხდიდა. და მართლაც, სახლში გატარებული დრო 1990-იან წლებში გაიზარდა. მეორე მხრივ, ახალი ელექტრონულმა სახლმა და პორტატიულმა საკომუნიკაციო მოწყობილობებმა გაზარდეს ოჯახის ცალკეულ წევრთა შანსები მოეხდინათ საკუთარი დროისა და დასვენების ორგანიზება. მაგალითად, ღუმელებმა, რომლებიც უზრუნველყოფს წინასწარ მომზადებული კერძების ინდივიდუალურ მოხმარებას, შეამცირეს ოჯახური სადილების რაოდენობა. ინდივიდუალური სასადილო ნაკრები “ტელევიზორთან” წარმოადგენს მზარდ ბაზარს. პორტატიული აუდი - და ვიდეოპლეერები, რომლებიც ყუველგან შეიძლება გამოიყენო, ტელევიზორზე, რადიომიმღებებსა და CD-პლეერებზე ფასების დაცემასთან ერთად ბევრ ადამიანს აძლევს შესაძლებლობას ინდივიდუალურად დაერთონ არჩეულ აუდიოვიზუალურ სამყაროებში. ოჯახში ბავშვების მოვლა ასევე ტრანსფორმირებულია ელექტრო-მოწყობილობებით: ბავშვებს თვალყურს ადევნებენ გარკვეული მანძილიდან ელექტრონული კონტროლის საშუალებით; კვლევები აჩვენებენ ტელევიზიის ძიძის რანგში გამოყენების ზრდას მაშინ, როცა მშობლები საოჯახო სამუშაოებით არიან დაკავებულნი. ხანდაზმულმა ადამიანებმა, რომლებიც მარტო ცხოვრობენ, მიიღეს სიგნალიზაციის სისტემა საგანგებო სიტუაციის შემთხვევისას მათი გამოყენების მიზნით. და მაინც, როგორც ჩანს, ზოგიერთი სოციალური თვისება გადარჩა ტექნოლოგიური რევოლუციის პირობებში: საშიანო საქმის განაწილებას ქალებსა და მამაკაცებს შორის (ან უფრო მისი არარსებობა) არ შეხება ელექტრონული მოწყობილობები; ვიდეოსა და დისტანციური მოწყობილობების გამოყენება ასახავს ოჯახის წევრთა იერარქიას; ელექტრონული მოწყობილობების გამოყენება დიფერენცირებულია ასაკობრივი და სქესობრივი კატეგორიებით: მამაკაცები უფრო ხშირად იყენებენ კომპიუტერს, ქალები – ყოველდღიურ ელექტროხელსაწყოებს და ტელემატურ (telematic) მომსახურებას, ბავშვები კი – ვიდეოთამაშებს.

ახალი ელექტრონული საშუალებები არ არის განცალკევებული ტრადიციული კულტურებისაგან – ისინი ახდენენ მათ აბსორბირებას. ამის მაგალითია 1990-იან წლებში მთელ აზიაში სწრაფად გავრცელებული იაპონური გამოგონება კარაოკე, რომელიც, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში შეაღწევს დანარჩენ მსოფლიოშიც. 1991წ. კარაოკემ იაპონიაში მოიცვა საკურორტო სასტუმროების 100% და ბარებისა და კლუბების 90%. ამასვე უნდა დაემატოს კარაოკეს სპეციალიზირებული დარბაზების ბუმი – 1989წ. 2000-იდან 1992წ. 107000-ზე მეტი დარბაზი არსებობდა. 1992წ. კარაოკეში მონაწილეობდა იაპონელთა დაახ. 52%, მათ შორის ყველა არასრულწლოვან გოგონათა 79%. ერთი შეხედვით, კარაოკე აფართოებს და ამყარებს ტრადიციულ ჩვევას ერთად სიმღერისა ბარებში, ჩვევას, რომელიც საკმაოდ პოპულარულია იაპონიაში ისევე, როგორც ეს იყო (და არის) ესპანეთსა თუ გაერთიანებულ სამეფოში. ამრიგად, ის გვერდს უვლის ელექტრონულ კომუნიკაციას. თუმცა, რეალურად ის ახდენს ამ ჩვევის ინტეგრირებას პროგრამულ მანქანაში, მომღერალი მისდევს მუსიკალურ რიტმს და რეპერტუარს, იმეორებს რა სიტყვებს, რომელიც ეკრანზე ჩნდება. მეგობრებთან შეჯიბრისას მიღწეული წარმატება და საუკეთესო ქულის მოპოვება დამოკიდებულია იმ ჯილდოზე, რომელსაც მანქანა აძლევს ყველას, რომელიც საუკეთესოდ მისდევს ამ ტემპს. მანქანა კარაოკე არ არის

მუსიკალური ინსტრუმენტი: მომდერალი შთაინთქმება მანქანის მიერ, რათა შეავსოს მისი ბგერები და სახეები. როდესაც კარაოკეს დარბაზში ჩვენ ვხდებით მუსიკალური ჰიპერტექსტის ნაწილი, ჩვენ ფიზიკურად შევდივართ მულტიმედია სისტემაში და გამოვყოფთ ჩვენ სიმღერას ჩვენი მეგობრების სიმღერისაგან, რომლებიც ელოდებიან საკუთარ რიგს, რათა შეცვალონ ტრადიციული სიმღერის გუნდი ცალკეული შესრულების წრფივი თანმიმდევრულობით.

საერთო ჯამში, ევროპაში, ასევე ამერიკასა თუ აზიაში, მულტიმედია, როგორც ჩანს, საკუთარი განვითარების ადრეულ სტადიაზე კი, მხარს უჭერს სოციალურ/კულტურულ სტრუქტურას, რომელიც შემდეგი ნიშნებით ხასიათდება:

პირველი, ფართო სოციალური და კულტურული დიფერენციაციით, რასაც მივყავართ მომხმარებელ/მაცურებლის, მკითხველი/მსმენელის სეგმენტიზაციისაკენ. ცნობები არა მხოლოდ სეგმენტირებულია ბაზრების მიხედვით, მისდევს რა გამგზავნთა სტრატეგიებს, არამედ სულ უფრო დივერსიფიცირდება მომხმარებლის მიერ, რომლებიც საკუთარი ინტერესების შესაბამისად იტაცებენ ინტერაქტიული შესაძლებლობების უპირატესობებს. როგორც ზოგიერთი ექსპერტი აღნიშნავს, ახალ სისტემაში “საუკეთესო დრო – ეს ჩემი დროა”. ვირტუალურ თანამეგობრობთა ფორმირება არის მხოლოდ ერთ-ერთ გამოვლინება ამგვარი დიფერენციაციისა.

მეორე, სოციალური სტრატეგიკაციის ზრდა მომხმარებლებს შორის. მულტიმედიის არჩევა შეზღუდული იქნება არა მხოლოდ ადამიანებით, რომელთაც აქვს ხელმისაწვდომობისათვის საჭირო დრო და ფული, და ქვეყნებით, რომელთაც გააჩნიათ საკმარისი საბაზრო პოტენციალი; თითოეული მომხმარებლის სიკეთისათვის ურთიერთქმედების გამოყენებაში გადამწყვეტი იქნება კულტურულ/საგანმანათლებლო განსხვავებები. ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ საით ვიცქიროთ და ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ გამოვიყენოთ ცნობა, იქნება არსებითი სისტემის ნამდვილი აღქმისათვის, რაც განსხვავდება სტანდარტულად განწყობილი მკვ-ისაგან. **ამრიგად, მულტიმედიის სამყარო ორი განსხვავებული პოპულაციით: ურთიერთქმედი და ურთიერთქმედებაში ჩართული პოპულაციებით, იქნება დასახლებული** ანუ მათ მიერ, რომელთაც კომუნიკაციის საკუთარი მულტიმომართული ჯაჭვის არჩევა შეუძლიათ, და მათ მიერ, რომელთაც არჩევანის წინასწარ “შეფუთული” ვარიანტების შეზღუდული რაოდენობით მოამარაგებენ. და პასუხი კითხვაზე, “ვინ ვინ არის”, ძირითადად კლასით, რასით, სქესითა და ქვეყნით განისაზღვრება. მასობრივი ტელევიზიის (რომლისგანაც წარსულში მხოლოდ პატარა კულტურული ელიტა იყო განყენებული) უნიფიცირებადი კულტურული ძალაუფლება ახლა სოციალურად სტრატეგიცირებადი დიფერენციაციით იცვლება, რომელსაც კულტურულად განწყობილი მკვ-ისა და ერთობათა ინტერაქტიული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის თანაარსებობისაკენ მივყავართ, რომლებიც ამ როლებისათვის საკუთარ თავს თავად ირჩევენ.

მესამე, ერთი და იგივე სისტემაში ყველა ტიპის ცნობის კომუნიკაცია, თუნდაც სისტემა ინტერაქტიული და სელექციური (არსებითად, სწორედ ამის წყალობით) იყოს, ყველა ტიპის ცნობის საერთო კოგნიტიურ სტრუქტურაში ინტეგრაციას ახდენს. აუდიო - ვიზუალური სიახლეების, საგანმანათლებლო გადაცემებისა და შოუების ერთი და იგივე საშუალებით მიღება - ეს არის კიდევ ერთი ნაბიჯი შინაარსის აღრევისა, რასაც მასობრივ ტელევიზიაში უკვე აქვს ადგილი. საშუალების თვალსაზრისით, სხვადასხვა ტიპის კომუნიკაციები მიდრეკილნი არიან ერთმანეთისაგან პრინციპები აიღონ: ინტერაქტიული საგანმანათლებლო პროგრამები ვიდეო თამაშებს ჰგავს; ახალი ამბების გამოშვებები აიგება როგორც აუდიოვიზუალური შოუები; სასამართლო პროცესების ტრანსლირება ხდება როგორც “საპნის ოპერისა”; პოპ-მუსიკა იწერება MTV-სათვის; სპორტული თამაშები იდგმება ქორეოგრაფების მიერ ტელემაცურებლებისათვის, რომლებიც გარკვეულ მანძილზე

იმყოფებიან, ასე რომ, გადაცემები სულ უფრო ნაკლებად განსხვავდება ფილმებისაგან სტილში action; და ა.შ (350). მომხმარებლის თვალსაზრისით (და როგორც გამგზავნის, ასევე როგორც მიმღების ინტერაქტიულ სისტემაში), განსხვავებული ცნობის არჩევა ერთი და იგივე საკომუნიკაციო ფორმაში ერთიდან მეორეზე მარტივი გადართვით ამცირებს მენტალურ მანძილს კოგნიტიური და სენსორული ჩართულობის განსხვავებულ წყაროებს შორის. პრობლემა იმაში კი არ არის, რომ საშუალება არის ცნობა: ცნობა არის ცნობა. და რამდენადაც ისინი ინარჩუნებენ საკუთარ განმასხვავებელ ნიშანს, როგორც ცნობები, იმასთანავე არიან რა აღრეულნი სიმბოლურ კომუნიკაციურ პროცესში, მათი კოდები ერწყმის ერთმანეთს ამ პროცესში და ქმნის მრავალფეროვან სიმბოლურ კონტექსტს, რომელიც წარმოიშობა განსხვავებულ მნიშვნელობათა შემთხვევითი ნარევისაგან.

დაბოლოს, შესაძლებელია, რომ მულტიმედიის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი საკუთარ სფეროში მოიცავენ კულტურული გამოხატვის სახეთა უმრავლესობას მთელ მათ მრავალფეროვნებაში. მათი მოსვლა უტოლდება გაყოფის დასასრულს, მასობრივი ინფორმაციის აუდიოვიზუალურ საშუალებებსა და საბეჭდ საშუალებებს ხელმისაწვდომ და მაღალ კულტურას, გართობასა და ინფორმაციას, გართობასა და პროპაგანდას შორის განსხვავებებსაც კი. კულტურის ყველა გამოვლინება, უარესიდან უკეთესისაკენ, ყველაზე ელიტარულიდან ყველაზე პოპულარულამდე, ერთიანდება ამ ციფრულ სამყაროში, რომელიც გიგანტურ ისტორიულ სუპერტექსტში აკავშირებს კომუნიკაციური აზრების წარსულს, აწმყო და მომავალ გამოვლინებებს. აკეთებს რა ამას, ისინი აშენებენ ახალ სიმბოლურ გარემოს. ისინი ვირტუალურობას აქცევენ ჩვენ რეალობად.

რეალური ვირტუალურობის/ვირტუალურობის კულტურა

კულტურები შექმნილია კომუნიკაციური პროცესებისაგან. როგორც როლან ბარტი და ჟან ბოდრიარი გვასწავლიდნენ მრავალი წლის წინ, კომუნიკაციის ყველა ფორმა ეფუძნება ნიშანთა წარმოებასა და მოხმარებას. ამრიგად, არ არსებობს განსხვავება რეალობასა და სიმბოლურ ასახვას შორის ყველა საზოგადოებაში კაცობრიობა არსებობდა სიმბოლურ გარემოში და მოქმედებდა მისი საშუალებით. ამიტომაც, ახალ კომუნიკაციურ სისტემაში, რომელიც ორგანიზებულია ყველა სახის კომუნიკაციის ელექტრონული ინტეგრაციის ირგვლივ, ტიპოგრაფიულიდან მულტისენსორულამდე, ისტორიულად სპეციფიკურ ნიშანს წარმოადგენს არა ვირტუალური რეალობის ფორმირება, არამედ რეალური ვირტუალურობის მშენებლობა. მე ამას ავხსნი განმარტებითი ლექსიკონის დახმარებით. **“ვირტუალური** – პრაქტიკაში არსებული, თუმცა არა მკაცრად მოცემულ ფორმაში ან მოცემული სახელით” და **“რეალური** – ფაქტობრივად არსებული”. ამრიგად, რეალობა ისე, როგორც ის განიცდება, ყოველთვის იყო ვირტუალური – ის განიცდებოდა სიმბოლოების საშუალებით, რომლებიც ყოველთვის ანიჭებენ პრაქტიკას გარკვეულ მნიშვნელობას, გვერდზე განუდგება რა მათ მკაცრ სემანტიკურ განსაზღვრებას. ენის ყველა ფორმის სწორედ ეს უნარი, მოახერხოს ორანოვანების კოდირება და გახსნას ინტერპრეტაციათა მრავალფეროვნება განსხვავებს კიდევ კულტურულ გამოხატვას ფორმალური/ლოგიკური/მათემატიკური განსჯისაგან (351). ადამიანი ტვინიდან მომდინარე შეტყობინებათა სირთულე და წინააღმდეგობრიობაც კი ახდენს საკუთარ გამოხატვას სწორედ ჩვენი დისკურსების მრავალმნიშვნელობით. ცნობათა შინაარსის კულტურულ ვარიაციათა დიაპაზონი გვამღვეს სწორედ ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალებას განზომილებათა – იმპლიციტურ და ექსპლიციტურ – მრავალფეროვნებაში. მამ ასე, როცა ელექტრონული მკს-ის კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ახალი სიმბოლური გარემო არ ასახავს რეალობას, ისინი

ქვეცნობიერად მიმართავენ რეალური გამოცდილების “არაკოდირებულ” აბსურდულად პრიმიტიულ გაგებას, რომელიც არასოდეს არსებობდა. ყველა რეალობა გადაიცემა სიმბოლოებით. და ადამიანურ, ინტერაქტიულ კომუნიკაციაში, მიუხედავად საშუალებებისა, ყველა სიმბოლო მეტ-ნაკლებად აღრეულია მათთვის დადგენილ სიმბოლურ მნიშვნელობებთან მიმართებაში. გარკვეული აზრით, მთელი რეალობა აღიქმება ვირტუალურად.

რადას წარმოადგენს კომუნიკაციური სისტემა, რომელიც წარსულის ისტორიული გამოცდილების საწინააღმდეგოდ ქმნის *რეალურ ვირტუალობას?* ეს არის – სისტემა, რომელშიც თვით რეალობა (ანუ, ადამიანთა მატერიალურ/სიმბოლურ არსებობა) მთლიანად მოცულია, სრულად ჩაფლულია ვირტუალურ სახეებში, გამოგონილ სამყაროში, სადაც გარეგნული გამოხატულებანი იმყოფება არა უბრალოდ ეკრანზე, რომლის საშუალებითაც გადაიცემა გამოცდილება, არამედ თავად იქცევიან გამოცდილებად. ყველა სახის ყველა ცნობა მოცემულია საშუალებაში, რადგანაც საშუალება იქცა იმდენად ყოვლისმომცველად, იმდენად მრავალფეროვნულად, იმდენად მორჩილად, რომ ერთსა და იმავე მულტიმედიატექსტში ახერხებს ადამიანური გამოცდილების აბსორბირებას, როგორც სამყაროს ისეთ უნიკალურ წერტილში, რომელსაც ხორხე ლუის ბორხესმა “ალეფი” უწოდა. მომეცით უფლება, მაგალითი მოვიყვანო.

1992 წლის ამერიკულ საპრეზიდენტო კამპანიაში მაშინდელ ვიცე-პრეზიდენტს დენ ქვეილს სურდა ტრადიციული ოჯახური ღირებულებების დამცველის პოზიცია დაეჭირა. საკუთარი მორალური შეხედულებებით შეიარაღებულმა ქვეილმა მოახდინა უჩვეულო დისკუსიის ინიცირება მერფი ბრაუნთან. მერფი ბრაუნი, რომელსაც საიცარი მსახიობი ქალი კენდის ბერგენი ასახიერებდა, იყო მთავარი გმირი სატელევიზიო “საპნის ოპერისა” და განასახიერებდა ახალი ტიპის ქალის ღირებულებებსა და პრობლემებს: მარტოხელა მომუშავე სპეციალისტს ქვევის საკუთარი კრიტერიუმებით. საპრეზიდენტო კამპანიისას მერფი ბრაუნმა (არა კენდის ბერგენმა) გადაწყვიტა ჰყოლოდა შვილი ქორწინების გარეშე. ვიცე-პრეზიდენტმა ქვეილმა იჩქარა განეხილა მისი საქციელი, როგორც შეუფერებელი, რითაც გამოიწვია აღშფოთების მთელი ტალღა, განსაკუთრებით მომუშავე ქალებს შორის. მერფი ბრაუნმა (და არა უბრალოდ კენდის ბერგენმა) სამაგიერო გადაუხადა მას: შემდეგ ეპიზოდში ის გამოჩნდა ტელევიზორის წინ, ადევნებდა რა თვალყურს ინტერვიუს, სადაც ვიცე-პრეზიდენტი ქვეილი აკრიტიკებდა მას, და გამოხატა საკუთარი პოზიცია – მკაცრად განსაჯა პოლიტიკოსთა ჩარევა ქალების პირად ცხოვრებაში და შეეცადა დაეცვა საკუთარი უფლება ჰქონოდა ახალი მორალი. ამის შედეგად, სერიალმა “მერფი ბრაუნი” გაზარდა საკუთარი აუდიტორია, ხოლო დენი ქვეილის მოძველებულმა კონსერვატივმა განაპირობა არჩევნებში პრეზიდენტ ბუშის დამარცხება (352). ორივე მოვლენა იყო რეალური და გარკვეული აზრით, სოციალურად მნიშვნელოვანი. თუმცაღა რეალურისა და გამოგონილის ახალი ტექსტი აიგებოდა დიალოგის საშუალებით. მერფი ბრაუნის გამოგონილი სამყაროს დაუგეგმავმა ჩართვამ რეალურ საპრეზიდენტო კამპანიაში მაყურებლებში გამოიწვია ქვეილის (ან, უფრო მეტად, მისი რეალური სატელევიზიო იმიჯის) გადაქცევა პერსონაჟად მერფი ბრაუნის გამოგონილი ცხოვრებიდან: სუპერტექსტი აიგო ერთი და იგივე დისკურსში მძაფრად მტკიცებადი ცნობების შერევით, რომელიც მოდიოდა გამოცდილების ორივე დონიდან. ამ შემთხვევაში, ვირტუალობა (რომელიც ნიშნავდა იმას, რომ მერფი ბრაუნი პრაქტიკაში იყო ისეთი, როგორც ბევრი ქალი, თუმცაღა არც ერთი მათგანი არ გამოდიოდა ამ სახელით) იქცა რეალობად იმ თვალსაზრისით, რომ მან პრაქტიკულად მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რეალობაში ყველაზე დიდი ძალაუფლების მქონე პოლიტიკოსის არჩევის პროცესზე. ცხადია, ეს მაგალითი უკიდურესი და უჩვეულოა, მაგრამ მე მჯერა, რომ ის ახდენს ჩემი ანალიზის ილუსტრირებას და ამცირებს მისი აბსტრაქტულობის გაურკვეველობას. იმ

იმედით, რომ ეს ასეა, მომეცით უფლება, რაღაც დავაზუსტო.

ის, რაც ახასიათებს კომუნიკაციის ახალ სისტემას, რომელიც ეფუძნება კომუნიკაციის მრავალი სახის ციფრულ, ქსელურ ინტეგრაციას – არის მისი ჩართულობა და მის მიერ კულტურის ყველა გამოვლინების მოცვა. მისი არსებობის წყალობით, ახალი ტიპის საზოგადოებაში ყველა სახის შეტყობინება მუშაობს ბინარულ რეჟიმში: კომუნიკაციურ მულტიმედია-სისტემაში ყოფნა ან არყოფნა. მხოლოდ ყოფნა ამ ინტეგრირებულ სისტემაში იძლევა შეტყობინების გადაცემისა და სოციალიზაციის საშუალებას. ყველა დანარჩენი შეტყობინება დაყვანილია ინდივიდუალურ წარმოდგენაზე ან სულ უფრო მარგინალიზირებულ სუბკულტურამდე, სადაც ბატონობს პირადი კონტაქტები. საზოგადოების თვალსაზრისით, *კომუნიკაცია ელექტრონულ საფუძველზე (ტიპოგრაფიული, აუდიოვიზუალური ან კომპიუტერული) არის კიდევ კომუნიკაცია (352)*. თუმცა აქედან არ გამომდინარეობს, რომ ადგილი აქვს კულტურის გამოვლინების ჰომოგენიზაციის პროცესს და კოდებზე სრულ ბატონობას რამდენიმე გამგზავნის მხრიდან, რომელთაც ცენტრალური პოზიცია უჭირავთ. ახალი კომუნიკაციური სისტემის სწორედ დივერსიფიცირების, მულტიმოდალურობისა და არასიმყარის გამო მას შეუძლია მოახერხოს გამოხატვის ყველა ფორმის მოცვა და ინტეგრირება, ისევე როგორც ინტერესთა, ღირებულებათა და წარმოდგენათა მრავალგვარობა, სოციალურ კონფლიქტთა ჩართვით. მაგრამ სისტემაში ჩართულობის ფასი – ეს არის ადაპტირება მის ლოგიკასთან, მის ენასთან, გამოსვლის მის წერტილებთან, მის კოდირებასთან და დეკოდირებასთან. აი, რატომ არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი სოციალური ეფექტის განსხვავებული სახისათვის ის, რომ განვითარდეს ინტერნეტის მსგავსი კომუნიკაციის მრავალკვანძოვანი, ჰორიზონტალური ქსელი ცენტრალური სადისპეტჩეროს მქონე მულტიმედია-სისტემის ნაცვლად, როგორც ეს არის კონფიგურაციაში “ვიდეო შეკვეთით”. ამ კომუნიკაციურ სისტემაში შეღწევის გზაზე ბარიერების აღმართვა და სისტემის საშუალებით პაროლების შექმნა შეტყობინებათა ცირკულაციისა და გავრცელებისათვის არის ახალი საზოგადოებისათვის ბრძოლის გადამწყვეტი მოვლენა, რომლის შედეგებიც განსაზღვრავენ სიმბოლურად გაშუალებული კონფლიქტების ბედს, რომლებიც გაჩაღდება ახალ ისტორიულ გარემოში. იმ ტერმინოლოგიის გამოყენებით, რომელიც ადრე შემოგთავაზებთ ის, თუ ვინ ურთიერთქმედებს და ვინ იქნება ჩართული ურთიერთქმედებაში ახალ სისტემაში განსაზღვრავს კიდევ ძირითადად დომინირების სისტემას და გათავისუფლების პროცესს ახალ ინფორმაციულ საზოგადოებაში.

ინტეგრირებულ კომუნიკაციურ სისტემაში კულტურულ გამოხატულებათა ჩართულობას, რომლებსაც ფესვები ციფრულ ელექტრონულ წარმოებაში, განაწილებასა და სიგნალების გაცვლაში აქვს, მნიშვნელოვანი შედეგები მოაქვს სოციალური პროცესებისა და ფორმებისათვის. ერთი მხრივ, ის მნიშვნელოვნად ასუსტებს შეტყობინებათა ტრადიციული გამგზავნების ძალაუფლებას, რომლებიც გარეგნულნი არიან სისტემისათვის: ძალაუფლებას, რომელიც გადაეცემა ისტორიულად კოდირებული სოციალური ჩვევებით: რელიგია, მორალი, ავტორიტეტი, ტრადიციული ღირებულებები, პოლიტიკური იდეოლოგია. ისინი კი არ ქრებიან, არამედ სუსტდებიან, თუ არ ახდენენ საკუთარი თავის კოდირებას კვლავ ახალ სისტემაში, სადაც მათი ძალაუფლება მრავლდება სულიერ-გონითად გადაცემული ჩვევების ელექტრონული მატერიალიზაციით: ელექტრონული ქადაგებანი და ინტერაქტიული ფუნდამენტალური ქსელები არის უფრო ეფექტური, ინდოქტრინაციის უფრო საინტერესო ფორმა ჩვენ საზოგადოებებში, ვიდრე პირადი კონტაქტისას შორეული ხარიზმატული ავტორიტეტის ზემოქმედება. მაგრამ, ვუშვებთ რა დედამიწაზე ტრანსცენდენტური ქადაგებების, პორნოგრაფიის “შეკვეთით”, “საპნის ოპერების” და ჩატ-ხაზების თანაარსებობას, უმაღლესი სულიერ-გონითი ძალები ჯერ კიდევ იპყრობენ ადამიანთა სულებს,

მაგრამ კარგავენ თავიანთ ზოგად ადამიანურ სტატუსს. ამას მოსდევს საზოგადოების სეკულარიზაციის ეტაპი, თუნდაც ნებისმიერი სარწმუნოების და სავაჭრო ნიშნებით რელიგიის მოჩვენებითი გამოყენების პარადოქსულ ფორმას იღებდეს. საზოგადოებები საბოლოოდ და ნამდვილად იმედგაცრუებულია, რადგანაც ყველა საოცრება – on-line არის და მათი შეერთებ აშესაძლებელია დამოუკიდებლად აგებულ ხატოვან სამყაროში.

მეორე მხრივ, ახალი კომუნიკაციური სისტემა დროისა და სივრცის, ადამიანური ცხოვრების ფუნდამენტური განზომილებების რადიკალურ ტრანსფორმაციას ახდენს. ადგილები კარგავენ საკუთარ კულტურულ, ისტორიულ, გეოგრაფიულ მნიშვნელობას და რეინტეგრირდებიან ფუნქციონალურ ქსელებში ან ხატოვან კოლაჟებში, ცხოვრებისაკენ უხმობენ რა ნაკადების სივრცეს, რომლებიც ანაცვლებენ ადგილთა სივრცეს. დრო იშლება ახალ კომუნიკაციურ სისტემაში: წარსულის, აწმყოსა და მომავლის პროგრამირება ისეა შესაძლებელი, რომ მათ შეეძლოთ ურთიერთზემოქმედება ერთსა და იმავე შეტყობინებაში. ახალი კულტურის მატერიალურ ფუნდამენტს წარმოადგენს ნაკადების სივრცე და არადროული დრო. ეს კულტურა ფარავს და მოიცავს ისტორიაში გადმოცემულ ასახვის სისტემის მრავალფეროვნებას; ეს არის რეალური ვირტუალობის კულტურა, სადაც გამოგონილი სამყარო არის გამოგონება საკუთარი თავის შექმნის პროცესში.

ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუცია – როგორი რევოლუცია?

მეოცე საუკუნის დასასრულის და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში მსოფლიო განიცდის თავის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე იშვიათი სახის რევოლუციურ ცვლილებას, რომელიც ხასიათდება **"მატერიალური კულტურის"** ტრანსფორმაციით. ეს ტრანსფორმაცია კი მიმდინარეობს ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ახალი ტექნოლოგიური პარადიგმის მიხედვით.

ტექნოლოგია კი სხვა არაფერია თუ არა მეცნიერული ცოდნის გამოყენება ნივთთა და საგანთა კვლავწარმოებადი მანერით დამზადების წესების განსასაზღვრავად.

ინფორმაციულ ტექნოლოგიაში შედის: მიკროელექტრონიკაში არსებული მსგავსი ტექნოლოგიები, გამოთვლითი ტექნიკის (მანქანები და პროგრამული უზრუნველყოფა), ტელეკომუნიკაციის (მაუწყებლობისა და ოპტიკურ-ელექტრონული მრეწველობის) ქმნილებები. ასევე **ინფორმაციულ ტექნოლოგიებში** შედის **გენური ინჟინერია**, მრავალი მისი მიღწევა თუ გამოყენება. ამის საფუძველს კი გვაძლევს ის, რომ პირველი – გენური ინჟინერია მიმართულია ცოცხალი მატერიის ინფორმაციული კოდების დეკოდირებაზე, მართვასა და შესაძლო ხელახალ დაპროგრამება-გადაპროგრამებაზე. მეორე – მეოცე საუკუნის დასასრულის ბიოლოგია, ელექტრონიკა და ინფორმატიკა ძალიან დაუახლოვდნენ ერთმანეთს ახალი მასალების აღმოჩენისა და გამოყენების სფეროში და რაც ყველაზე ფუნდამენტურია, ისინი უახლოვდებიან თავიანთ კონცეპტუალურ მიდგომებშიც.

– ინფორმაციული ტექნოლოგიების ამ ბირთვის ირგვლივ იქმნება დღეს ახალი მასალების, ენერჯის წყაროების, მედიცინაში, საწარმოო ტექნიკაში (ნამდვილსა თუ პოტენციურში ისეთში როგორიცაა ნანოტექნოლოგია) დიდი ტექნოლოგიური გარღვევებისა თუ მიღწევების მთელი თანავარსკვლავედი. აქვე შედის სატრანსპორტო ტექნოლოგიებში მომხდარი ცვლილებებიც.

– გარდა ამისა ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის დღევანდელი პროცესი ექსპონენციალურად ვითარდება, რამდენადაც მას უნარი აქვს შექმნას ტექნოლოგიურ ველებს შორის საერთო ციფრული ენის მეშვეობით ინტერფეისი, რომელზეც ინფორმაცია იქმნება, ინახება, ამოიღება, მუშავდება და

გადაცემა. თუ ნიკოლას Nნეგროპონტეს სიტყვებს გამოვიყენებთ "დღეს ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიოში, რომელიც ციფრული გახდა".

– ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუცია ისეთივე და იმდენადვე დიდი ისტორიული მოვლენაა, როგორც 18-ე საუკუნის ინდუსტრიული რევოლუცია, რომელმაც გარდატეხა გამოიწვია საზოგადოების, ეკონომიკის და კულტურის საფუძველში.

– ტექნოლოგიურ რევოლუციას ისტორია გვიჩვენებს, რომ ისინი ყოველსმომცველი გავლენით ხასიათდებოდნენ – იჭრებოდნენ რა ადამიანური საქმიანობის ყველა სფეროში, ისინი ახდენდნენ არა გარეგან ზემოქმედებას, არამედ თავად იქცეოდნენ იმ ქსოვილად, რომელშიც ასეთი საქმიანობაა ჩაწნული. ანუ, ახალი პროდუქტების ინდუსტრიების (წარმოების) გარდა იგი თავად პროცესზეა მიმართული და ორიენტირებული.

– გარდა ამისა, ყველა სახის ტექნოლოგიური რევოლუციისაგან განსხვავებით, იმ ტრანსფორმაციების – ცვლილებების ბირთვი, რომლებსაც მსოფლიო დღეს განიცდის – დაკავშირებულია: ინფორმაციისა და კომუნიკაციის დამუშავების ტექნოლოგიებთან.

– ელექტრონიკაზე დაფუძნებული ინფორმაციული ტექნოლოგიები მეხსიერების შეუდარებელ მოცულობას, ინფორმაციული ბითის შერწყმისა და გადაცემის შეუდარებელ სისწრაფეს ფლობს. ვისაც კი Word-პროცესორზე უმუშავია, ყველა აღიარებს, რომ სწორედ ელოექტრონული ტექსტი გვაძლევს ტექსტის უკუკავშირების, ურთიერთქმედების და გადამუშავება-- გარდაქმნის დიდ და არსებით მოქნილობას, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ თავად კომუნიკაციის პროცესს ცვლის.

On-Line-ს კომუნიკაცია – შერწყმული ტექსტის მოქნილობასთან საშუალებას იძლევა განვახორციელოთ საყოველთაო, ასინქრონული სივრცე/ დროული პროგრამირება – ყოველივე ეს ეხება ინფორმაციულ ტექნოლოგიას ტექნიკურ მხარეს და ეფექტურობას.

– რაც შეეხება სოციალურ ეფექტებს, იგი გამოიხატება იმით, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ზემოქმედების სიღრმე სოციალურ სტრუქტურაში ინფორმაციის შეღწევის ფუნქციაა. მაგალითად, მართალია წიგნის ბეჭდვამ შუა საუკუნეების ჩინეთსა და ახალი დროის ევროპაში არსებითი გავლენა იქონია საზოგადოებაზე, მაგრამ მისი ზემოქმედება მოსახლეობის თითქმის სრული გაუნათლებლობითა და წარმოების სტრუქტურებში ინფორმაციის დაბალი ინტენსივობით იყო შეზღუდული. ინდუსტრიულმა საზოგადოებამ კი იმით, რომ მოქალაქეებს მისცა განათლება და ეკონომიკაც თანადათანობით ინფორმაციისა და ცოდნის გარშემო მოაწყო, მოამზადა ნიადაგი ადამიანური აზრის გაძლიერებისათვის, როდესაც ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომი გახდა.

– ინფორმაციული რევოლუციისათვის ინფორმაციული ტექნოლოგია იგივეა, რაც ენერჯის ახალი წყაროები – დაწყებული ორთქლის მანქანებით, ელექტროობით, წიაღისეული სიმდიდრეებით და თვით ატომური ენერჯით დამთავრებული – იყო ინდუსტრიული რევოლუციისათვის, რამდენადაც ენერჯის წარმოება და განაწილება ინდუსტრიული საზოგადოების საკვანძო ელემენტი იყო.

– მაგრამ ინფორმაციული ტექნოლოგიის არსებითი და უმნიშვნელოვანესი როლის შესახებ მტკიცებას ხშირად ურევენ იმასთან, რომ დღეს მიმდინარე რევოლუცია არსებითად დამოკიდებულია ახალ ინფორმაციასა და ცოდნაზე. ეს მართალია მხოლოდ მაშინ, როდესაც ტექნოლოგიური ცვლილებების მიმდინარე პროცესზე ვსაუბრობთ, მაგრამ ამგვარი რამ ასევე ახასიათებდა წინამორბედ ტექნოლოგიურ რევოლუციებსაც. პირველი ინდუსტრიული რევოლუცია მართალია არ ემყარებოდა მეცნიერებას, მაგრამ მაინც დამყარებული იყო ინფორმაციის ფართოდ გამოყენებაზე, იყენებდა და ავითარებდა რა მანამდე არსებულ ცოდნას. მეორე ინდუსტრიული რევოლუცია განსაკუთრებით 1850 წლის შემდეგ ნამდვილად ხასიათდებოდა ინოვაციების განვითარებაში მეცნიერების გადამწყვეტი

როლით. НИОКР-ის მეცნიერული ლაბორატორიები პირველად XIX-ე საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში გერმანიის ქიმიურ მრეწველობაში გამოჩნდნენ.

– დღეს მიმდინარე ტექნოლოგიურ რევოლუციას ახასიათებს არა ინფორმაციისა და ცოდნის ცენტრალური როლი, არამედ ცოდნისა და ინფორმაციის გამოყენება ისეთი ცოდნისა და მოწყობილობების გენერირებისათვის, რომლებზეც ამუშავენ ინფორმაციებს და ახორციელებენ კომუნიკაციებს ინოვაციებსა და ინოვაციების გამოყენების მიმართულებებს შორის უკუკავშირის კუმულაციურ ყულფში. ამ დებულების კარგი ილუსტრაცია ა შემდეგი:

– ახალი ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებამ უკანასკნელ ორ ათწლეულში სამი გამოკვეთილი ეტაპი გაიარა: **ამოცანების ავტომატიზაცია; ექსპერიმენტირება გამოყენებაზე, გამოყენების რეკონფიგურაცია.** პირველ ორ ეტაპზე ტექნოლოგიური ინფორმაციები პროგრესს განიცდიდა იმით, თუ როგორ სწავლობდნენ მათ გამოყენებას. მესამე საფეხურზე, სტადიაზე გამომყენებლები **სწავლობენ ტექნოლოგიებს**, მაგრამ ამავე დროს **ქმნიან მათ, ამდიდრებენ და გარდაქმნიან ქსელებს**, პოულობენ გამოყენების ახალ სფეროებს. ახალი ტექნოლოგიების შემოყვანას, მის გამოყენებას და ახალ სფეროებში წინ წაწევას შორის **უკუკავშირი** ახალ ტექნოლოგიურ პარადიგმაში ბევრად მეტად სწრაფად მიმდინარეობს. შედეგად, **ტექნოლოგიის გავრცელება** უსასრულოდ აფართოებს მის ძლიერებას იმ ზომით, რა ზომითაც ეს ტექნოლოგიები აითვისება და **ახლებურად განისაზღვრება** მისი მომხმარებლების თუ მომსახურეთა მიერ.

– ახალი ინფორმაციული **ტექნოლოგიები** უბრალოდ გამოსაყენებელი **ინსტრუმენტები** კი არ არიან, არამედ წარმოადგენენ პროცესებს, რომელთა შემუშავება არის საჭირო. **მომხმარებელი** და **გამომგონებელი** (შემქმნელი) ერთ პიროვნებაში შეიძლება გაერთიანდეს. მაგ. მომხმარებელმა შეიძლება ხელში ჩაიგდოს ტექნოლოგიაზე კონტროლი, როგორც ეს მოხდა ინტერნეტის შემთხვევაში (იხ. თავი V).

– აქედან კი გამომდინარეობს მჭიდრო კავშირი სიმბოლოების შექმნისა და მანიპულირების (საზოგადოების კულტურა) სოციალურ პროცესებსა და საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და განაწილების უნარს (საწარმოო ძალებს) შორის.

– პირველად კაცობრიობის ისტორიაში ადამიანის აზრი უშუალო საწარმოო ძალა გახდა და არა უბრალოდ წარმოების სისტემის გადაწყვეტი მნიშვნელობის ელემენტად დარჩა.

– ამგვარად, **კომპიუტერები, საკომუნიკაციო სისტემები, გენეტიკური დეკოდირება და პროგრამირება** – **ადამიანური აზრის გაძლიერებას და გაფართოებას ემსახურება.** ის, რასაც ჩვენ ვფიქრობთ და როგორადაც ვფიქრობთ გამოხატულებას საქონელს, მომსახურებასა, მატერიალურსა და ინტელექტუალურ პროდუქციაში – იქნება ეს საკვები, ბინა, სატრანსპორტო თუ საკომუნიკაციო სისტემები, კომპიუტერები, რაკეტები, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა თუ გამოსახულებები – სახეები – პოულობს.

– მანქანებსა და აზრებს შორის მზარდი ინტეგრაცია, დნმ-ის მექანიზმის ჩათვლით, აუქმებს და ლიკვიდაციას უკეთებს "მეოთხე განზომილებას" (ბრიუს მაზლიში) (ესაა განხეთქილება ადამიანებსა და მანქანებს შორის). ამგვარი ინტეგრაცია კი ფუნდამენტურად ცვლის იმას, თუ როგორ ვიზადებით, ვცოცხლობთ, ვსწავლობთ, ვმუშაობთ, ვქმნით, ვაწარმოებთ, ვიბრძვით თუ ვკვდებით.

– რასაკვირველია კულტურული და ინსტიტუციური კონტექსტები და მიზანდასახული, რაციონალური სოციალური მოქმედებები ძლიერ კავშირში იმყოფებიან, უფრო სწორად, არსებით ურთიერთქმედებაში არიან ახალ ტექნოლოგიურ სისტემებთან, მაგრამ ამ სისტემას უკვე თავისი მყარი ლოგიკა აქვს, რომელიც მასში შეტანილი მთელი ინფორმაციის საერთო ინფორმაციულ

სისტემაში გადაყვანის და ასეთი ინფორმაციის პოტენციურად ყოვლისმომცველ სამიზნო და გამნაწილებელ ქსელში მზარდი დანახარჯებით ჩართვის უნარით ხასიათდება.

– კიდევ ერთი არსებითი ნიშანი, რომლითაც თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიური რევოლუცია განსხვავდება მისი წინამორბედებისაგან, ისაა, რომ ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები ელვისებურად გავრცელდნენ მთელს მსოფლიოში სულ რაღაც 20 წლის ინტერვალით, 1970-იანი წლების შუა ხანებიდან 1990-იანი წლების შუა ხანებამდე. რითაც დემონსტრირება გაუკეთდა იმას, რასაც მ. კასტელსი ტექნოლოგიური რევოლუციის დამახასიათებელ ნიშნად თვლის: **ესაა საკუთარი თავის განვითარებისათვის მის მიერვე შექმნილი ტექნოლოგიების დაუყოვნებლივი გამოყენება, რითაც მსოფლიოს ერთიან მთელად აკავშირებს.** რასაკვირველია, მსოფლიოში ჯერ კიდევ რჩება დიდი სფეროები და მოსახლეობის მნიშვნელოვანი სეგმენტები. რომლებიც არ არიან ჩართული ახალ ტექნოლოგიურ სისტემაში – სწორედ ამაში არის კიდევ ამ წიგნის ერთერთი ცენტრალური არგუმენტიც.

– გარდა ამისა, კიდევ აღსანიშნავია ისიც, რომ ტექნოლოგიური გავრცელების სიჩქარე სელექციურია, როგორც სოციალურად, ისე ფუნქციურად. ადამიანებისათვის, ქვეყნებისა და რეგიონებისათვის ტექნოლოგიური სიმძლავრეები სხვადასხვა დროსა და ვადებში ხდება ხელმისაწვდომი – და ამაშია – დღევანდელ მსოფლიოსა თუ საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის კონკრეტულად მნიშვნელოვანი წყარო. კულტურულ და სოციალურ მიმართებებში გამოსული სფეროები განცალკევებულნი არიან, ისინი შეიძლება იმყოფებოდეს ამერიკის დიდი ქალაქების ცენტრებში, ფრანგულ მუშათა გარეუბნებში ისევე, როგორც აფრიკის ქოხებისაგან შემდგარ პატარა ქალაქებში, ჩინეთისა და ინდოეთის ღარიბ სოფლებში. მაგრამ დედამიწის დომინანტური ტერიტორიები, ფუნქციები და სოციალური ჯგუფები უკვე 1990 წლების შუა ხანებში ჩართულნი იყვნენ ახალ ტექნოლოგიურ სისტემაში, რომელმაც ფორმირება მხოლოდ 1970-იან წლებში დაიწყო.

როგორ მოხდა, რომ ეს ფუნდამენტური ტრანსფორმაცია, თუ ისტორიული მასშტაბებით გავზომავთ, ფაქტობრივად წამიერად მოხდა? და რატომ ვრცელდება იგი მთელს პლანეტაზე ამდენად დაჩქარებული, თუმცა არათანაბარი ტემპებით? რატომა იგი – "რევოლუცია"? რამდენადაც ჩვენი შეხედულებები, წარმოდგენები თუ აღქმები ჩვენივე უახლესი წარსულის მეშვეობით ფორმირდება, ამდენად კითხვებზე პასუხი ადვილი იქნება თუ ჩვენ მოკლედ განვიხსენებთ ინდუსტრიული რევოლუციის ისტორიას, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს ჩვენს ინსტიტუტებში, მაშასადამე, ჩვენს აზრობრივ განწყობებში.

ინდუსტრიული რევოლუციის გაკვეთილები.